# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

645/2
2007

/2



2007

№3-4

# დავითგარეჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონასტრის ხედი კარიბჭედან

მასალა იხილეთ მე-19 გვერდზე



კოშკის ხედი ქვედა ეზოდან



მონასტრის ზედა ეზო



წმ. ნიკოლოზის ეკლესია



წმ. მამა დავით გარეჯელის სენაკი



ფერისცვალების ეკლესიის კანკელი

# ქრისტე აღსდგა!



ქართველი ერი, უძველესი ქართული ენა სათავეს პრეისტორიული ხანიდან იღებს.

ის, რომ ჩვენ დღემდე მოვაღწიეთ ჩვენი ცხოვრების წესითა და ტრადიციებით, ჩვენი წინაპრების ღვთისსათნო არჩევანის შედეგია.

მოციქულთა მიერ ნაქადაგები ქრისტიანობის აღიარებამ სხვა და სხვა ქართველური ტომები ერთი რწმენით, ერთი ენით, ერთი კულტურით ერთიან ქართველ ერად შეადუღაბა და უნიკალური, თვითმყოფადი და მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ზოგადქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

საზღვარგარეთ ქართველებმა ადრეული საუკუნეებიდანვე განამრავლეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. უკვე V საუკუნიდან იერუსალიმში არსებობს პეტრე იბერისა და მისი მასწავლებლის, იოანე ლაზის მიერ შექმნილი სამონასტრო სავანე, რომელიც ჯვრის მონასტრის სახელით არის ცნობილი. გარდა ამისა, ქართველები წმინდა მიწაზე 40-ზე მეტ ტაძარს ფლობდნენ; ჩვენ მონასტრები გვქონდა კონსტანტინოპოლში, ეგვიპტეში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ბულგარეთში...

ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ერი მტერთან გამუდმებულ ომებში მხოლოდ ღვთის იმედით იყო, რადგან არც სხვათა მსგავსად გვყავდა სადმე თანამოძმე ან მუდმივი სტრატეგიული მოკავშირე და არც მრავალრიცხოვანი და ეკონომიურად შეძლებული დიასპორა გვიმაგრებდა ოდესმე ზურგს.

მიუხედავად ამისა, XIXს-მდე სუვერენული სახელმწიფოებრივი მმართველობა და ეკლესიის ავტოკეფალია შევინარჩუნეთ და რუსეთის იმპერიის მიერ 106 წლის მანძილზე უკანონოდ გაუქმებული ეკლესიის დამოუკიდებლობა საერო და სასულიერო პირების მალისხმევით 90 წლის წინ აღვიდგინეთ, რამაც დიდი სტიმული მისცა ქართველ ერს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საერთოდ, ქართული სამყარო მართლმადიდებლურმა სარწმუნეობამ განაპირობა და დაიცვა. მართლმადიდებლობა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი. იგია ჩვენი ცნობიერებისა და ცხოვრების წესის საფუძველი და სავსებით ლოგიკურია, რომ დღესაც ჩვენი სახელმწიფოს ატრიბუტიკაში ქრისტიანული სიმბოლიკა დომინირებს: ხუთი ჯვარი მაცხოვრის ხუთ სამსჭვალზე მიუთითებს. ქვეყნის უმაღლესი სამართლებრივი დოკუმენტი — კონსტიტუცია კი მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებულ იურიდიულ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ სტატუსს ანიჭებს, რაც დამოუკიდებელი საქართველოს და მისი ხალხის ნების გამოხატულებაა.

,,არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო, მართლმადიდებლობაო“, — ასეთი იყო დავით აღმაშენებლის საქართველოს სულისკვეთება; სულისკვეთება იმ მეფისა, რომელმაც ღმერთის დახმარებით შეძლო ჩვენი სამშობლო ექცია ყველა დროის ქართველისათვის საოცნებო სახელმწიფოდ. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ დავითის საქართველოში მშვიდობიანად ეცხოვრათ მუსულმანებს, ებრაელებს, სომხებს და სხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობებს.

შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა, — ესაა ჩვენი არჩევანი.

სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო, რომ მიუხედავად დაპირისპირებისა და ომებისა, ქართველები ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდნენ არაბების, სპარსელების, მონღოლების, ოსმალების პოლიტიკურ წრეებში. იგივე იყო მიზეზი იმისაც, რომ წმინდა მიწაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით ცხენზე ამხედრებულნი ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმინდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ქართველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია. იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია დღესაც ცდილობს შეასრულოს ე.წ. ,,სახალხო დიპლომატის“ მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა.

ამით იყო განპირობებული ჩვენი ჩასვლა მოსკოვში. ეს არის მიზეზი არაბულ ქვეყნებში ჩვენი ვიზიტისაც. რელიგიურ ლიდერებთან ღია და გულთბილი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებას იწვევს და მათში საქართველოსადმი კეთილგანწყობა ჩნდება.

ყველასათვის მიუღებელია, რომ პოლიტიკური დაძაბულობა გადაიზარდოს ხალხებს შორის მტრობაში, განსაკუთრებით კი რელიგიურ დაპირისპირებაში, რადგან იგი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან შედარებით ძნელად გამოსასწორებელია და ჩვენ ვცდილობთ, ეს თავიდან ავიცილოთ.

*ილია II*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



24979

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი რედაქტორი



ტელეფონი რეკავს

– როგორ ხარ, ლიკუნია?

– ქალბატონო მარიკა, თქვენ როგორ ბრძანდებით?

– რა ვქნა, ჩემო გოგო. რამხელა გზა მქონია გასავლელი... აღარ თავდება! დავიღალე. ალმართიც ბევრი შემხვდა და დაღმართიც. მივდივარ და მივათრევ წლებს... ჩემს შვილებთან მინდა. ვიცი, რომ ოდესმე ვნახავ, მაგრამ როდის? მხოლოდ სურათებია ჩემი ნუგეში. მათ წინაშე ვზივარ და ვესაუბრები.

„თავს გაუფრთხილდი, დედა“, – მეუბნება ნანული, როგორც იცოდა.

„გამაგრდი, დედა, – ამხნევებს მერაბი“,
ვისთვის, რისთვის, ვის რაში ვჭირდები?

– თქვენ ყველას ჭირდებით, ქალბატონო მარიკა. თქვენი ხმის გაგონება წამლად ეცხება ჩვენს გულებს. მიხარია, რომ მეუბნებით: როგორა ხარ, ლიკუნია? როგორც ჩემი მეგობარი ნანული მომმართავდა.

ასე რამდენიმე თვის წინ ვისაუბრეთ. მერე აღარ დაურეკია და სულ ველი. თავად არ მინდა შევაწუხო, ვიცი, სუსტად არის.

... ის დაიბადა ხარება დღეს და ღმერთმა მისი მოსვლა ახარა ქვეყანას. მოვიდა პოეტად და ხალხის იმედად. ირგვლივ სიკეთეს თესავდა და პატრონობდა ყველა შეჭირვებულს, თავად ყოველთვის თავმოდრეკილი, მორიდებული...

„რა ვარ? ვინა ვარ? – ერთი ფოთოლი
უმშვენიერეს სიცოცხლის ხისა,
როცა უფალმა ჩამთვალა ღირსად
მის მცირე ტოტზე მეცხოვრა თრთოლვით“.

ეს ფოთოლი ისევ თრთის და ისევ ხარობს, რომ ხშირად მოაგონოს ხალხს, რაა სამშობლო და როგორია მისი სიყვარული.

„უფალო,
იმ დღეს მომასწარ, რომ სოჭიდან ჯავახეთამდე
ჩემს მამულში სამტროდ მოსვლას ვერავინ ბედავდეს!..“

ამ ლექსებისთვის შევიყვარე, ჯერ არ მენახა, მაგრამ ვიცნობდი „ჭრიჭინათი“, პიესებით („მარინე“, „ჩემი ყვავილეთი“ და სხვ.)

ერთ დღეს კი ვნახე. მოდიოდა რუსთაველზე და ხალხი ჩერდებოდა, გზას უთმობდა. უმშვენიერესი იყო.

მე და ნანული პროფკავშირების სახლის მეორე სართულის აივნიდან ვიცქირებოდით. სამსახური ქალთა ჟურნალში რამდენიმე დღის დაწყებული გვქონდა.

უცბად – „დედაო“, – დაიძახა ნანულიმ.

ამოიხედა, გაგვიღიმა და ხელი დაგვიქნია.

ასე გავიცანით ერთმანეთი.

– რა მშვენიერი დედა გყოლია!

– მე ხომ მგზობია, – აღფრთოვანდა ნანული.

დავიბენი, როგორ უხაროდა, რომ დედა მასზე ლამაზი იყო...

სულ მალე რედკოლეგიის წევრები შეიკრიბნენ და ქალბატონი მარიკა მათ შორის აღმოჩნდა. თავიდანვე ახლობლად მიმიღო. ჩემს წერილებს რომ ეცნობოდა, მიწონებდა, შენიშვნებს თითქმის არ მეუბნებოდა.

მე კი მის პუბლიცისტიკას დაბეჭდვამდე სიამოვნებით ვკითხულობდი.

... ერთ შემზარავ დღეს ჩვენი რედაქტორი თეო აბაშმაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა. დიდხანს ვიგლოვეთ. მერე რედკოლეგიამ რედაქტორად ქალბატონი მარიკა დაასახელა. მეორე დღეს მორიდებით შემოაღო რედაქციის კარი.

ყველანი პროფესიონალები ხართ. თქვენი იმედი მაქვსო!

რედაქტორის პირველი მოვალეობა თანამშრომლებზე ზრუნვააო – გვეტყოდა. ჩვენზე ისე ფიქრობდა, როგორც საკუთარ შვილებზე. ბავშვები დაგვაზრდევინა. ზოგჯერ შინ გვესტუმრებოდა ხოლმე. მეუღლეებს დაუმეგობრდა. უხაროდა, რომ ყველანი კარგად ვიყავით.

მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა თავს უფლებას ჩვენგან მაქსიმუმი მოეთხოვა, ჟურნალისთვის უფრო ნაყოფიერად გვემუშავა.

მივლინება გინდათ? სადაც გსურთ, წადითო.

და მოვიარეთ საქართველო. ვწერდით ყველა კუთხის ადამიანებზე. თუ ვინმეს უჭირდა, ვეხმარებოდით. ჩავდიოდით სხვა რესპუბლიკებში, კონტაქტებს ვამყარებდით იქაურ ქალთა ჟურნალების რედაქციებთან, ვაქვეყნებდით გაცვლით გვერდებს. ვესწრებოდით მოსკოვში საერთაშორისო თუ საკავშირო ქალთა შეკრებებს, სემინარებს, ვიმაღლებდით ცოდნას და გამოცდილებას. ამგვარი მუშაობა ხელს უწყობდა ჟურნალის პოპულარობას. მასში შუქდებოდა ყველა საკითხი, რაც აინტერესებდათ ქალებს, მათ ოჯახებს. 170 ათასი ხელმომწერი გვყავდა. სავაჭრო ქსელში გასატანად ტირაჟის გაზრდას გვთხოვდნენ. ყოველთვე ვგეგმავდით მკითხ-





# ქალბატონი მარიკა

ველებთან შეხვედრას, ვისმენდით მათ შენიშვნებს და სურვილებს. ვეძებდით და ჟურნალში სათანამშრომლოდ ვიწვევდით კორესპონდენტებს. მთელ ამ მუშაობას სათავეში ედგა ქალბატონი მარიკა. რედაქცია გადაიქცა საქართველოს ქალთა სახლად. მოდიოდნენ მწერლები, მხატვრები, მსახიობები, ექიმები, პედაგოგები თავიანთი წინადადებებით, თანამშრომლობის სურვილით. იყვნენ ქალები, რომლებსაც ჭირდებოდათ დახმარება საოჯახო თუ სამუშაო საკითხების მოგვარებაში. გულნაკლული ან უკმაყოფილო არავინ დაგვიტოვებია.

და გავიდა 30 წელი.

... რედაქციიდან წასვლის შემდეგაც შინ აკითხავდნენ ქალბატონ მარიკას.

მერე?

მერე უფრო მეტი დრო ჰქონდა ლიტერატურული შემოქმედებისათვის.

მერე ერთმანეთზე უკეთესი ლექსები გვაჩუქა.

„რას ნიშნავს სიტყვა „წუთისოფელი“,
რაა სიბერე ბოლოს და ბოლოს?
როდესაც ცოცხლობ, როდესაც შფოთავ,
ქვეყნის ავ-კარგი გაღელვებს როცა...
და უსაშველოდ კამათობ დროსთან?!“

მაინც ბორგავდა, შფოთავდა, ილწვოდა.

მერე?

წლები ემატებოდა,
სევდა შემოეპარა.

„მუზა-კეთილი, ჩემთან ერთად
ღამეს ათევდა.
შემოვრჩენილვარ საირმეზე
ფიქრის სარკმელთან“...

საირმის გორიდან სარკმელში გაჰყურებდა თბილისს და ფიქრობდა 9 აპრილს აჩეხილ გოგოებზე, რომლებსაც მომავალი შვილების აკვნები დაურწეველი დარჩათ.

„მოიჭრნენ მკვლელები შემზარავ ხმაურით
და ერს დაახალეს ტყვია“.

იგონებდა პოეტ ეთერ ჯღამაძე-სამხარაძეს, რომელიც ხშირად მოდიოდა რედაქციაში ახალი ლექსებით, მერე კი აფხაზეთის ომის მსხვერპლი გახდა.

„სულის შემზარავი ძალით,
სახლში შემოგეჭრა მტერი,
თვალწინ დაგიხვრიტეს ქმარი,
თავზე ჩამოგამხეს ჭერი“.

დრო მიდიოდა, ბედი დიდ განსაცდელს უმზადებდა. მოულოდნელად, ერთ თვეში დაეღუპა ვაჟი – მერაბ ყურაშვილი, ცნობილი ჰიდრომშენებელი, პროფესორი...

„სიყვარულო დედის, სიხარულო დედის,
რა ამაოდ გიხმობ, რა ამაოდ გელი“...

გავიდა ერთი თვე და ნანული გაუჩინარდა, მძიმე სენს გადაჰყვა, რაზეც არასოდეს ლაპარაკობდა, არ წუწუნებდა.

სულ ამბობდა, დედაჩემის სიკვდილს ღმერთმა ნუ მომასწრობსო. ვეჩხუბებოდი, რას ამბობ მეთქი... მზარავდა, ამას რომ იტყოდა.

და აი, არ მოესწრო.

გვეგონა დედამისს ვერ წამოვაყენებდით. მაგრამ ისევ შვილების სიყვარულით მოიკრიბა ძალა, რომ მათ შვილებზე და შვილიშვილებზე ეზრუნა.

მიდიოდა შვილების სურათებთან, სანთლებს უნთებდა და ეუბნებოდა:

„აგერ, კედლიდან გადმომცქერით კარგა ხანია,
არ ვფიქრობ, ჩემი მარტოობა თუ გიხარიათ...“

დღეს შვილებმკვდარი დედა ასი წლისაა. ეტყობა, წელთა სიმრავლემ დაღალა. შესჩივლა კიდევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

„უწმიდესო და უნეტარესო! არცერთი შვილი აღარ მყავს. ძმა და ქმარი სრულიად ახალგაზრდამ დავკარგე. მეორე ქმრის ერთადერთი ვაჟიშვილი სულხან გულისაშვილი ჩემი ნანულის კბილაა და ტყუპივით დავზარდე. ისღა დამრჩა... მისი და შვილიშვილების იმედადღა ვცოცხლობ. რა ვქნა, ამდენი დარდით გონება არ იბინდება, სტროფები არ მაძლევენ მოსვენებას. ღამით მეწვევა ხოლმე მუზა, ამედევნებიან ჰწკარები და ვიმეორებ, რომ დილამდე არ დამავიწყდეს... იქნებ სიკვდილს უნდა ვნატრობდე, ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს, მაგრამ რაღაი ვცოცხლობ, მინდა ჩემი ქვეყნის სიკეთეს მოვესწრო“.

ილია II-მ ბრძნული იმედი მისცა:

„თქვენისთანა ადამიანები არ კვდებიან... სიკვდილი უსახელოდ გაქრობაა. რწმენამ მხნეობა უნდა შეგმატოთ. თქვენი წამებული სიცოცხლე ნიშანია თქვენი ღვთის რჩეულობისა. მინდა დაგაიმედოთ, რომ არსებობს ბერძენი წმიდა ბერის წინასწარმეტყველება საქართველოს უტყუარი გადარჩენის შესახებ“.

ამ შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა მარიკამ ბევრი გასაოცარი ლექსი დაწერა და შვილიშვილებმა წიგნად გამოუცეს.

ას წელს პოეტი უხვი მოსავლით შეეგება.

ეს ნიშნავს, რომ მის სიცოცხლეს ღმერთი განაგებს, მას სურს, რომ პოეტმა იცოცხლოს და წეროს.

... მე მაგონდება მისი დაბადების დღე, რომელიც აღნიშნა მისმა მშობლიურმა რაიონმა ჭიათურამ, სოფელმა ნავარძეთმა.

როცა ვნახე ნავარძეთი, არ გამკვირვებია, რომ იგი პოეტად დაიბადა. იქ ვიგრძენი ბუნების ზეიმი. აპრილი იდგა. ეზოში ყვაოდა იასამანი. 25 წლის წინ ის არ იყო ახალგაზრდა, მაგრამ უცბად იქცა ბავშვად და ჩემს წინ დაუწყო ფერება ხეებს, ბუჩქებს, ბალახს. ეძებდა მინდვრის ყვავილებს, რომ ფურცლები დაეთვალა:

„ვუყვარვარ?
არა?“

ყველას უყვარხართ, ქალბატონო მარიკა!

მერე კი გრძელი სუფრა გაიშალა მერაბის აშენებულ ახალ სახლში. ნავარძელელმა მასპინძლებმა იუბილარს „საპოვნელა“ უმღერეს.

ამ სიმღერას ხომ საქართველოში ყველა მღერის.

პაწაწინა მარჯნისფერმა ყვავილმა მარიკა ბარათაშვილს ხალხის სიყვარული აპოვნინა.

*ლია კაკაბაძე*

**რედაქციისგან: ქალბატონო მარიკა, თქვენით ვამაყობთ! ღმერთმა გისმინოთ, საქართველოს სიკეთეს და ძლიერებას მოსწრებოდეთ!**

# როცა ყველა ფერი მუსიკაშია და მუსიკა ყველაფერია



ყველაფერი მუსიკით იწყება... დღემდე ასეა...

მუსიკის სამყაროში ბავშვობიდან აღმოჩნდა. აუცილებლად მუსიკოსი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. იგი დღეს დირიჟორია, აღიარებული მაესტრო...

მუსიკა თავისთავად ხომ სიყვარულია... სიყვარული კი, როგორც წესი, ბევრს ითხოვს... ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა... ყველა სიძნელეს გაუძლო და ყველა დაბრკოლება გადალახა. როგორც თვითონ ამბობს, უბრალოდ მეტი გამოსავალი არ ჰქონდა. მკაცრ რეალობასთან პირისპირ დარჩენილს, რეალობასთან, რომელმაც საყვარელი ადამიანების დაკარგვით დიდი ტკივილი მიაყენა (მას ორი ძმა გარდაცვლილი ჰყავს), საჭირო იყო არჩევანი გაეკეთებინა: ან თავისი სათქმელი უნდა ეთქვა, ან უბრალოდ, განზე გამდგარიყო. არჩევანი გაკეთდა: გოგი ჭიჭინაძემ ფართოდ გაუღო ცხოვრების კარი ბგერების, რითმების, გულწრფელობის, ფერების მარადიულ სამყაროს. იქიდან მოყოლებული მისი შემოქმედებითი ცხოვრება სისხლხორცეულად მუსიკას დაუკავშირდა. პირად ცხოვრებაში კი ჯერჯერობით მისი „ნახევარი" არ გამოჩენილა... თუმცა, სჯერა, რომ მალე ბევრი რამ ძირეულად შეიცვლება. ასე რომ, ყველაფერი წინ არის...

თბილისში დაიბადა. ორი თვის იყო, როცა მამის, რევაზ ჭიჭინაძის სამსახურის გამო ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ, მოსკოვში მიიღო მან მუსიკალური განათლება — დაამთავრა ნიკოლაი მიასკოვსკის სახელობის მუსიკალური სკოლა და გნესინების სახელობის მუსიკალური სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილება. 1988 წელს ჭიჭინაძეების ოჯახი საქართველოში დაბრუნდა. გოგი ჭიჭინაძემ სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო ფაკულტეტზე განაგრძო (პედაგოგი ედიშერ რუსიშვილი). პარალელურად საოპერო-სიმფონიური დირიჟორობის სრული კურსი გაიარა. კონსერვატორიის დასრულების შემდეგ კი საოპერო და სიმფონიური დირიჟორის სპეციალობით სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაში ჩააბარა. სტაჟირება გაიარა სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში (ხელმძღვანელი ვალერი გერგიევი). მისი დებიუტი 1992 წელს ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან შედგა. ახალგაზრდა შემოქმედის მუსიკალური კარიერა ძალზედ წარმატებულად წარიმართა. დამწყები დირიჟორი, ფაქტობრივად, შეუსვენებლად მართავდა კონცერტებს თბილისსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. 1998 წლიდან ის თანამშრომლობს სომხეთის ფილარმონიის ორკესტრთან. 2000 წელს გოგი ჭიჭინაძე დირიჟორთა ტოკიოს საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის ფინალისტი და დიპლომანტი გახდა. 2001 წლიდან ის თანამშრომლობას იწყებს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ორკესტრთან. ამავე პერიოდში საგაში (იაპონია) გამართული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია. 2004 წლიდან თანამშრომლობას იწყებს აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან. ეს წელი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დირიჟორი სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად იაპონიაში ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეს მართავს. 2005 წელს ის სირიის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან იწყებს თანამშრომლობას; 2006 წელს გოგი ჭიჭინაძემ კისლოვოდსკის საერთაშორისო ფესტივალი გახსნა. აღსანიშნავია, რომ აქ იგი ყოველწლიურად კონცერტებს 2001-დან მართავს. პარალელურად თანამშრომლობს ლიტვის ნაციონალურ ორკესტრთანაც.

რაც შეეხება მის მოღვაწეობას სახელმწიფო კონსერვატორიასა და მშობლიურ საოპერო თეატრში: გოგი ჭიჭინაძე სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგად მუშაობას 2000 წლიდან იწყებს. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი და ასევე, სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე 2004 წლიდან ხდება.

გოგი ჭიჭინაძეს ბოლო ათი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი კონცერტი აქვს გამართული სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. მას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს მსოფლიოში ცნობილ უცხოელ და ქართველ შემსრულებლებთან.

საინტერესოა, დირიჟორის სამსახიობო კარიერა, რომელზეც თავის დროზე უარი განაცხადა. იგი გადაღებულია ორ ფილმში. ესენია: 1993 წელს გადაღებული ოთარ შამათავას ფილმი „ატრაქციონი" და 1994 წელს გადაღებული ლაშა ოთხმეზურის „ბეობახტი". მიუხედავად მრავალი შეთავაზებისა, აქვე აღვნიშნავ, რომ მისი სამსახიობო ნამუშევრები ძალზე დადებითად შეფასდა, გოგი ჭიჭინაძე წინააღმდეგი აღმოჩნდა — გამხდარიყო მსახიობი. იგი დღემდე თვლის, რომ ის ვერასოდეს გახდებოდა იმ დონის მსახიობი, როგორი დირიჟორიც არის. თუმცა, ვინ იცის...

ასეა თუ ისე, გოგი ჭიჭინაძე, პირველ რიგში, მართალი პიროვნებაა, რომლის შემოქმედებაც მისი შინაგანი სამყაროდან გამომდინარეობს, მის სულიერებაში დაგროვილი ფერებით საზრდოობს და, რაც ყველაზე მთავარია, ცდილობს, ყოველთვის ბოლომდე თქვას თავისი სათქმელი და მაღალ ხელოვნებას აზიაროს მსმენელი. მაესტროსთან ჩვენი ინტერვიუც თავისდაუნებურად, დირიჟორის პროფესიაზე საუბრით დაიწყო.

— უამრავი „კომპონენტია" საჭიროა იმისათვის, რომ დირიჟორი გახდე. არიან კარგი დირიჟორები, რომლებსაც მშვენივრად აქვთ განვითარებული ხელი, ყური, იციან პარტიტურა... ერთი სიტყვით, პროფესიონალები არიან, ყველაფერს სწორად და ზუსტად აკეთებენ. მაგრამ უსმენ მათ და ხვდები, რომ მართალია, ყველაფერი თითქოსდა ისეა, როგორც უნდა იყოს, მაგრამ რაღაც, აი, ის „მთავარი" აკლია. თუმცა, პირიქითაც ხდება. მაგალითად, ვთქვათ, დირიჟორს არ უვარგა ხელები, რაზეც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ხელების ტექნიკა ხომ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ პირველივე წუთებში ხვდები, რომ შენს წინაშე მუსიკოსია, რომელიც უხილავი, შინაგანი ძალის წყალობით უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენს ორკესტრზეც და მსმენელზეც. ასე რომ, დირიჟორი პროფესიულად, ტექნიკურად განვითარებული მუსიკოსის ჩარჩოებში ვერასოდეს ჩაჯდება. როგორც გითხარით, აუცილებელია კიდევ „რაღაც", ბოლომდე ამოუხსნელი და იდუმალი.

**— როგორ გაჩნდა და საერთოდ რამ განაპირობა ამ პროფესიის შექმნა?**

— დირიჟორობა შედარებით ახალი პროფესიაა. მისი შექმნის აუცილებლობა მაშინ დადგა, როცა ბევრი ადამიანის ერთად შესრულების პრობლემა გაჩნდა. თავიდან, კლასიკურ პერიოდზე მაქვს საუბარი, მუსიკა ტექნოლოგიური და ტემპობრივი თვალსაზრისით არ იყო რთული და შედარებით მცირე, კამერული ორკესტრისათვის იყო დაწერილი. მოგვიანებით ეს ჯგუფები გიგანტურ შემადგენლობამდე გაიზარდა. ამავე დროს, ურთულესი კონსტრუქციები გაჩნდა. ასე რომ, თავისთავად გაჩნდა დირიჟორის პროფესიის შექმნის აუცილებლობა. დროთა განმავლობაში ყველაფერი თავისთავად შეიცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა: გაჩნდა ახალი ინსტრუმენტები, შეიცვალა ტემპები, დამკვიდრდა ახალი, უფრო რთული მუსიკის ფორმები. გაიზარდა ორკესტრის შემადგენლობაც და, ბუნებრივია, დირიჟორმაც უფრო მეტი დატვირთვა და ფუნქცია შეიძინა.

**— ალბათ, ძალზე რთული და საინტერესოა თვითონ დირიჟორობის პროცესი. როგორ ხდება ორკესტრის „მართვა“?**

— მოგეხსენებათ, პარტიტურაში მილიონი რამ წერია: პიანო, ფორტე, კრეშენდო, პაუზა და ა.შ. თანაც ისიც გავითვალისწინოთ, ვთქვათ, წერია „ჩუმად“, მაგრამ რამდენად „ჩუმად“? ანდა „ჩუმად“ რასთან შეფარდებით? ყველა ნიუანსის ამოკითხვა და ამოცნობა ერთ ადამიანზე, დირიჟორზეა დამოკიდებული. ამავდროულად არ დაგვავიწყდეს, რომ ორკესტრში 90 კაცი ზის და ყველას აქვს თავისი „ჩუმად“. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ყველა ადამიანმა თავისი შეგრძნებით რომ დაუკრას ნაწარმოები? ეს ხომ ნამდვილი საშინელება იქნება. ამიტომ დირიჟორმა ავტორიტარულად უნდა მოახდინოს ამ ყველაფრის ორგანიზება და რეალიზება. დირიჟორობა უდიდესი, არანორმალურად ინტელექტუალური და ლოგიკური პროცესია. გენიოსის მიერ დაწერილი ნაწარმოებები ურთულესი კონსტრუქციებია, რაც თავისთავად უმაღლეს მათემატიკას ეფუძნება. აი, ეს ყველაფერი უნდა აჩვენოს დირიჟორმა ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად, საჭიროდ. თუმცა არის კიდევ ერთი აუცილებელი პირობა — ორკესტრის ნდობა. შემსრულებლები უნდა გრძნობდნენ, რომ ის რასაც შენ აკეთებ, მაქსიმალურად ახლოს არის კომპოზიტორის ჩანაფიქრთან და მისი შესრულება მხოლოდ ისე არის შესაძლებელი, როგორც დირიჟორი ამბობს.

**— ბუნებრივია, როცა დირიჟორობთ, მხოლოდ მუსიკაზე ფიქრობთ...**

— დიახ, თავისთავად. რეპეტიცია ურთულესი და დამღლელი პროცესია. ყველა შემსრულებელთან, მუსიკოსთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. ყველაფერ ამისათვის აუცილებელია ძალიან დიდი, შინაგანი კონცენტრაცია. როდესაც რეპეტიციაზე შედიხარ, ყველანაირად მომზადებული უნდა იყო. სავარაუდო შეცდომებიც კი უნდა გაითვალისწინო. როდის, როგორ, რისთვის, რამდენჯერ გააჩერო ორკესტრი... ანუ დროის თანაბრად გადანაწილება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რაც მთავარია, ზუსტად უნდა იცოდე, რა გინდა, როგორ მიუთითო და მიაწოდო ხასიათი, განწყობა. კარგია თუ ინსტრუმენტებზე დაკვრა იცი, რადგან შენს სათქმელს ორკესტრს ამ შემთხვევაში ორგვარად მიაწვდი — მხატვრულად და ტექნოლოგიურად. და კიდევ: უნდა განსაზღვრო, თუ რა დონის მუსიკოსთან ერთად გიწევს მუშაობა, რათა იცოდე ვისთან, როგორ, რა ენაზე ისაუბრო.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ აუცილებელია დირიჟორი ყოველთვის იყოს კონცენტრირებული. როგორ ახერხებთ ამას, როცა ასეთი დაკავებული ბრძანდებით?**

— ალბათ, ყველაფერი გამოცდილებიდან მოდის. ადრე, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვატარებდი რეპეტიციებს, იმდენად დიდი განცდები მქონდა. მუშაობაში მოზღვავებული ემოციები მიშლიდა ხელს. გამოცდილება ერთგვარად არეგულირებს ემოციურ პროცესს, რომლის საფუძველი არანორმალური, ინტელექტუალური შრომაა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მთავარი. და კიდევ, როცა არტისტი ხარ, უნდა მოახერხო, რომ შენ კი არ ღვარო ცრემლი, არა, პირიქით, სხვა აატირო.

**— ემოციურობა დამღუპველი ხომ არ არის ამ შემთხვევაში?**

— ემოციებს რომ ავყვე, ეს იმას ნიშნავს, რომ დავანგრიო ყველაფერი და შეიძლება ამ დროს გული გამიჩერდეს კიდეც. ამდენად, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ერთხელ როცა ჩემს თავს ვუთხარი — „ძალიან ემოციური ვარ, ასე არ შეიძლება. ბრძნულად უნდა ვიდირიჟორო“. — დავიწყე დირიჟორობა. მაგრამ... გაუფერულდა ყველაფერი. სურნელი არ ჰქონდა არაფერს. ასე რომ, შენ უნდა იყო ის, რაც ხარ. შენი ინდივიდუალობა არ უნდა დაანგრიო და რაც შენ გაქვს, ყველაფერი უნდა გამოიყენო მუსიკისთვის. ასე რომ, ემოცია საჭიროა, აუცილებელია, ოღონდ ზომიერი, ან ზომიერზე მეტიც... სცენიდან თუ არ წამოვიდა ემოცია, გრძნობა, და კიდევ სხვა ბევრი რამ, მაშინ ის ვერც იმოქმედებს მსმენელზე.

**— თქვენთვის რა ან ვინ შეიძლება იყოს შთაგონების წყარო?**

— ნებისმიერი რამ... წარსული, ღამე, ზაფხული, თვალები, რაღაც შემთხვევითი დიალოგი — ორი, სამი ფრაზა, ჟესტი — მილიონი რამ. ეს ყველაფერი მაძლევს ემოციურ საზრდოს, რომელიც მკვებავს და მაძლევს ფერებს, ახალ ფერებს. ეს, თავისთავად, ჩემს შემოქმედებაზე აისახება. სხვათა შორის, ცინიკურად ჟღერს, მაგრამ დიდი ტკივილი თუ დიდი ტრაგედია, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, დიდი საზრდოა შემოქმედი ადამიანისათვის. ეს არის სამწუხარო რეალობა.

**— მოდით აქვე გკითხავთ — როგორია თქვენი „ურთიერთობა“ თქვენს შინაგან ხმასთან? ამას გეკითხებით იქიდან გამომდინარე, რომ ესეც, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელოვანისთვის.**

— დიახ, გეთანხმებით. თუ გადავხედავთ ჩემს პირად ცხოვრებას, რამდენადაც არ დავუჯერე ჩემს ემოციურ პირველ ბიძგს, იმდენჯერ, ასე ვთქვათ, „მივქარე“. თუ გინდა რაღაც სიგიჟის ჩადენა, აუცილებლად უნდა გააკეთო ეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ამან არ უნდა ავნოს სხვას. დიდ ბედნიერებად მიმაჩნია ის, როცა შინაგან ხმას მიენდობი. სხვაგვარად ყველაფერი უფერულდება. ეს შინაგანი ხმა ერთგვარი საზრდოა შემოქმედისთვისაც და უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც.

**— თქვენი შინაგანი ხმა, შთაგონება, განცდა, ემოცია საბოლოოდ ქმნიან გარკვეულ განწყობას. ამდენად საინტერესოა, დირიჟორის განწყობა რამდენად აისახება ორკესტრზე?**

— მძაფრად და მკაფიოდ. საერთოდ, რეპეტიციებზე ძალიან ბევრ ემოციას და ენერგიას ვხარჯავ, მუსიკოსებმა იციან, ისე უბრალოდ, ჩემთან მუშაობისას ერთ ბგერასაც ვერ აიღებენ. მათგან უდიდეს კონცენტრაციას მოვითხოვ. საკმარისია რეპეტიციაზე მივიდე მშვიდად და წყნარად, არ გავიღიმო, მაშინვე, მომენტალურად დაირღვევა ყველაფერი.

ისინიც „მიყენებენ“ გარკვეულ პირობებს და მოითხოვენ მაქსიმუმს. ვფიქრობ, ჩემი განწყობა ნამდვილად მოქმედებს ორკესტრზე.

**— დირიჟორისა და აუდიტორიის ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— ყოველთვის ვგრძნობ როგორი ატმოსფეროა დარბაზში. აუცილებელია შენი სათქმელი მსმენელამდე მიიტანო. თუ ეს არ შეგიძლია, ე.ი. არა ხარ არტისტი ფართო გაგებით და მორჩა! ასე რომ, დირიჟორი და აუდიტორია ურთიერთქმედებს ერთიმეორეზე. ერთსაც და მეორესაც თავისი როლი აქვს და ამ როლების შესრულება, საბოლოოდ, ბევრ რამეს განაპირობებს.

**— ბევრს გასცემთ და იხარჯებით. რას იღებთ მსმენელისგან სანაცვლოდ?**

— ხალხის სიყვარულს, რაც ძალიან დიდი ბედნიერება და უდიდესი სიამოვნებაა ჩემთვის. თუმცა, ხარისხი ემოციურობისა, რასაც ვხარჯავ, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია, მაღალია მათი ჩემდამი დამოკიდებულების გამოხატვის ემოციურ ხარისხთან შედარებით. მაგრამ სითბო, სიყვარული, რაც მათგან მოდის, რასაკვირველია, ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

**— თქვენი ცხოვრება ფაქტობრივად, მთლიანად დაკავშირებულია მუსიკასთან. რა მიგაქვთ თქვენი პირადი ცხოვრებიდან მუსიკაში და პირიქით, რა გადმოგაქვთ მუსიკიდან თქვენს ცხოვრებაში?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემი ცხოვრება და მუსიკა ცალ-ცალკე არასოდეს ყოფილა. ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, მუსიკა რომ არ ყოფილიყო, საერთოდ ვერ წარმომიდგენია როგორ ვიქნებოდი. მუსიკა კი არ მეხმარება მხოლოდ, არამედ ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს. მუსიკა ჩემთვის გამოსავალია, რომლის გარდაც სხვა არაფერი არსებობს. ის მეხმარება ყველაფერში. ის არის ყველგან და ის არის მუდამ ყოველთვის. ჩემში შინაგანად ყოველთვის მიმდინარეობს შრომის პროცესი. ეს არის დიდი შინაგანი პროცესი. ალბათ, ამიტომაც ჩემი ცხოვრებიდან მუსიკაში ბევრი რამ არის, რადგან მუსიკა, როგორც გითხარით, ჩემთვის არის გამოსავალი, რომელიც მუდამ არსებობს.

**— მიზანი, გახდარიყავით პროფესიონალი დირიჟორი, აგისრულდათ. ამჟამად თუ გაქვთ რამე გამოკვეთილი ჩანაფიქრი?**

— სამწუხაროდ, არა. ჯანსაღი ამბიცია რომ მქონდეს, ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნებოდა. ამჟამად, ჩემთვის მთავარი ორი რამ არის. პირველი ის, რომ ბოლომდე ამოვწურო ჩემი შესაძლებლობები და მეორე, რაც ადამიანური თვალსაზრისით ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია არის ის, რომ სუფთა სინდისით წავიდე აქედან. დღესდღეობით, სწორედ ასე დავდივარ — კარგად, მშვიდად, გამართულად... ვიცი, რომ ყველაფერში სუფთა და მართალი ვარ. ეს ჩემთვის ძალიან პრინციპული საკითხია. ვაფასებ და ვუფრთხილდები იმას, რომ ვიღაცას ვუყვარვარ. ვცდილობ, გავამართლო მათი დამოკიდებულება ჩემდამი. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ მინდა ვიყო ისეთი, როგორიც უნდათ რომ ვიყო. ეს ჩემთვის მიუღებელია. მე ვარ ის, ვინც ვარ. მინდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. მინდა რომ ვუყვარდე ადამიანს, ხალხს. საერთოდ, ცხოვრება, ჩემი აზრით, მოვალეობაა. სწორედ ამიტომ ადამიანი კიდევ უფრო სუფთა, უფრო პრინ-

ციპული უნდა იყოს და უფრო მეტი სითბო და სიყვარული გამოხატოს ადამიანების მიმართ.

**— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი წარმატება და აღიარება? დღესდღეობით თქვენ ხართ აღიარებული, ცნობილი ხელოვანი მუსიკალურ წრეებში.**

— ვერ გეტყვით. ალბათ, იმან, რომ პროფესიონალი ვარ. განსაკუთრებული ხელის შეწყობა არასოდეს მქონია. არც ჩემი ოჯახისგან, არც მამიდისგან. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეეძლოთ ამის გაკეთება, რომ იტყვიან „თითი თითზე“ დადებით მივაღწიე ყველაფერს. ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემ საქმესთან მიმართებაში ჩარეულიყო ჩემი ოჯახი. რისთვისაც დღეს ძალიან მადლობელი ვარ. ჩემს ცხოვრებაში მუსიკაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ხშირად მეუბნებიან, რომ შვილზე მნიშვნელოვანი არაფერია. შვილი, ალბათ, კიდევ სხვა, დიდი სასწაულია. ღვთის ნებით მჯერა, რომ ვიქნები მამა, მეყოლება შვილი... ეს ყველაფერი იქნება. მაგრამ რომ გითხრათ, რომ შვილის დაბადების შემდეგ მუსიკა მეორე პლანზე გადავა, ეს არასოდეს მოხდება. მუსიკა არის ჩემი შველა, გამოხატვის საშუალება — ეს არის ყველაფერი. არაფერზე ამდენი არ მიწვალია, არ მიფიქრია... ამდენი შინაგანი დაძაბულობა, განცდა, გრძნობა ჩემში არაფერს მოუტანია... მუსიკა თავისთავად სიყვარულია...

**— და ჩვენი ამ მეტად საინტერესო და გულწრფელი საუბრის ბოლოს მინდა, თქვენი უახლოესი გეგმების შესახებაც ვისაუბროთ.**

— დაგეგმილია ვერდის „რიგოლეტო“, ბიძინა კვერნაძის საღამო, გასტროლები და დანარჩენს, ალბათ, დრო აჩვენებს.

**— გისურვებთ წარმატებებს. დიდი მადლობა გულახდილი საუბრისთვის.**

— მეც ასევე ყოველივე კარგს გისურვებთ. მომავალ შეხვედრამდე.

რეზო ჭიჭინაძე: გოგი (გიორგი) ჭიჭინაძის მამა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ვცხოვრობდით, ვცდილობდით, ქართული წეს-ჩვეულებებით გვეცხოვრა.

უპირველეს ყოვლისა, მინდოდა რუსულ გარემოში ბავშვები ქართულად გაზრდილიყვნენ. იმ პერიოდში ვიცნობდი და ახლო ურთიერთობა მქონდა თანამედროვე ქართველ პოეტებთან, მწერლებთან, კრიტიკოსებან, მუსიკოსებთან... უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე... ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჯავახაძე ჩემი ჯგუფელები იყვნენ... ისინი მოსკოვში რომ ჩამოდიოდნენ, ჩემი ოჯახის სტუმრები იყვნენ ხოლმე... რა თქმა უნდა, გარემომ, რომელსაც ეს სტუმრები ქმნიდნენ, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ბავშვებზე. რა ვიცი, რა უნდა ვთქვა ჩემს შვილზე... გარდა იმისა, რომ ის პროფესიონალი მუსიკოსია, ამავე დროს ძალიან განათლებულიც არის. კარგად იცნობს ფილოსოფიას, მხატვრობას, მსოფლიო ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ აინტერესებს პოლიტიკა, ვთვლი, რომ გოგი ამ საკითხშიც კარგად ერკვევა. თუ რამეში ვერ ერკვევა, ამასაც გულწრფელად ამბობს ხოლმე. რაც, ჩემი აზრით, კარგი თვისებაა...

ვფიქრობ, რომ გოგის მუსიკოსად ჩამოყალიბებაში მოსკოვმა ნამდვილად დიდი გავლენა იქონია. მის წინსვლაში დიდი როლი ითამაშეს მისმა პედაგოგებმაც: ოდისეიმ და გერგიევმა.



ჩემი და გოგის ურთიერთობა ისეთია, ალბათ, როგორც მამაშვილის ურთიერთობას შეეფერება. ერთადერთი, რაზეც ვემდური, მისი პირადი ცხოვრებაა — ძალიან მინდა, რომ ოჯახი შექმნას. იმედი მაქვს, რომ ეს დროც ძალიან მალე დადგება.

ბარბარე მიქელაძე: დედა

ქუთაისში დავიბადე. არაჩვეულებრივ ოჯახში ვიზრდებოდით. ხუთი და-ძმა. იმ პერიოდში, როცა ძალიან გვიჭირდა, მამა თავის ხელმოკლე სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე. ვისთვის ნავთს ყიდულობდა, ვისთვის ფეხსაცმელს. ძალიან მეამაყებოდა, ასეთი მამის შვილი რომ ვიყავი. დედაც ხშირად იხსენებს, სადაც არ უნდა მისულიყავი, ყველგან მისი სიკეთე მხვდებოდაო. დედაც ასევე არაჩვეულებრივი ადამიანია. ის დღეს 98 წლისაა. აქ, თბილისში ცხოვრობს. მე და რეზოს ხშირად გვითქვამს, რომ არ შეიძლება კარგ ოჯახში ცუდი შვილი გაიზარდოს. თუმცა, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს.

ბავშვობაში გოგი საოცრად მიამიტი, გულუბრყვილო იყო. სხვათა შორის, ეს თვისება ახლაც აქვს. მისმა მეგობარმა ერთხელ დახატა კიდეც, როგორც დიდი ბავშვი. ძალიან გულახდილი იყო. სკოლიდან რომ მოვიდოდა, ყველაფერს მიამბობდა ხოლმე. დედა ვარ და არ მინდა ტრაბახად ჩამითვალოთ, მაგრამ ბევრი ისეთი თვისება აქვს, რაც ყოველთვის გამოარჩევდა მას. ძალიან ლამაზი იყო. მახსოვს, ერთხელ დედაჩემი გვესტუმრა მოსკოვში. გაოცებულმა მითხრა, ალბათ, შვილო, შენ თვალი გაქვს მიჩვეული, სასწაულებრივად ლამაზი ბავშვიაო.

უფრო მამას ჰგავს ბუნებით. ძალიან სამართლიანია. არავის აპატიებს უპატივცემულოდ მოქცევას. ზოგჯერ თავისებური სიჯიუტეც ახასიათებს. არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი ამბავი: ჩვენი მეზობელი იყო ზურაბ სოტკილავა. ბატონი ზურაბი ყოველთვის ამბობდა, რომ გოგი აუცილებლად დირიჟორი უნდა ყოფილიყო. რადგან ჩვენ ვერ მოვაბით თავი, გოგი თავად მიუყვანა თავის მეგობარ დირიჟორს ვლადიმერ ვაისს. ვაისმა უთხრა გოგის, რამდენიმე გაკვეთილს ჩაგიტარებ და თუ ჯოხი გაჩუქე, ე.ი. დირიჟორი გამოხვალო. სამი გაკვეთილის მერე მართლაც აჩუქა ვაისმა ჯოხი გოგის. საოცარი იყო, მაგრამ როცა პირველი კონცერტი გამართა, სცენაზე ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, დირიჟორად იყო დაბადებული. ლიდერის ბუნება აქვს. ძალიან ამაყია. ხანდახან მეჩვენება, რომ ამ სიამაყის გამო საკუთარ თავსაც არ უტყდება ხოლმე რაღაცეებში. ერთ რამეზე ვდარდობ. ალბათ, დროა უკვე, რომ მიხედოს თავის პირად ცხოვრებას.

დოდო ჭიჭინაძე: მამიდა

ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არის ჩემი გოგი. ის დაადგა გზას, რომლიდანაც ვიცი, რომ არასოდეს გადაუხვევს. ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო, როცა იჯდა და საათობით ისმენდა კლასიკურ მუსიკას, ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვესწრები მის სპექტაკლებს და ვხედავ რამხელა სიყვარულს იმსახურებს ხოლმე ადამიანებისგან. ეს დიდი ბედნიერებაა. საოცარი რამ მოხდა იაპონიაში, სადაც მართლაც სიგიჟემდე უყვართ ის. იმის გამო, რომ სასტუროში გოგის ძალიან აწუხებდნენ, ოჯახში დააბინავეს, სადაც ყოველდღე ანთებდნენ ორ სანთელს. გოგიმ რომ იკითხა, რისთვის ანთებთ ამ სანთლებსო, იცით რა უპასუხეს?! თქვენ ხომ ქრისტიანი ხართ, ორი ძმა გყავთ დაკარგული და აი, სწორედ მათ სახელზე ინთება ყოველდღე ეს სანთლებიო. ამან, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოგიზე.

საერთოდ, მგონია, რომ საოცრად სხვანაირი, გამორჩეული ბიჭია. არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს მშობლებთან, ჩემთანაც. ყოველთვის, როცა დრო აქვს, სულ მოდის, მნახულობს. თუმცა ვიცი, რომ ძალიან დაკავებულია. ისე კი, ჩემთვის გოგი, პირველ რიგში, დიდი ქართველია. ერთხელ ჰკითხეს: შეურაცხყოფა რომ მოგაყენოს ვინმემ, როგორ მოიქცევიო?.. გოგიმ უპასუხა: „მე არ ვიცხოვრებ ისე, რომ ვინმემ შეურაცხყოფა მომაყენოს, და თუ ვინმე ამას გაბედავს, თავად იქნება შეურაცხყოფილიო“.

ის ყოველთვის ახერხებდა ადამიანების გაკვირებას. გაოცებულები იყვნენ ხოლმე მისი ნიჭით. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ. ვთხოვ, მიიღოს ჩემი რჩევა და მიხედოს პირად ცხოვრებას. ძალიან მინდა მის გვერდით მალე ვნახო ისეთი ქალი, ისეთი მეგობარი, რომელიც მას გაუგებს და მისი ცხოვრებით იცხოვრებს.

*ია ტიგინაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან არაბული

# „[illegible]“...



არხოტის ხეობაში, იქ, სადაც თოვლ-ყინულიანი მწვერვალების ფერხთით ნაშობ, წვრილ-წვრილი შენაკადებით მომძლავრებულ მდინარე ასას შავფერი, ჩალიპულ-ჩარეცხილი კლდეები „მუჭაში სწურავენ“, მგზავრი მოულოდნელად მიადგება მჩქეფარე ჩანჩქერს...

აქ, ჯიხვ-არწივების უშფოთველ სავანეში, შინაგანი შვებისა და ენით ართქმული თავისუფლების უცნაური განცდა ეუფლება ადამიანს. მეტადრე მაშინ, თუ მცირე ხნით ქალაქს გარიდებულს ჯერ კიდევ არ განელებია მცხუნვარე ზაფხულის ბანგი და მოთენთილობა...

წითელ-ყვითლად აფორეჯებულ ხავსიან ლოდებს შორის მიმავალი საცალფეხო ბილიკი თავდაღმართზე ეშვება. კაი მანძილზე მიაცილებს არხოტის სტუმარს ვიწრო ქვაბულში ჩალეწილი ჩანჩქერის ზავთიანი ხმა. გაღმა-გამოღმა მიფენილ ხასხასა ფერდობებსა და ცას შებჯენილ მტრედისფერ მწვერვალებს პირველქმნილი სიწმინდის იერი ადევთ. დეკის ყვავილით მიმომცვრეულ მდინარის ციცაბო ნაპირებს ნაზამთრალი ზვავების ნალოკი ატყვიათ...

ჩანჩქერიდან ასე ნახევარი საათის გზა იქნება იმ ადგილამდე, გურამ რჩეულიშვილის რჩეულ მოთხრობაში („სიკვდილი მთებში“) აღწერილი ტრაგედია რომ დატრიალდა. დიდრონი ლოდის ძირას, ველური ყვავილებით გადაჭრელებულ ციცქნა ვაკობზე მდებარეობს საფლავი ელპიდე კურელასი, ადამიანისა, ვისთვისაც საქართველოს მთიანეთი მხოლოდ მოყვარული ტურისტის თვალით დანახული ეგზოტიკა არ იყო...

# [illegible]



მოცახცახე ხვატისგან თენთმოკიდებული და ხახაგამშრალი მტვრიანი შარაგზის ნაპირას, ბროლის ქვასთან ვისვენებ.

ჩემს თვალწინ რამდენიმე მომცრო ნასახლარია. ერთ-ერთი მათგანის თეთრად შეფეთქილ უკანა კედელზე, გადახუნებული ცისფერი ხაზებით რომ არის აჭრელებული, თამამად აზრდილი ბალახის ბიბლია ჩრდილი ირწევა. ორი კედლის შესაყართან, კუთხეში, საკვამლე მილია მიყუდებული, ხოლო გაოხრებულ იატაკზე ჟანგისგან შეჭმული, ალაგ-ალაგ ნიკელშერჩენილი საწოლის ფეხი აგდია. ცეცხლის ალისგან ალოკილი ადგილები შავ-მუქ ლაქებად შერჩენია კედელს...

იდილიური ყოფის ტკბილი ზღაპარი გაფანტულა და ჩამორღვეულ ყორეზე მოქვითინე ნიავი აგრძელებს ოჯახური სიმყუდროვის სევდიან მელოდიას...

უმწვერვალესი სიმშვიდეა. მეჩვენება, რომ წალმა-უკუღმა დაქსელილ, ნერვიულად მთრთოლვარე სიმებზე ვდგავარ და ვკრთი მათი მოულოდნელი მჟღერების დაძაბულ მოლოდინში გარინდებული.

გულისგულიდან სამდურავის ხმით თითქოს რაღაცას შემომდუდუნებს დედამიწა და აშკარად ვგრძნობ მის უღრმეს შრეებში ჩამწყვდეული მწუხარების დაგუდულ ბღავილს...

ფეხაკრეფით ვშორდები შუადღეგადასულის შუქით ერთიანად განათებული ნასახლარების სიახლოვეთს. უხალისოდ მომყვება ნასოფლარისკენ უსაშველოდ დაგრძელებული ჩემივე ჩრდილი – კერპი და ჯიუტი ორეული...

### სოფიკო ჭიაურელი:

# ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება შვილია



სოფიკო ჭიაურელი... მეტიც, მხოლოდ სოფიკო!...

საოცარი ენერგიითა და სიხალისით, ქარიშხალივით შემოიჭრა იგი ქართულ ხელოვნებაში და მას შემდეგ კაშკაშებს მისი ნიჭიერება არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რაც დრო გადის, ცნობილი მსახიობის ტალანტს არა თუ აკლდება, არამედ თანდათან ემატება ელვარება და ბრწყინვალება. ქალბატონი სოფიკოს ყოველი გამოჩენა ეკრანსა თუ სცენაზე, დიდი ზეიმია მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებისათვის. ვისთვისაც ძვირფასია ქართული თეატრი და კინო, ვისაც თავისად გაუხდია ქართული ხელოვნების სუნთქვა და მაჯისცემა, სითბოსა და ღიმილის გარეშე ნამდვილად ვერ წარმოიდგენს სოფიკო ჭიაურელის მიერ განსახიერებულ გმირებს. ხალხი კი, მოგეხსენებათ, ტყუილუბრალოდ არ გასცემს სითბოს და სიყვარულს...

სიხარულის მომნიჭებელია მის გარემოცვაში ყოფნა.

ბედნიერების ტოლფასია მისი პარტნიორობა.

სიკეთით, სიხალისით და უბრალოებითაა დამუხტული მისი აურა და ეს არც არის გასაკვირი — უხვად დააბერტყა უზენაესმა მშობლების მადლი და არტისტული ნიჭიერება.

სოფიკო ჭიაურელი თბილისის ძველ უბანში, ფიქრის გორაზე, იმ სახლში დაიბადა, რომლის ნაფუძარზეც, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მისი მშობლები ჯერ კიდევ დაუსახლებელ გორაზე დათქმულ პაემანზე ერთმანეთს პირველად ეამბორნენ... ვაჟმა დაპირებისამებრ საკუთარი ხელით აუგო შეყვარებულს სახლი. შეყვარებულები კი ქართული თეატრის მსახიობი, მხატვარი, მოქანდაკე, მომღერალი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი და ქართული სცენის ამომავალი ვარსკვლავი ვერიკო ანჯაფარიძე იყვნენ (მათი სიყვარულის ისტორიას ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ — თ.ო.) ქალბატონი სოფიკო დღიდან დაბადებისა, სიყვარულით ნაგებ მშობლებისეულ სახლში ცხოვრობს. აქვეა მისი მეუღლის, აწ გარდაცვლილი არაჩვეულებრივი პიროვნების, ცნობილი მსახიობისა და კომენტატორის, კოტე მახარაძის მიერ შექმნილი ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო". დიასახლისი ყველაფერს ასწრებს: მსახიობობას, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვას, თეატრის გაძღოლას, სტუმრების პატივისცემას და მოფერებასაც... დღესაც ისევ ღიაა ამ სახლის (ამავე თეატრის) კარი, როგორც წლების წინათ, როცა ოთახიდან ოთახში პატარა სოფიკო დაცქრიალებდა და სულ არ ფიქრობდა მსახიობობაზე — ექიმი (ქირურგი) უნდა გამოსულიყო, მაგრამ... არჩევანის დრო დადგა და... არტისტულმა გენმა იმძლავრა — მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გადაწყვიტა სამსახიობო განათლების მიღება. რუსული თეატრის ცნობილი მსახიობების: ოლგა პიჟოვასა და ბორის ბიბიკოვის სახელოსნოში ჩაირიცხა და სწავლის პირველსავე წელს კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის ფილმში „ჩვენი ეზო" თავისივე თანატოლის, ახტაჯანა ციცინოს როლი განასახიერა. მის პირველ ნაბიჯს კინოში ერთსულოვანი წარმატება ხვდა წილად. წარმატებული აღმოჩნდა მისი დებიუტიც სცენაზე. ეს იყო ჰარას როლი ბერძენი დრამატურგის წ. პერიალისის პიესაში „ბაბთიანი გოგონა" (რეჟ. ანზორ ქუთათელაძე).

მას შემდეგ არაერთხელ კინო თუ თეატრალური როლი (უბრალოდ, მათი ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს) ოქროს ასოებით ჩაიწერა სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და მიუხედავად იმისა, რომ ეკრანმა მას დიდი სახელი და პოპულარობა მოუხვეჭა, თეატრმცოდნეების აზრით, „მან მაინც სცენაზე შეძლო ეჩვენებინა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობების მთელი სივრცე". სხვათა შორის, ქალბატონ სოფიკოს ქართული თეატრის სცენაზე ფეხი პირველმა ცნობილმა მსახიობმა, გიორგი შავგულიძემ დაადგმევინა.

სოფიკო ჭიაურელი: ჩემი პირველი ნათლობა სცენაზე მაშინ მოხდა, როცა რვა წლის ვიყავი და თითქოს დღეს მომხდარიყოს ის ამბავი. მახსოვს თელავი, იქაური თეატრის კულისები. მე ვდგავარ და თვალებდაჭყეტილი შევყურებ სცენას. მიდის წარმოდგენა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". უცებ ვიღაცის უხილავმა ძალამ ხელში ამიტაცა და თვალის დახამხამება ვერც კი მოვასწარი, რომ სცენაზე აღმოვჩნდი.

„ოცდაკვე, გენაცვალე" — ჩამესმა მამაკაცის ხმა. მოვიხედე და დავინახე გიორგი შავგულიძე. მე ვუსურვებ ყველას და, უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს: დაე, ყოველთვის არსებობდეს ქართული თეატრი, ნურასოდეს მოგვაკლებოდეს ცრემლი, სიხარულის ცრემლი, რომლის გამოწვევა მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებას ძალუძს.

**— როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას ჭეშმარიტი ხელოვნების გზას დადგომოდით, დედა-ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე? მითუმეტეს რომ, როგორც ვიცი, სულაც არ ფიქრობდით მსახიობობაზე?**

— აბსოლუტური სიმართლეა. მართალია, კულისებში გავიზარდე, მაგრამ მეათე კლასამდე მსახიობობა საერთოდ არ მიტაცებდა. მინდოდა, ექიმი გამოვსულიყავი — ქირურგი. ექიმობა — ესაა ხელოვნება, ადამიანებს ტკივილი შეუმსუბუქო, ჰოდა, მინდოდა ხალხისათვის სითბო და სიკეთე მომეტანა. გადაწყვეტილება, რომ მსახიობი გავმხდარიყავი, მეათე კლასის ბოლოს მივიღე. დედა ძალიან განიცდიდა ამას. მას ხომ ცხოვრებაში არასოდეს მოუსმენია, როგორ ვკითხულობდი ლექსს. არასოდეს გამოვსულვარ სტუმრების წინაშე, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენს სახლში. ასე, რომ დედას წარმოდგენაც არ ჰქონდა, მქონდა თუ არა მე ამის ნიჭი.

**— ВГК-ის დასრულების შემდეგ მოსკოვში დარჩენა შემოგთავაზეს, მაგრამ თქვენ თბილისში დაბრუნდით...**

— თბილისს მსოფლიოში არცერთ ქალაქზე არ გავცვლი!.. არასოდეს!..

**— ქალბატონო სოფიკო, დღეს რას ფიქრობთ, წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სხვა პროფესიის ადამიანად?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. მსახიობის პროფესია ერთადერთია, რომელშიც ადამიანს სულ უნდა რომ იმუშაოს, მიუხედავად იმისა, უხდიან თუ არა თანხას.

**— შესაძლოა არ უნდა გეკითხებოდეთ, მაგრამ, საინტერესოა, შეგიძლიათ თქვენი შემოქმედებიდან გამოყოთ როლი, რომელმაც ყველაზე დიდი სიხარული და სიამოვნება მოგგვარათ?**

— ერთი მათგანის გამოყოფა გამიჭირდება... არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი როლი „ბაბთიან გოგონაში", „ჩვენი ეზო", „ნატვრის ხე", „ვერის უბნის მელოდიები", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „საიათნოვა" — ამ როლებმა პრიზებიც უამრავი დამიმსახურებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას...

**— თეატრი, ოჯახი, შვილები, დიასახლისობა — როგორ ასწრებთ ყველაფერს?**

— ამის სიტყვებით ახსნა შეუძლებელია. უბრალოდ, მე ძალიან ვგავარ მამას. იგი საოცრად მეოჯახე ადამიანი იყო. მიუხედავად კინემატოგრაფიის უდიდესი სიყვარულისა, სახლი, ოჯახი, შვილები მისთვის ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა, თუმცა ოჯახში მთავარი დედა იყო... ასეა ჩემს ოჯახშიც დღეს და საერთოდ, ყველა ქართულ ოჯახში ათიდან ცხრა შემთხვევაში ოჯახს ქალი მართავს. ჩვენი სამშობლოს სიმბოლოც ხომ ქალია — ქართლის დედა!..

**— თქვენმა სიტყვებმა ყველასათვის საყვარელი ფილმი „ემიგთ ქალი" (რეჟისორი სურიკოვა) გამახსენა, სადაც თქვენი გმირი — ალისა, ძალიან საინტერესო ფრაზას ამბობს: კარგი ქალის გვერდით მამაკაციც შეიძლება ადამიანად იქცეს...**

— მე ძალიან მიყვარს ეს ფილმი. გადაღებების შემდეგ ეს ფრაზა ჩემს დევიზად იქცა ცხოვრებაში.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ოჯახში ქალისათვის აუცილებელი პირობა?**

— პირველ რიგში, ის, რომ ოჯახში სიმშვიდე ჰქონდეს, შვილები ჰყავდეს კარგად...

**— როგორია თქვენი ოჯახის ტრადიცია, რომელსაც ყოველთვის ასრულებთ?**

— ჩვენი ოჯახის ტრადიცია, რაც შთამომავლობით გადმოგვეცემა, ოჯახის თითოეული წევრის მეგობრები და მათი სტუმრობაა. დღე არ გავა, ჩვენთან სახლში მინიმუმ ათი კაცი მაინც არ მოვიდეს. თუ ასე არ ხდება და კარი მთელი დღე დაკეტილია, ეს ჩემთვის დიდი ტრაგედიაა. მიხარია, რომ ჩვენთან მოსვლა ყველას სიამოვნებს. ალბათ, ის სითბო, რომელიც აქ სუფევს, ფუძეში ძევს. ეს სახლი ხომ სწორედ იმ ადგილას აშენდა, სადაც მამამ დედას აკოცა და უთხრა: „აქ აგიშენებ სახლსო". შეუძლებელია, ამ სიყვარულზე აშენებულ სახლს არ ჰქონდეს სიყვარულით, სითბოთი და სტუმართმოყვარეობით გაჟღენთილი აურა.

დედა და მამა აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანები იყვნენ — პლუსი და მინუსი. ალბათ, ამიტომაც იზიდავდნენ ერთმანეთს. საოცარი სიყვარული ჰქონდათ. მახსოვს, როგორ უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს ტელეფონში, როცა მამა მოსკოვში იყო და დედა აქ, თბილისში. მამას ძალიან სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა დედას მიმართ — სულ საჩუქრებით ავსებდა, დედა კი ამ საჩუქრებს იქვე თავის დაქალებს ურიგებდა. ისინი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა განზომილებაში ცხოვრობდნენ — მამა „ქვათა შეგროვებისა", ვერიკო კი — „ქვათა გაბნევის" ჟამს.

„გიორგი სააკაძიდან" დაწყებული, დედა მამას ყველა ფილმშია გადაღებული — მოსწონდა, როგორც მსახიობი. მერე, მე რომ მსახიობი გავხდი, უკვე ჩემზე გადმოინაცვლა. ზედიზედ სამ ფილმში („გენერალი და ზიზილები", „ამბავი ერთი ქალიშვილისა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") გადამიღო... ყველაფერი მოსწონდა, რასაც ვაკეთებდი, იმდენად, რომ დედა ბრაზდებოდა — ხომ არ შეიძლება ასე, ყველაფერი რომ მოგწონსო? სცენაზე ან ეკრანზე რომ მიყურებდა, ლამის ტიროდა ხოლმე „შენ გენაცვალე, შენ შემოგევლეო". მოსკოვში მაგიდაზე შუშა ედო, რომლის ქვეშ სურათები ელაგა. დედამ ერთხელ თავისი ბავშვობის სურათი გაუგზავნა, სადაც ძალიან მგავს მე. მამამ ეს სურათი შუშის ქვეშ ამოდო და ეფერებოდა. „რას ეფერები ამ სურათს, მე მომეფერე, აგერ არა ვარო?" — უთხრა ვერიკომ (იცინის). „მე ჩემს გოგონას ვეფერებიო" — ისეთი დიდი მსგავსება იყო ჩვენი ბავშვობის სურათებს შორის, რომ მამა გაგიჟდა, როცა ვერიკომ უთხრა, „ეს მე ვარო". სულ უნდოდა, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი. „მამიკო, მოდი რა, მოდი, რაღაცას მოგიყვებიო" — მეუბნებოდა. მე კი არასდროს არ მეცალა, „მოიცა რა, მამა-მეთქი", ვეუბნებოდი და ჩემს ტოლებთან გავრბოდი. იგივე ხდება ახლა — ჩემს შვილიშვილს — ნატაშას, არასდროს სცალია ჩემთვის. „მოიცა, რა, სოფა, მოიცაო" — მეტყვის და ისიც გარბის — მერე ინანებს, როგორც მე ვნანობ... ახალგაზრდებს მინდა გირჩიოთ, უსმინეთ თქვენი მშობლების მონაყოლს, იმიტომ, რომ შემდეგ უამრავი კითხვა დაგრჩებათ უპასუხოდ...

**— თქვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე რომელია, ქალბატონო სოფიკო?**

— როდესაც გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. კარგად მახსოვს, როგორ გავბრაზდი, რატომ არ დამითმეს-მეთქი ტროლეიბუსში ადგილი, თანაც გაგეცინებათ, ამ დროს საერთოდ არ მეტყობოდა ორსულობა... ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება შვილია!

**— ამბობენ, რომ თქვენ თვითონ აგირჩევიათ თქვენი სახელი...**

— დიახ. შეიძლება ითქვას, რომ მე ერთადერთი ადამიანი ვარ ამ ქვეყნად, ვინც ეს შეძლო. საქმე იმაშია, რომ ჩემმა მშობლებმა ვერაფრით გადაწყვიტეს, რა სახელი დაერქმიათ ჩემთვის. დედას უნდოდა, რომ ელენე მრქმეოდა, რადგან 21 მაისს, წმინდა ელენეს დღეს დავიბადე, მამა ოცნებობდა, დედის პატივსაცემად სოფია დაერქმია. მთელი თვე კამათობდნენ ამის გამო. სწორედ მაშინ მამამ გადაწყვიტა არჩევანი თვითონ მე გამეკეთებინა. მან აიღო ქაღალდის ორი ფურცელი, დაწერა ერთზე „ელენე", მეორეზე „სოფია" და ჩააგდო ქუდში. შემდეგ აიღო ჩემი ხელი და ქუდში ჩამაყოფინა, საიდანაც „სოფია" ამოვიღე...

**— რას ვერ აპატიებთ ადამიანს?**

— სიცრუეს, რომელიც ყველაზე დიდი საშინელებაა, ჩემი აზრით.

**— დაბოლოს, რას ეტყოდით მაყურებელს, თქვენს თაყვანისმცემლებს?**

— რა თქმა უნდა, დიდ მადლობას ვეტყოდი და ჩემი გმირის, იადონას სიტყვებს გავიმეორებდი: „გიყვარდეთ თეატრი!"

* * *

სოფიკო ჭიაურელზე, როგორც უბრალოდ ხელოვანზე, არაჩვეულებრივ პიროვნებაზე დიდ ხანს შეიძლება ვისაუბროთ, უსასრულოდ გავაგრძელოთ აღტაცებისა და სიყვარულის გამომხატველი ფრაზები, რადგან მართლაც იშვიათად შეგხვდებათ მისი მსგავსი პიროვნება, რომლის სულშიც საოცარი ძალით არის ჩაკირული ერუდიცია, ინტელექტი, გონის გამჭრიახობა, ეროვნული სულისკვეთება და თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარული. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ქალბატონი სოფიკოს დიდმა ოჯახმა ქართულ ხელოვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. მისი შემოქმედებაც და ცხოვრებაც სწორედ ამ კვალის ბრწყინვალე გაგრძელებაა.

**გმადლობთ, ქალბატონო სოფიკო!**

*თამარ ოთიაშვილი*



# ქართველ ქალთა პოეზიის ანთოლოგია

*საყოველთაოდ გავრცელებული გამონათქვამი — „ყველა ქართველი პოეტია, ყველა ქართველი პოეტი კი ორჯერ პოეტი“, ქართველ ქალებზეც ისევე ვრცელდება, როგორც მამაკაცებზე.*

*მართალია, ქალთა პოეზია, მამაკაცთა მსგავსი პოპულარობით ვერ დაიკვეხნიდა, პოეტი ქალების სახელს ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში მხოლოდ XVII საუკუნიდან ვხვდებით, სამაგიეროდ, საქვეყნოდ გახლდათ ცნობილი ქართველი ქალის განსაკუთრებული სიყვარული პოეზიისადმი. ოლივერ უორდროპი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ უცხოელთათვის დაწერილ ნარკვევში აღნიშნავდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული სიყვარული აქვთ თავიანთი სათაყვანებელი პოემის, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“, ყველამ, განსაკუთრებით კი მანდილოსნებმა, ზეპირად იციან ის, ქალის გასათხოვრად მზადყოფნაც იმით განისაზღვრება, პოემის შესწავლა დაამთავრა თუ არაო. შეუძლებელია, მწიგნობრობასთან და წიგნის კულტურასთან ასე ახლოს დგომას ქართველ ქალებში XVII საუკუნის წინა ხანაშიც არ გამოეწვია პოეტური იმპულსი, — წერს კრიტიკოსი ლევან ასათიანი. შემორჩენილი დოკუმენტებიდან კი ვგებულობთ, რომ ქართველ ქალთა მწიგნობრული ერუდიცია უფრო ფართო ინტერესებში გადაიზარდა და პოეტური ძეგლების საუკეთესო მცოდნე, დეკლამატორი ქალები უკვე თავად მოგვევლინენ საინტერესო და პოპულარულ პოეტებად. რაც შეეხება ქართულ ხალხურ პოეზიას, მასში ქალთა წვლილი შეუფასებელია.*

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში რამდენიმე წლის წინ დაიწყო მუშაობა დიდ, ამბიციურ პროექტზე —„ქართული ლექსის ანთოლოგია“, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ლიტერატურისმცოდნე, პროფესორი რევაზ თვარაძე. მსგავსი გამოცემების მომზადება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივადიანი სამუშაოს შესრულებას მოითხოვს, მაგრამ მუშაობის პროცესში გამოიკვეთება ხოლმე შედარებით მცირე მოცულობის, არანაკლებ საინტერესო პროექტები, რომლებიც დიდი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. სწორედ „ქართული ლექსის ანთოლოგიაზე“ მუშაობის პროცესში დაიბადა იდეა ქართველ პოეტ-ქალთა ანთოლოგია-ცნობარის შექმნისა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პროფესორი, სალიტერატურო გაზეთ „კალმასობის“ რედაქტორი, პოეტი შარლოტა კვანტალიანი.

***— ქალბატონო შარლოტა, რა ტიპის გამოცემა იქნება „ქართველ პოეტ ქალთა ანთოლოგია“?***

— „ანთოლოგია—ცნობარი“. ასე იმიტომ ვუწოდეთ, რომ მასში, თითოეული პოეტის შემოქმედების გარდა, დაიბეჭდება მათი ბიოგრაფიული მონაცემებიც, აგრეთვე, ფოტოები. წიგნს ასევე დაერთვება გამოკვლევა ქალთა პოეზიის ფენომენზე.

***— გენდერის საკითხებზე? პოეტური შემოქმედების ქალთა და მამაკაცთა პოეზიად დაყოფა რამდენად მიზანშეწონილია?***

— ეს არ არის გენდრული პრობლემა. არც პოეზიის სქესის პრინციპით დაყოფა მიმაჩნია სწორად, მით უფრო, თუკი ამ დაყოფაში ქალების მიმართ შეღავათების გაწევას ვიგულისხმებთ. მაგრამ ქალებს აქვთ თავისი განსაკუთრებული სათქმელი, თემები, რომლებსაც მხოლოდ ისინი ეხებიან, განიცდიან.

***— მაგრამ მსოფლიო და მათ შორის ქართული ლიტერატურის ისტორიას ახსოვს მისტიფიკაციის მაგალითები პოეზიაში, როდესაც მამაკაცები, ქალის სახელს ამოფარებულნი, ქმნიდნენ ლექსებს ქალის განცდებზე, გრძნობებზე და ეს განცდები იმდენად დამაჯერებლად ჰქონდათ გადმოცემული, ხშირად ნამდვილი ავტორის ვინაობის შესახებ კამათი აწლეულებითაც კი გაგრძელებულა.***

— გეთანხმებით, თუმცა მაინც არის რაღაც წმინდა ქალური თემები, დედა-შვილური სიყვარული, გლოვა დაკარგული ქმრისა თუ შვილისა, ქალის განცდების ათასგვარი ვარიაცია, რომელთა დიდი სიმძაფრით გადმოცემა მხოლოდ ქალებს ხელეწიფებათ და რომელთაც მისტიფიკატორები იშვიათად ეხებიან.



***— თქვენს ანთოლოგიაში თუ მოხვდებიან მისტიფიკატორები, ანუ ის მამაკაცი ავტორები, რომლებმაც ლექსები ქალის სახელით გამოაქვეყნეს?***

— რაკი მათი გადაწყვეტილება იყო, რომ კონკრეტული ლექსები ქალის სახელით და გვარით მოვლენოდა საზოგადოებას, რა თქმა, უნდა მოხვდებიან, თუმცა, ბიოგრაფიულ მონაცემებში განმარტებული იქნება საქმის ნამდვილი არსი.

***— გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩო მონიშნული გაქვთ, თუ ეს ზოგადად ქართველ პოეტ ქალთა ანთოლოგიაა?***

— არანაირი პირობითი ჩარჩოთი არ შემოვიფარგლებით. დავიწყებთ ძველი ქართული ლიტერატურიდან და შევეცდებით, მაქსიმალურად ბევრი ქალის შემოქმედება მოვიძიოთ, რაღა თქმა უნდა ისეთებისაც, რომელთა სახელებიც ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი (თამარ მეფის იამბიკოები, ბორენა დედოფალი, ქართველ მონაზონ ქალთა პოეზია, ქეთევან დედოფალი, მარიამ მაკრინე, ცნობილი პოეტი-ჰიმნოგრაფი, ერეკლე მეფის თანამედროვე მანანა, რომლის რამდენიმე ნაწარმოებიც დავით რექტორმა XIX ს.-ის დასაწყისში თავის ანთოლოგიაში შეიტანა და არაერთი სხვა). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა XX საუკუნის ქალთა პოეზიას, 70-იანი წლების თაობას, ჩემს თაობას, რომელიც, მიმაჩნია, უსამართლოდ დაიჩაგრა და საკუთარი შემოქმედების ბოლომდე ღირსეულად წარმოჩენის საშუალება არ მიეცა.

***— მათი პოეზია გამოყოფილი იქნება?***

— არა, გამოყოფით არ გამოვყოფთ, ოღონდ მინდა აღვნიშნო, რომ პირველად მხოლოდ XX საუკუნის 70-80-იანელ ქალთა პოეზიის ანთოლოგია იყო ჩაფიქრებული, მათი რაღაც ფორმით უკეთ წარმოჩენა მსურდა, მუშაობის პროცესმა გვიბიძგა არეალის გაფართოებისკენ და საბოლოოდ ქართველ ქალთა პოეზიის მეტნაკლებად სრული ანთოლოგიის შექმნა გადაწყდა.

***— დაახლოებით რამდენ ავტორს ვარაუდობთ?***

— პერსონალიები,შეიძლება ითქვას, უკვე შედგენილია. სიაში ასოთხმოცამდე პოეტი ქალია შეყვანილი, თავად ავტორთა მხრიდან, პროექტს ძალიან აქტიური გამოხმაურება მოჰყვა.

***— გამოხმაურებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: მოგეხსენებათ, დღეს ლექსებს ძალიან ბევრი წერს, მაგრამ ყველას პოეზია ღირებული როდია.***

— უპირატესობა წიგნების ავტორებს მიენიჭება, თუმცა მთავარი კრიტერიუმი ეს არ იქნება.

***— ყველას შემოქმედება ერთნაირი მოცულობით იქნება წარმოდგენილი?***

— არა, რა თქმა უნდა.

***— შერჩევის კრიტერიუმები თუ გაქვთ შემუშავებული.***

— იცით, ყველა ავტორს აქვს თავისი სავიზიტო ბარათი, ერთი ან რამდენიმე ლექსი, რომელიც მკითხველმა განსაკუთრებით შეიყვარა და დაიმახსოვრა. ასეთ ლექსებს აუცილებლად დავბეჭდავთ. ცოცხალ ავტორებს ვთხოვთ, თავად შეარჩიონ საკუთარი პოეზიის ნიმუშები, თუმცა, მომდევნო ეტაპზე, გადარჩევაში სპეციალური კომისიაც მიიღებს მონაწილეობას.

***— კომისია რა პრინციპით შეიქმნება?***

— მწერლები, ლიტმცოდნეები შევლენ, ოღონდ მხოლოდ მამაკაცები, მიკერძოებას რომ არ ჰქონდეს ადგილი.

***— ქართული პოეზიის რამდენიმე ანთოლოგია არსებობს, მაგრამ ქალთა პოეზიის ანთოლოგია, ალბათ, სიახლეა, არა?***

—ასეთი მასშტაბით ქალთა პოეზია პირველად იქნება წარმოდგენილი, თუმცა 1927 წელს ქალთა პოეზიის მცირე კრებული გამოიცა. თუკი ჩვენი კრებულის გამოცემას 2007 წლის ბოლომდე მოვასწრებთ და, იმედია, ასეც იქნება, ერთგვარი სიმბოლური დამთხვევა გამოგვივა, ჩვენს წიგნს იმ პირველი კრებულის 80 წლის იუბილეს მივუძღვნით.

***— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ანთოლოგიის პარალელურად ქალთა პოეზიის აუდიოჩანაწერიც მზადდება...***

— დიახ, ასეა. იდეა ლიტერატორმა რუსო მირიანაშვილმა მოგვაწოდა. მსახიობ თამარ ჯოხაძესთან ერთად ვმუშაობთ ამ პარალელურ პროექტზე. სხვათა შორის, თამარი თავადაც მშვენიერი პოეტია. შერჩეული და ჩასაწერად გამზადებულია დიდძალი მასალა, ნაწილი უკვე ჩაწერილია. ანთოლოგიის აუდიოვერსია ანა კალანდაძის პოეზიით გაიხსნება. ლექსებს მსახიობი თამარ ჯოხაძე წაიკითხავს, თითო ლექსს კი თავად ავტორები წაიკითხავენ. დეკლამაცია შესაბამისი მუსიკალური გაფორმებით იქნება წარმოდგენილი.

***— ასოთხმოცივე ავტორის აუდიოვერსიას ამზადებთ?***

— ამის შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არ არის. ანთოლოგიიდან შეირჩევა გარკვეული მასალა დისკზე ჩასაწერად. თამარი ახლა ამ პროექტით ცოცხლობს, ყველაფერს კითხულობს, არჩევს ისეთ ტექსტებს, რაც მის სულთანაც ახლოს მივა და ზოგადად, მაღალი რანგის პოეზიის ნიმუშებიც იქნება.

***— ამ მოცულობის წიგნის და დისკის გამოცემას საკმაოდ სოლიდური სახსრები დასჭირდება. ფინანსები უკვე მოძიებული გაქვთ?***

— წიგნის პარალელურად, მაგ მიმართულებითაც ვმუშაობთ. გვინდა პროექტს სარჯთაღრიცხვა დავურთოთ და სხვადასხვა ფონდებში შევიტანოთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ დადებით გამოხმაურებას მივიღებთ.

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და პოეტ ქალებს შევეხმიანო, მაისის ბოლომდე მოგვაწოდონ პოეტური კრებულები ან დაუბეჭდავი ლექსები (200 სტრიქონამდე), თან დაურთონ მოკლე ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი.

***— თუკი ავტორები არ მოგაწვდიან მასალას, საიდან აპირებთ ამდენი ლექსის შეგროვებას?***

— ლექსთა კრებულებს დიდი ხანია ვაგროვებ. „კალმასობის“ ფოტოების კოლექციაც ძალზე მრავალრიცხოვანია. გაზეთის არსებობის ათი წლის მანძილზე მრავალი ქალის პოეზია გავაცანით მკითხველს, მათ შორის, დებიუტანტებიც არცთუ მცირენი იყვნენ... დღემდე ვინახავ მათ ლექსებსა და ფოტოსურათებს.

***— რამდენადაც ვიცით, პარალელურად კიდევ ერთ საინტერესო პროექტზე მუშაობთ..***

— ის პროექტიც მწერლობას ეხება. ესაა „XX საუკუნის ქართული მწერლობის ცნობარი-ლექსიკონი“. მასში XX საუკუნეში დაბადებული ყველა მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი) იპოვის ადგილს. შედგენის პრინციპი კალენდრის დღეებია, ცნობარი 365 გვერდი იქნება.

*ესაუბრა მირანდა ტყეშელაშვილი*





ეროვნული ბიბლიოთეკა

*ემილ მიშელ ჩორანი*

# ჩანაწერების წიგნი - 1957-1972

ყველაფერი ის, რაშიც ჩვენ უნიჭოები ვართ, ერთ რაღაცაში ერთიანდება: უსიყვარულობა და საკუთარი სევდისგან გათავისუფლების უუნარობა.

რაც უფრო მეტს ვკითხულობ, — და მე ძალიან ბევრს ვკითხულობ, — მით უფრო ხშირად ვეუბნები საკუთარ თავს: „ეს ის არ არის“, ხოლო „სწორედ ის არის“, წიგნიდან ისევ და ისევ ქრება. „სწორედ ის არის“ ხომ საკუთარ თავში უნდა ეძებო და არა სხვაგან. ახლა კი ჩემში მხოლოდ იმის დაურწმუნებლობას ვპოულობ, რომ დარწმუნებული არ ვარ.

ახალი წელი. თოვლი. ჩემს ცნობიერებაში ბავშვობა ბრუნდება.
გუშინ ასეთი საუბარი მოვისმინე:
„რაღაც ძალიან ცივა“.
„ეგ არაფერი. მთავარია თოვლი, არ იყოს“.
და მე მივხვდი, რომ სხვა სამყაროდან ვარ.

„ჩემი აზრით, რჯულის შეცვლა ისეთივე საზიფათოა ადამიანისთვის, როგორც მწერლისთვის — ენის შეცვლა“. (სიმონა ვაილი).

მუდმივი გრძნობა დაუკმაყოფილებლობის: „არც ის, არც ის“ — აი, ყოველ წუთს რას ვუმტკიცებ საკუთარ თავს.

ნამდვილი პოეზია პოეზიის საზღვრებს იქით იწყება. ასეა ფილოსოფიაც და საერთოდ, ამ ქვეყნად ყველაფერი.

ქარი. ის ხომ ასე ლამაზად აერთიანებს მუსიკას და პოეზიას. უცნაურია, რომ ადგილებზე, სადაც ის დაჰქრის, ეძებენ გამხატვის სხვა საშუალებას.

წლებთან ერთად ადამიანში ყველაფერი იცვლება ხმის გარდა. ხმა — ერთადერთი დამადასტურებელია პირადობისა. უპრიანი იქნებოდა ხმის ანაბეჭდის აღება.

მალარმეს უნდოდა, რომ ლექსიკონებიდან ამოეღოთ სიტყვა „როგორ“. ეს პოეტის შეუცდომელი ინსტიქტია.

თარგმანი ცუდია, თუ ის გასაგებია. ე.ი. მთარგმნელმა ვერ შეინარჩუნა ავტორის ტექსტის მრავალმხრივობა. ე.ი. მთარგმნელმა გაასწორა გზა, ანუ ჩაიდინა დანაშაული.

მე მიყვარს სოფელი — ვცხოვრობ ქალაქში; არ მიყვარს სტილი — თვალყურს ვადევნებ თითოეულ სიტყვას; გამოუსწორებელი სკეპტიკოსი ვარ, — ვკითხულობ ძირითადად მისტიკას... და ასე გრძელდება უსასრულოდ.

სწორად თქვა ვიღაცამ: „ჩვენ ის ვართ, რაც ვერ შევძელით“. ანუ თითოეულ ჩვენთაგანში არ არის არავითარი სხვა შემადგენლობა, გარდა იმისა, რასაც ჩვენ შეუჩერებლივ ვფიქრობთ და ვერ ვაკეთებთ. სხვა სიტყვებით: „მე“ — მწუხარებაა იმის გამო, რომ ვერ შევძელი.

ჩვევა, რომ ყველაფერი ისე დაინახო, როგორც არის, ადრე თუ გვიან გადაიქცევა მანიად. მაშინ ადამიანი დასტირის საკუთარ თავში შეშლილს, რომელიც იყო და რომელიც უკვე აღარ იქნება.

თარგმნა *მაკა ჭკადუამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჯვარს აცვ იგი“



● გიორგი სურგულაძე ხევის რაიკომის ბიუროს წევრებთან ერთად

რედაქციაში სანდომიანი სახის ქალბატონი მოვიდა, თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარო, მითხრა. თან ჩანაწერები გადმომცა, იქნებ გამოგადგეთო. თვალი გადავავლე.

„მაპატიე, მამა, მაპატიე! ბოდიშს გიხდი, რომ ვერ შევძელი შენი მოსმენა...“ ამოვიკითხე ერთგან. „სინდისის ქენჯნა მაწუხებს. რამდენჯერ შეეცადა მამა, მოეყოლა გადასახლებაში (კალიმაში) გატარებული ოთხი წლის ტანჯვისა და წამების შესახებ, მაგრამ ოჯახის წევრები ვერ უსმენდნენ. სულ პირველად რომ მოუყოლია ერთ-ერთი დაკითხვის ამბავი, დედას გული წასვლია...“

ქალბატონს ვინაობა ვკითხე. მარიამ სურგულაძე ვარ, პროფესიით პედაგოგიო, მითხრა და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა:

— მე მამას დაბრუნების შემდეგ დავიბადე. უცნაურია, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე არ გამნელებია ის განცდა, რაც ჩემმა მშობლებმა და დებმა გადაიტანეს. თითქოს მეც მდევნიდნენ, თითქოს მეც მათთან ერთად ვტიროდი, მშიოდა, მციოდა, მეშინოდა...

* * *

იმქვეყნიურ სასუფეველს ვერავინ დაიმკვიდრებს, ამ ქვეყნად ჯვარს თუ არ ეცვა... გიორგი სურგულაძე გოლგოთის გზას თავისი ნებით დაადგა, როცა უეცრად უარი თქვა წარმატებულ პარტიულ კარიერაზე და რადიო—კომიტეტში „ახალი ამბების“ სააგენტოს ჩაუდგა სათავეში. მისი გადახვევა „ჭეშმარიტების“ გზიდან შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაღალ ეშელონებში, თუმცა არ შეიმჩნიეს, წყენა გულში ჩაიდეს და სამაგიეროს გადახდა „უკეთესი“ დროისთვის გადადეს. თავდაპირველად პატარ—პატარა უსიამოვნებებს დასჯერდნენ, რაც თანდათანობით აშკარა შეზღუდვებში გადაიზარდა. მოახლოებული საფრთხე უკვე ნათლად იგრძნობოდა, გიორგი სურგულაძე უარესს არ დაელოდა და საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადავიდა და ერთ—ერთი განყოფილების მეცნიერ—მუშაკად დაიწყო მუშაობა. თუმცა უბედურება მალე სტიქიასავით დაატყდა თავს, რადგან ბევრი „მიზეზი“ დაუგროვდა საიმისოდ, რომ ხალხის მტრად გამოეცხადებინათ და ჯოჯოხეთში გაემწესებინათ ბნელეთის მოციქულებს: ჰქონდა კარგი ბინა თბილისის ცენტრში, საინტერესო სამსახური, ჰყავდა შესანიშნავი ცოლ—შვილი და არაჩვეულებრივი ნათესავები და მეგობრები. გიორგი სურგულაძეს ტროცკისტობა დასწამეს და „უტყუარი“ ბრალდებაც წაუყენეს: რადიო—კომიტეტში მუშაობისას საინფორმაციო გამოშვებაში ბელადის მოხსენების შემოკლება როგორ გაბედეო.

ამაოდ იმართლებდა თავს ნაცემ-ნაგვემი და შეურაცხყოფილი: ოცწუთიან „ახალ ამბებში“ საათნახევრიანი გამოსვლა სხვაგვარად როგორ ჩამესვაო, მაგრამ სიმართლე არავის სჭირდებოდა. საშინლად ნაწამებს დაკითხვის ოქმზე და აღიარებაზე ხელი მაინც ვერ მოაწერინეს.

— ვინც გატყდა და აღიარა ხალხის მტერი ვარო, ყველა დახვრიტეს, — უთქვამს წლების შემდეგ გიორგის ოჯახის წევრებისათვის.

— მამა გადაასახლეს, დედა და დები კი სახლიდან გამოყარეს და ღია ცის ქვეშ, ღვთის ანაბარა დატოვეს, — მიამბობს ქალბატონი მარიამი, — „ტროცკისტის“ ოჯახს ყველა, დიდი თუ პატარა, როგორც კეთროვანს, ისე გაურბოდა. კიდევ კარგი მამიდამ საცხოვრებლად ნახევრადსარდაფი გამოუძებნა, ბიძია სანდრო კი საკუთარ შვილებს ლუკმას შუაზე უყოფდა და ძმისშვილებისთვის მიჰქონდა.

* * *

შეშინებულ პატარებს გულში ჩაიკრავდა, ცრემლებს შეუშრობდა თავად თვალცრემლიანი, ნუ გეშინიათ, გაუძელით, მალე დამთავრდება ყველაფერიო, დაამშვიდებდა და გულდამძიმებული ბრუნდებოდა შინ.

მალე მართლაც დასრულდა ყველაფერი, ოღონდ ამჯერად, სანდრო სურგულაძისთვის. „ტროცკისტის“ ძმა დააპატიმრეს და დახვრიტეს, ახლობლებმა მისი საფლავიც კი არ იციან, სად არის. სხვა უდანაშაულო დამნაშავეებთან ერთად სადღაც სახელდახელოდ ამოთხრილ ორმოში ჩააგდეს და ზერელედ მიაყარეს მიწა. ოჯახის წევრები გიორგის საფლავზე მიდიან და სანდროსთვისაც იქ მიაქვთ ყვავილები.

— ჩემს უფროს დას, ელიკოს, ორი წელია უცნაურობა დასჩემდა, გამუდმებით წარსულს იგონებს. ეს ამბავიც რამდენჯერ აქვს მოყოლილი:

— ერთხელ მე და დედა ციხეში წავედით მამის სანახავად. დიდ რიგში ჩავდექით. რკინის კარში რკინისავე ფანჯარა იყო ამოჭრილი, რომელიც დროდადრო გაიხსნებოდა და „პერედაჩას“ იბარებდნენ, პატიმრის პატრონს კი რაღაც ქაღალდს აძლევდნენ. ჩვენი რიგი რომ მოახლოვდა, ავიღეთ ეს ქაღალდი და მეორე რიგისკენ გადავინაცვლეთ. იქაც გაიღო რკინის ფანჯარა, დედამ ხელში ამიყვანა და შიგ შემახედა. ოთახის ბოლოში მამას მოვკარი თვალი და ყვირილი ავ-

ტეხე. მამამ წამოიწია, მაგრამ მცველმა უხეშად შეაჩერა. დედა ცუდად გახდა და ძირს დამსვა. მე კი გაუთავებლად ვიძახდი: ,,მამა, მამა...“

* * *

როგორც ამბობენ, გიორგი სურგულაძეს ,,გაუმართლა“ 1936 წელს რომ დაიჭირეს, რადგან იმ ხანად ძირითადად გადასახლებაში მიჰყავდათ პატიმრები, 1937 წელს კი — განურჩევლად ხვრეტდნენ. კალიმაში ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში. დასახვრეტად გაიყვანდნენ, სამარეს გაათხრევინებდნენ, ჩახმახს შეაყენებდნენ და ... ფიზიკურად არა, მაგრამ მორალურად კი ანადგურებდნენ.

ერთხელაც მორიგი ,,გასეირნებისას“, ჯარისკაცს, რომელსაც მუცელი შესიებოდა და ეტყობოდა, ტკივილები ტანჯავდა, მიუბრუნდა და უთხრა, შემიძლია, მოგარჩინოო. ჩემი მოწამლვა გინდაო, ლამის ადგილზე მიახვრიტა ჯარისკაცმა. თუ გეეჭვება, წამალს ჯერ მე დავლევო, უთქვამს გიორგის და მალე მართლაც მოურჩენია წყალმანკიანი ჯარისკაცი. ცოტა ხანში სახელგანთქმული ,,ექიმი“ გამხდარა მთელ ბანაკში, უებარი წამლით მრავალი პატიმარიც მოარჩინა და თავიც გადაირჩინა, დასახვრეტად მეტად აღარ გაუყვანიათ.

*— თქვენც ამზადებთ, ალბათ, იმ წამალს, — ვეუბნები ქალბატონ მარიამს.*

— მამა სულ გვეხვეწებოდა, სანამ ცოცხალი ვარ ისწავლეთ, როგორ მზადდებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ შვილს არ მოგვინდომებია, რასაც ახლა ყველანი ვნანობთ.

***— რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა?***

— მამამ ოთხი უმძიმესი წელი გაატარა გადასახლებაში. იქიდან საშინლად დაუძლურებული დაბრუნდა. დიდი დრო დასჭირდა ჯანგატეხილი, ლოგინად ჩავარდნილი მამის ფეხზე დაყენებას. თქვენი ნებართვით, ისევ ელიკოს მოგონებას მოვიშველიებ:

— ერთხელ ეზოში ვთამაშობდი. მოულოდნელად მამას ხმა ჩამესმა: ელიკო, ელიკო. აღელვებულმა მოვიხედე, მაგრამ მამის ნაცვლად ვიღაც მოკუნტული, გამხდარი, საცოდავი კაცი დავინახე. შემეშინდა და დავიმალე. ცოტა ხანში სამალავიდან გამოვედი, მაგრამ უცნობი იქ აღარ დამხვდა. სახლში გავიქეცი, ყველაფერი დედასთვის რომ მეამბნა. ოთახში შევირბინე და რა ვხედავ... დედა და ის უცხო კაცი მწარედ ტიროდნენ. ჩემს დანახვაზე დედამ ძლივს ამოთქვა: ,,მამა დაბრუნდა, შვილო“. მეც ცხარე ცრემლებით ავტირდი. მაღალი, ლამაზი, ვაჟკაცური, თავმოყვარე მამა ჩემს მეხსიერებაში დარჩა მხოლოდ...

**— მამათქვენმა პარტიულ სამუშაოზე რატომ თქვა უარი?**

— როგორც ვიცი, ისეთ დავალებებს აძლევდნენ, რაც მისთვის მიუღებელი იყო.

**— დაბრუნების შემდეგ სად მუშაობდა?**

— 25 წელი უნივერსიტეტის ბუღალტერიაში ეკონომისტად იმუშავა. ჩვენი ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო, მისი ხელფასი არ გვყოფნიდა, ამიტომ სულ რაღაცას თარგმნიდა, რომ დამატებით რაღაც თანხა აეღო.

გადასახლებიდან შინაგანადაც გატეხილი დაბრუნდა. სულ გულჩათხრობილი იყო, მუდამ ჩაფიქრებული. დედა კი, ანა ღონიაშვილი — გაჭირვებამ და დარდმა მაინც ვერ გატეხა. საოცარი ოპტიმისტი იყო. ლექსებს გვიკითხავდა, სახუმარო ამბებს გვიყვებოდა, თავადაც გულიანად იცინოდა და ჩვენც გვაცინებდა. ერთმანეთი კახეთში გაიცნეს. დედა იქაური იყო, მამა კი სამუშაოდ გაანაწილეს. მახსოვს, დედა ღიმილით გვიამბობდა, სანამ გიორგი გრძნობებში გამომიტყდებოდა, ალუბლის აფეთქებულ ტოტში ჩაწნული იები მომართვაო. ხუთი შვილი გაზარდეს — დუგლასი, ელენე, თამარი, მარიამი და სოფო. სხვათა შორის, ხელი მეხუთე შვილის გაჩენის შემდეგ მოაწერეს, რადგან იმ ხანებში კანონი გამკაცრდა და ბავშვს მამის გვარზე არ წერდნენ.

დედას პატარაობისას ქვაბის ამოფხეკა უყვარდა თურმე. მამიდა ეხუმრებოდა, შენს ქორწილში წვიმა იქნებაო. მართლაც, მშობლებმა ხელი რომ მოაწერეს, ისეთი თავსხმა იყო, გალუმპული დედა სიცილით შემოვიდა სახლში, პატარა გოგოსავით ბედნიერი, რა არაჩვეულებრივი ქორწილი მაქვსო.

მამა ხშირად ავადმყოფობდა. მასთან სახლში უმეტესად მე ვრჩებოდი, მარტო არ ვტოვებდით. ერთხელ მის ოთახს ვალაგებდი, ღიმილით მიყურებდა, რა კარგ ხასიათზე ხარ-მეთქი, ვუთხარი. ძალიან ჰგავხარ დედასო, მიპასუხა.

სულ ცდილობდა, გადასახლების ამბები ეამბნა, მაგრამ იმდენად მძიმე მოსასმენი იყო, საუბარს სხვა თემაზე გადავუტანდი. რამხელა ამოუთქმელი დარდი გაიყოლა იმ ქვეყნად. მაშინ ხომ ეკლესიაშიც ვერ შევიდოდა ადამიანი აღსარების სათქმელად...

*— მორწმუნე იყო?*

— რელიგიაზე და ღმერთზე ხმამაღლა ლაპარაკს ვინ გაბედავდა, მით უმეტეს, რეპრესირებული ადამიანი. თუმცა შინაგანი რწმენა მუდამ ჰქონდა. სწორედ ამან გადაატანინა მთელი ის უბედურება. მახსოვს, კარგ ადამიანზე ღვთისნიერიაო, იტყოდა. დედა კი გამუდმებით უფალს ჰმადლობდა...

* * *

გიორგი სურგულაძის საქმე გადაისინჯა. იგი უდანაშაულოდ ცნეს და რეაბილიტაციის საბუთიც შეადგინეს. რომ იტყვიან, სამართალი აღდგა. ეს წლების შემდეგ მოხდა, მანამდე კი, თბილისში დაბრუნებული, თავად ცდილობდა ყველაფრის გარკვევას. როგორც ჩანს, გაარკვია კიდეც...

— ერთხელ მამა ჩემს დასთან ერთად მიდიოდა ქუჩაში. უცებ შეამჩნია, ვიღაც დაჟინებით უყურებდა. მამაც დააკვირდა, შემდეგ უეცრად მიეჭრა უცნობს, ძირს დასცა და გამეტებით დაუწყო ცემა. ძლივს გამოგლიჯეს თურმე ხელიდან. სახლში განადგურებული დაბრუნდა, ხმას არ იღებდა, ვერაფერი ვათქმევინეთ. ბოლოს, როგორც იქნა, გვითხრა:

— ის იყო... იმან დამღუპა...

მეტად მისი სახელიც არ უხსენებია, მხოლოდ ხანდახან იტყოდა ხოლმე: რატომ, რა დავუშავე...

სამი წლის წინათ პენსია მივიღე, როგორც რეპრესირებულის შვილმა. აღელვებულმა საფულეში ვერ ჩავდე (ასე მეგონა, ცეცხლი ეკიდა), იქვე წიგნების თაროზე შემოვდე და სასაფლაოზე წავედი. მამის სურათს ხელი გადავუსვი, ფიქრებიდან საფლავების მომვლელმა გამომიყვანა:

— გუშინ ერთი ქალი იყო. ეს ლამაზი თაიგულიც იმან დატოვა.

— მივხვდი ვინც იქნებოდა. სანდრო ბიძიას ქალიშვილი საკუთარ მამას ბიძის საფლავთან დასტირის. როგორც ჩანს, მანაც მიიღო ,,რეპრესირებულთა“ პენსია,— გავიფიქრე. სახლში დაბრუნებულმა წიგნების თაროს შევხედე, სადაც ფული დავდე. ლევან გოთუას ,,გმირთა ვარამი“ მომხვდა თვალში. ჩემს ცხოვრებაში ეს ერთადერთი წიგნია, რომელიც ბოლომდე ვერ დავასრულე. უფლისწულ ერეკლეს სამშობლოსთან ღამეულ გამომშვიდობებას რომ ვკითხულობდი, ცრემლებად დავიღვარე და კითხვა შევწყვიტე. ვერ გავუძელი ქართველი გმირის ვარამს. როგორც ჩანს, ამიტომაც ვერ მოვუსმინე მამას. რომ იცოდეთ, როგორ ვნანობ, საკუთარ თავს ვერ ვპატიობ. გამუდმებით, სიზმარშიც და ცხადშიც მამას ვესაუბრები და ,,საუბარს“ ყოველთვის ასე ვამთავრებ:

— მაპატიე, მამა, მაპატიე! ბოდიშს გიხდი, რომ ვერ შევძელი შენი მოსმენა!..

***მარინე ნაკაიძე***





ანა მეგობრებთან ერთად



სულის სილამაზე გარეგნობაზეც აისახებაო, — ამბობენ. ვინც მსახიობ ***ნინაკა გელაშვილს*** პირადად იცნობს, ამ ფრაზის უდაო ჭეშმარიტებაში ეჭვი ნამდვილად არ შეეპარება. მეტიც, საოცარი შინაგანი ხიბლი, გარეგნული მომხიბვლელობა, ნიჭიერება, გულწრფელობა, საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა იმდენად ჰარმონიულადაა შერწყმული ამ მშვენიერ ქალბატონში, რომ შეუძლებელია არ გაიფიქრო — განგებას ყველაფერი მისთვის გამოუმეტებიაო... ბუნებით ძალიან მგრძნობიარე და ემოციურია. გარეგნულად კი ისეთი დამოუკიდებელი და ძლიერი, მისი პრინციპულობის ბევრ მამაკაცს შეშურდება...

# ნინაკა გელაშვილი — ქალი საიდუმლო

**— ნინაკა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ხშირად მომისმენია თქვენი მისამართით ნათქვამი ასეთი ფრაზა: საინტერესოა, ეს ლამაზი, მომხიბვლელი, ნიჭიერი, ჭკვიანი ქალბატონი მარტო რატომ დაიარებაო?.. ცხადია, ოჯახს გულისხმობენ, თორემ ყველა დარწმუნებულია, რომ უამრავი თაყვანისმცემელი გეყოლებათ... რა ხდება, რით ვერ მოიგეს მამაკაცებმა თქვენი გული, ასეთი ძალიან პრეტენზიული ხართ, თუ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ოჯახის შექმნის გეშინიათ?**

— ისევე, როგორც ყველა მანდილოსანს, თაყვანისმცემლები, ცხადია, მყავს... ბევრი თუ ცოტა, ამის მოყოლას არ დავიწყებ, უბრალოდ, ვიტყვი, რომ ყველა მანდილოსანი თავისებურად ლამაზი და ნიჭიერია. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მითუმეტეს მამაკაცებს, რომელთა გარეშეც ქალებს ცხოვრება არ შეუძლიათ, ისევე, როგორც მამაკაცებს, არ შეუძლიათ იცხოვრონ ქალების გარეშე, მაგრამ ვფიქრობ, და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, რომ მამაკაცებს ქალბატონებისგან განსხვავებით, უფრო მეტად იპყრობთ შიშის სინდრომი. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ლამაზ და ჭკვიან მანდილოსანს ეხება. თუ ქალი ერთდროულად ლამაზიცაა და ჭკვიანიც, ეს სინდრომი კიდევ უფრო ძლიერდება და მე ნაწილობრივ მესმის კიდეც ამ მამაკაცების. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობენ ისეთი მამაკაცები, რომელთაც ეს შიში არ აწუხებთ. საბედნიეროდ, არსებობენ და მე მივესალმები მათ — მამაკაცებს ყოველგვარი კომპლექსის გარეშე... რაც შეეხება ჩემს შიშს, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა ქალბატონს ვურჩევდი, რომ ემოციის გარეშე, ცივი გონებით გადაწყვიტონ ოჯახის შექმნა. ეს მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯია. ამ ნაბიჯზე ბევრი რამაა დამოკიდებული შემდგომ ცხოვრებაში... არ ვიცი, როგორ გითხრათ, მაგრამ შეიძლება მე არც შემხვედრია ისეთი მამაკაცი, რომელთან ერთადაც მთელი ცხოვრების გატარებას ვისურვებდი. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ შემხვედრია — განვლილ წლებს ვგულისხმობ...

**— მაინც როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომ თქვენი ყურადღება მიიქციოს?**

— პირველ რიგში, უკომპლექსო უნდა იყოს, რადგან ვფიქრობ, რომ სწორედ კომპლექსებისგან მოდის ადამიანის ყველა უბედურება, მითუმეტეს — მამაკაცის. როცა მამაკაცი დაკომპლექსებულია, აუცილებლად იწყებს ქალთან შეჯიბრს და ეს არის ყველაზე საშინელი... მამაკაცმა თავისთავად უნდა იცოდეს ქალის ფასი და იმ მანდილოსნის პიროვნულ ღირსებებს უნდა აფასებდეს, ვისთანაც სურს, რომ ურთიერთობა დაამყაროს... თუ იგი მაღალი სულის ადამიანია, ალბათ, ყველაფერი კარგად აეწყობა, თამაში კი ყოველთვის მთავრდება. ანუ, მამაკაცი, რომელიც თამაშს იწყებს, რაღაც მომენტში აუცილებლად ავლენს თავის სახეს, ეს კი ხელს შეუშლის არა მარტო მანდილოსანთან, არამედ, საერთოდ, ყველანაირ ურთიერთობაში...

**— რაც შეეხება გარეგნობას? მამაკაცის გარეგნობას არ აქცევთ ყურადღებას?**

— ვფიქრობ, რომ გარეგნობით არ განისაზღვრება მამაკაცის ღირსება. ჩემი აზრით, გარეგნობას მანდილოსნისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, მამაკაცისთვის — არანაირი. მისთვის მთავარია, მთელი თავისი სიხავსით, მთელი თავისი არსებით იყოს მამაკაცი და მარტო შარვალს და პალსტუხს არ ატარებდეს...

**— ამბობენ, რომ ქალი ქმნის მამაკაცს და მამაკაცი — ქალს. ცხოვრება ამ ორი სქესის ერთმანეთისადმი სწრაფვა და თავის მოწონების დაუსრულებელი წადილია... როგორ ფიქრობთ, როდის იბადება სიყვარული და რატომ ქრება, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ ქრება იგი...**

— რა თქმა უნდა, ქრება კიდეც... უფალმა, ალბათ, სწორედ სიყვარულისთვის შეგვქმნა და სიყვარულიც ამიტომ იბადება — რაღაც უხილავი ძაფი იბმება ორ ადამიანს შორის. ეს მართლაც საოცარი შეგრძნებაა, რაღაც არაბუნებრივი... რატომ ქრება? ალბათ, იმიტომ, რომ თავიდანვე შეცდომა იყო, ან იმიტომ, რომ რაღაცნაირად ფუჭდება ის სიყვარული, რძესავით იჭრება ხოლმე...

**— თქვენი სიყვარული, რომელმაც არაჩვეულებრივი ქალიშვილი — მეა დაგიტოვათ, შეცდომა იყო თუ რძესავით აიჭრა, როგორც თავად ამბობთ?**

— ალბათ, თავიდანვე აბსოლუტური შეცდომა იყო... მეა ჩემთვის ღვთის საჩუქარია...

**— დღეს რა ხდება, გიყვართ?**

— რა თქმა უნდა!.. მე ყოველთვის მიყვარს! (იცინის)... საერთოდ, ვფიქრობ, რომ ხელოვან ადამიანს ყოველთვის უნდა უყვარდეს... ხელოვანის ბუნება შიშველი ნერვებისგან შედგება და ეს შიშველი ნერვები ყველას ერთნაირი აქვს, გინდ პატარა ხელოვანი იყოს ეს ადამიანი, გინდ — დიდი. თვითონ არტისტული ბუნება ითხოვს აუცილებლად დიდი რაოდენობით სიყვარულს, რომ შემდეგ მან რაღაც ღირებული შექმნას...

**— მშვენივრად აიცილეთ შეკითხვა თავიდან... მეა ხომ არ გიფრთხობთ თაყვანისმცემლებს?**

— არანაირად... საერთოდ, ბავშვები ყოველთვის გრძნობენ ადამიანების აურას, ჩემს ირგვლივ კი ყოველთვის კარგი ადამიანები არიან...

**— თაყვანისმცემელი მამაკაცებისგან ყველაზე დასამახსოვრებელი რა რომანტიკული საჩუქარი მიგიღიათ?**

— თქვენ რა, გინდათ ყველაფერი გაიგოთ? (იცინის)... როგორ არ მიმიღია?! თანაც ბევრი და ბევრსაც მივიღებ...

**— დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, მე უბრალოდ რომელიმეს გამხელას გთხოვთ...**

— პრინციპში, მე მგონი, ვერაფერსაც ვერ გავამხელ...

**— გამოდის, რომ საკმაოდ ბევრი საიდუმლო აქვს ნინაკას...**

— რასაკვირველია...

**— მეა რაში ჰგავს საიდუმლოებით სავსე დედიკოს?**

— ძალიან ბევრ რამეში მგავს... აბსოლუტურად ზუსტად იმეორებს ჩემს ბავშვობას, — „ნინაკა დვას" ეძახიან. მე ასეთი „გადაქსეროქსებული" არაფერი მინახავს... საოცრად თბილი ბავშვია, ძალიან ფაქიზი სულის პატრონი, შეიძლება სულ უმნიშვნელო რაღაცამ ატკინოს გული... არ მინდოდა ამაში დამმსგავსებოდა, — ვნერვიულობ,





რადგან გაუჭირდება ცხოვრება...

**— „ნინაკა დვას" არ აპროტესტებს?**

— პირიქით, იძახის, რომ ყველაზე ლამაზი და კარგი დედიკო ჰყავს, მთელ მსოფლიოზე კარგი... მსოფლიოში კარგს კი არ ამბობს, მთელ მსოფლიოზე კარგი (იცინის)...

**— ნინაკა, „იუმორინაში" ერთადერთი ქალი ხართ... ალბათ, განებივრებენ მამაკაცები...**

— რა თქმა უნდა... ძალიან მანებივრებენ და მეც ვანებივრებ მათ კარგი სიტყვებით, ზოგჯერ ცუდითაც და ეს „ცუდიც" ისე მოსწონთ, რომ გიჟდებიან... როდესაც ვტუქსავ, ესეც ძალიან მოსწონთ. ოღონდ კი მე ცუდ ხასიათზე დამაყენონ და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ, რათა მერე თვითონ იცინონ — ცუდ ხასიათზეც ისეთი ვარ, რომ ისინი მხიარულად გრძნობენ თავს... ჩვენი „პატარა პრეზიდენტი" — მამუკა ლომაშვილი ამბობს ხოლმე: „ვგიჟდები ცუდ ხასიათზე რომ ხარო". „რატომ-მეთქი?" რომ ვეკითხები, „ასეთი მომწონხარო" — მპასუხობს...

**— რა არის თქვენი მიზანი, რომელიც როგორც ქალმა დღემდე ვერ აისრულეთ?**

— მინდოდა, მთელი ცხოვრება ერთი მამაკაცის ერთგული ვყოფილიყავი, მაგრამ ისე აეწყო ყველაფერი, რომ როგორც ქალმა, ეს ოცნება თუ მიზანი, ვერ ავისრულე. დანარჩენი ყველაფერი ამიხდა: მინდოდა ვყოფილიყავი მსახიობი და გავხდი მსახიობი; მინდოდა მეასნაირი შვილი მყოლოდა და ღმერთმა ესეც მაჩუქა... კიდევ ბევრი ისეთი რამ მაჩუქა ღმერთმა, რაც, ალბათ, სხვებისთვის არ უჩუქებია... ალბათ, უფლის ნება იყო ისიც, რომ თავად მე შობა დღეს 7 იანვარს ვარ დაბადებული... ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

**— მეა დას ან ძმას არ თხოულობს?**

— თხოულობს, რა თქმა უნდა (იცინის)...

**— მერე, რას აპირებს ნინაკა?**

— იცით, რა? თუ ვინმე გამიჩენს და მაჩუქებს,



ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები... სანამ მეა მეყოლებოდა, მანამდეც ძალიან მეშინოდა ბავშვის გაჩენის, მაგრამ ახლა უფრო მეტად მეშინია... ისე ვთვლი, რომ ჯერ ყველაფერი წინ მაქვს, ახალგაზრდა ვარ, ოცდასამს ეს ესაა გადავცილდი (იცინის) და რა მოხდა — გავაჩენ...

**— მართალი გითხრათ, მიკვირს, როცა ამბობთ, რომ რაღაცის გეშინიათ — ძლიერი ქალის იმიჯი გაქვთ და თქვენგან ასეთი ფრაზის მოსმენას ნამდვილად არ ველოდი...**

— კი, ასეთი იმიჯი მაქვს და ალბათ, ვარ კიდეც ძლიერი, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე ძლიერი ქალიც კი, ძალიან ადვილად მართვადი და საოცრად ფაქიზი სულის პატრონია, გაცილებით მეტი სისუსტეები აქვს, ვიდრე, საერთოდ, სუსტ ქალს. მე ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. ვფიქრობ, არის ამაში რაღაც დიდი ჭეშმარიტება.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ქალმა იმისთვის, რომ ყოველთვის მომხიბვლელი და სასურველი იყოს მამაკაცისთვის, ანუ იყოს მამაკაცის სიყვარულის ობიექტი?**

— ქალს ყოველთვის უნდა ეტყობოდეს, რომ ქალია. პირველ რიგში, მას თავად უნდა ჰქონდეს სურვილი და მონდომება იმის, რომ მუდმივად ფორმაში იყოს, არა მარტო მამაკაცის ყურადღების მისაპყრობად, არამედ საკუთარი თავისთვის, რადგან ამ დროს განწყობაც სხვანაირია — ამაღლებული, რაც თავისთავად გადადის ირგვლივმყოფებზე. ცხადია, ყოველთვის არ არის იმის საშუალება, რომ სილამაზის სალონს მიაკითხო და თავი იქ მოიწესრიგო, მაგრამ მთავარი მაინც შინაგანი სისუფთავეა. თუ გარეგნულ ხიბლს შინაგანი სულიერება და სუფთა მრწამსი არ ერთვის თან, ასეთ ქალს სილამაზის სალონი ვერაფერს უშველის. შინაგან მოწესრიგებულობას და ბუნებრივ სილაღეს სალონში ვერ შეიძენ...

**— ყველაზე მეტად კი, ალბათ, სწორედ ეს ხიბლავთ მამაკაცებს...**

— რასაკვირველია... შეიძლება ბევრი მანდილოსანი დადიოდეს გარეგნულად ძალიან მოვლილი, მაგრამ შინაგანად არ იყოს სუფთა ბუნების და სულიერების მქონე პიროვნება, რაც, ვფიქრობ, ყველაზე ცუდია...

**— ნინაკა, მშვენიერი გარეგნობა გაქვთ, კარგად ფლობთ სცენაზე დგომის ხელოვნებას... მოდელობაზე არასოდეს გიფიქრიათ?**

— არასოდეს, რადგან ვფიქრობ, რომ ყველაზე კარგი პროფესია მაქვს. ალბათ, გაჩნდი თუ არა ამქვეყნად, უფალმა მაშინვე ჩადო ჩემში ის მუხტი, რომ მსახიობი უნდა ვყოფილიყავი. „რა უნდა გამოხვიდე?" — ჩემთვის მსგავსი შეკითხვა არავის არასოდეს დაუსვამს. რაც თავი მახსოვს, ყველა ამბობდა: „ჩამოყალიბებული არტისტიაო" და მეც ვიცოდი, რომ არტისტად დავიბადე... რაც შეეხება მოდელობას, ჩემს ბავშვობაში არანაირად მომხიბვლელი პროფესია არ ყოფილა, ჩემთვის არაფრის მომცემი, მსახიობობაში კი ძალიან დიდი სულიერებაა — მსგავსი სულიერება არცერთ სხვა პროფესიაში არ არის. ხშირად ვესწრები ბატონი თემურ ჩხეიძის რეპეტიციაზე და მიფიქრია, როგორ ძლებენ ადამიანები, რომ არ




არიან არტისტები და ამ გენიოსის რეპეტიციას არ დასწრებიან-მეთქი? მე ბედნიერი ვარ, რომ ამის საშუალება მქონდა და იმედია, კიდევ მექნება...

**— სწორედ თეატრის შესახებ მინდოდა მეკითხა: მიუხედავად იმისა, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხართ, მაყურებელი ძირითადად საესტრადო სცენაზე — ფილარმონიაში გხედავთ... რა ხდება, შეიცვალა რაიმე თქვენს სამსახიობო მოღვაწეობაში მას შემდეგ, რაც მარჯანიშვილის თეატრში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, თუ ისევ განიცდით როლების ნაკლებობას?**

— როლების ნაკლებობა ყოველთვის არის თეატრში, რადგან ერთ სპექტაკლში, ცხადია, ყველა მსახიობი ვერ ითამაშებს. ეს სავსებით რეალური და მისაღები ფაქტია, მთავარია, რომ თეატრალური ცხოვრება არ შეწყდეს. ჩვენს თეატრში იყო პრობლემები: ჯერ ერთი, დიდხანს გაგრძელდა რემონტი, ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, მერე ნაწილობრივ მოხერხდა ძველი სპექტაკლების აღდგენა, ნაწილობრივ ვერ მოხერხდა. ახლა ახალი სპექტაკლები იდგმება და მოუთმენლად ველოდები, როდის დავბრუნდები თეატრის სცენაზე...

**— მანამდე, ვფიქრობ, არ დაგვიმალავთ, რას ელით ცხოვრებისგან?**

— ყველაფერ იმას ველი, რასაც თავად ვუსურვებდი თითოეულ ადამიანს, რადგან ვფიქრობ, რომ ის, რასაც სხვებს ვუსურვებთ, ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება. ალბათ, ღმერთი ამ სურვილებს მეც უკან დამიბრუნებს და ისეთი ცხოვრება მექნება, როგორსაც მე ვუსურვებ მთელ საქართველოს.

**— კონკრეტულად საქართველოს ქალებს რას უსურვებთ?**

— კონკრეტულად საქართველოს ქალებს ვუსურვებ, რომ ყოველთვის ისეთივე ლამაზები, მშვენიერები, მომხიბვლელები იყვნენ, როგორც მათთვის ყველაზე ბედნიერ წუთებში. გულწრფელად გეტყვით, რომ პირადად მე, ქართველ ქალზე ლამაზი არასოდეს არავინ მინახავს!..

*თამარ ოთიაშვილი*



● ლალი ლომთაძე და ნანა ჭურღულია

# მიყვარს მზე და სითბო, ახალგაშლილი ფოთლების ფერი

8 მარტს M-გალერეაში გაიხსნა ცნობილი ქართველი გრაფიკოსების – ლალი ლომთაძისა და ნანა ჭურღულიას ნამუშევრების გამოფენა. გემოვნებიანმა მხატვრებმა წარმოადგინეს ბოლო წლებში შექმნილი დახვეწილი, ლირიკული, უზადო ნახატები, რომელთა ხილვაც მნახველს გულგრილს არ ტოვებდა და ჰარმონიული ფერების განუმეორებელ სამყაროში გადაჰყავდა.

გამოფენაზე საგაზაფხულო-საზეიმო განწყობა სუფევდა. იყო მილოცვა, ყვავილების ზღვა და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი ხელოვნება. ვფიქრობ, ერთ-ერთი დამთვალიერებელი ყველას განწყობას გამოხატავს:

– მოხიბლული ვარ გამოფენით. ორივე მხატვარი ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის. აქ ბევრი ხალხი ტრიალებს, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ნამდვილ მხატვარს ყოველთვის ჰყავს დამფასებელი. დიდი მადლობა ლალისაც და ნანასაც.

მხატვარ ლალი ლომთაძის ნამუშევრები ლირიკულობით და სიმსუბუქით გამოირჩევა. დახვეწილ შემოქმედს კარგად იცნობენ საზღვარგარეთაც.

დაიბადა თბილისში 1955 წელს. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილება. იმავე წლიდან სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, თანამშრომლობს გამომცემლობებთან: „დილა", „აი ია", „მერანი", „ევრიკა", „ნაკადული". მუშაობდა დამდგმელ მხატვრად სატელევიზიო მხატვრულ ფილმებზე: „ყველაწმინდა" (1977წ.), „გასეირნება" (1978წ.), სატელევიზიო სპექტაკლზე „პალესტინა-პალესტინა" (1982წ.).

1984 წლიდან ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1986 წლიდან – თბილისის სახელმწიფო აკადემიაში. არის დოცენტი.

პერსონალური გამოფენები:

1984 – მხატვრის სახლი, თბილისი.
1992 – ფილმჰაუზის გალერეა, საარბრიუკენი.
1993 – შერატონ მეტეხი პალასი, თბილისი.
1995 – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.
1995 – შერატონ მეტეხი პალასი, თბილისი.
2000 – გალერეა TMS, თბილისი.
2004 – გაეროს სახლი, თბილისი.
2004 – პარიზი, „კავკასიის სახლი".

**– როგორი განწყობა გაქვთ? – ვეკითხები ლალი ლომთაძეს.**

├ საგაზაფხულო. გაზაფხული ხომ ჩემი უსაყვარლესი დროა. მიყვარს მზე და სითბო, ახალგაშლილი ფოთლების ფერი...

**– გამოფენებს ხშირად აწყობთ?**

├ ეს ჩემი მეათე პერსონალური გამოფენაა. ისე, ბევრი გამოფენა მქონდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ჯგუფური, ალბათ, 200-მდე. მე და ნანა ჭურღულიას მესამე პერსონალური გამოფენა გვაქვს ერთად. ეს გამოფენა მივუძღვენი დედაჩემს – მოლინა უგულავას. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მხატვარი გავმხდარიყავი. ბავშვობიდან ყველა ჩემს ნახატს ინახავდა და პატარაობისას სახლში გამოფენებს მიმართავდა ხოლმე.

**– საინტერესო ცხოვრება გაქვთ?**

– რა თქმა უნდა. ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს და ვცხოვრობ ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

**– ყოველდღე ხატავთ?**

– ყოველდღე ვხატავ, სხვანაირად არ შემიძლია.

**– რა არის თქვენი შთაგონების წყარო?**

– საქართველო, ქართული ხალხური მოტივები. მიყვარს პოეზია, ზღაპრები, მუსიკა.

**– რაზე ოცნებობთ?**

– თავისუფალ და აყვავებულ საქართველოზე. მინდა, ჩვენს შვილებს უკეთესი მომავალი ჰქონდეთ.

*მანანა ციცქიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ოჯახის საყრდენი მოყვასის სიყვარულია



კოპწია სახლი ფიქრის გორაზე, ვიტრაჟებიანი კარ-ფანჯრებით. კედლები ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატებითაა მოფენილი. ტილოები ოჯახის დიასახლისის, ცნობილი დიზაინერის ნია ნადირაშვილის ბაბუას მიხეილ ნადირაშვილს და ძმისშვილ ნანას ეკუთვნით. ბინაში იგრძნობა დახვეწილი გემოვნება.

საუბარი სწორედ წინაპრების მოგონებებით მინდა დავიწყოთ, მაგრამ ამ თემას ნია საგანგებოდ უვლის გვერდს. არ მინდა გული ზედმეტად ვინმეს ვატკინოო. დიდი ტკივილი და მწუხარება გადაუტანია ვასილ ნადირაშვილის ოჯახს, დაწყევლილ ოცდაჩვიდმეტში.

თუმცა ჩემს თხოვნაზე უარს ველარ მეუბნება.

— ჩემი დიდი ბაბუა, ვასილ ნადირაშვილი დიდი მეცენატი გახლდათ. შვიდი შვილი ჰყავდა. დიდი ქონების პატრონი იყო. ოჯახის ახლობლებიც ერის რჩეულები იყვნენ: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვაჟაფშაველა, შიო მღვიმელი... წარმოშობით უბატონო ზემომაჩხაანიდან იყო. დაუმორჩილებელი ბუნება იქიდან მოსდგამს ჩვენს გვარს, არც მე ვარ გამონაკლისი... ოცდაჩვიდმეტი წლის სისასტიკეს ვერც ვასილ ნადირაშვილი გადაურჩა. შვილები გადაუსახლეს, ვინც მოასწრო საზღვარგარეთს შეაფარა თავი. ბებია და ბაბუა კი ბოდბის ეკლესიამ შეიფარა. მალე ეკლესიაშიც შეაღწია კომუნისტების რისხვამ. იღუმენიამ კედლიდან ჩამოხსნა წმიდა ნინოს ხატი, ბებიას მისცა, გზა დაულოცა და ასე გამოაპარა ეკლესიიდან.

...მოგვიანებით პარიზიდან დაბრუნდა ბაბუაჩემის და, ქეთევან ნადირაშვილი, მან შემასწავლა ფრანგული ენა. უსამართლობას შეეწირნენ ჩემი წინაპრები. ბაბუაჩემი მიხეილ ნადირაშვილი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ცნობილი მათემატიკოსი იყო, მუსიკაზე შეყვარებული. პეტერბურგში ჰქონდა კონსერვატორია დამთავრებული, პარიზში — ხელოვნების აკადემია (კედლებს სწორედ მისი ნამუშევრები ამშვენებს), თქვენ წარმოიდგინეთ, შალიაპინთან ერთად მღეროდა. მშობლები შვილების განათლებისათვის არაფერს იშურებდნენ.

**— ჩვენი ჟურნალის მკითხველები იცნობენ თქვენს შემოქმედებას, და მაინც რაიმე სიახლეს ხომ არ პირდებით მოდის მოყვარულებს?**

— შარშან, ზაფხულში მოეწყო ჩვენი ვებ-გვერდის პრეზენტაცია. გავხსენით საიტი ინტერნეტში. ჩვენი პროდუქციის მომხმარებელი მსოფლიოში ცნობილი ადამიანები არიან. სიუზან სარანდონს სამოცი წელი რომ შეუსრულდა, მის კალაპოტზე (რომელიც ჩვენს საწარმოში ინახება) შევკერეთ ფეხსაცმელი და ჩანთასთან ერთად წარწერით — „ექსკლუზიურად შექმნილია ნიას მიერ სიუზან სარანდონისათვის საუკეთესო სურვილებით“ — გავუგზავნეთ საჩუქრად. მოგვიანებით ოფიციალურად შეგვატყობინეს, რომ სიუზანი 2005-2006 წლებში კინოჩვენებებზე, დაბადების დღეებზე მხოლოდ ჩვენი ფეხსაცმელებით გამოდიოდა. შარშან ტყავისგან დამზადებული ყვავილებიც ვუსახსოვრეთ. ჩემი უახლოესი მეგობარი ნინო კუტიბაშვილი ინგლისში ცნობილი სამკაულების ავტორი-დიზაინერია, არაერთ კონკურსში გამარჯვებული, მაღალი ჯილდოების მფლობელი. ჩემს საჩუქართან ერთად მანაც გაუგზავნა სიუზანს ორიგინალური საყურეები. როგორც მისმა პირადმა აგენტმა გვაცნობა, სიუზანი აღფრთოვანებულა ჩვენი საჩუქრებით. გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ ჩემი შექმნილი ფეხსაცმლით, ქართველი თიკო ჩხეიძე გახდა „მის მსოფლიო ბიკინის“ სახე. მაქვს უამრავი პირადი შემოთავაზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დიზაინერებისაგან. თუმცა, არ ვაპირებ დათანხმებას. ჩემს საყვარელ საქმეს ჩემს საყვარელ ქალაქში ვაკეთებ. ჩემმა ნაწარმმა გზა თავისით გაიკვლია. წელიწადნახევარში ამერიკის მაღალი წრის საზოგადოება დააინტერესა ჩემმა საავტორო ნამუშევრებმა, აღიარება მოიპოვა გამოფენებმა ნიუიორკსა და მაიამიში. თუმცა, ჩემთვის მთავარია, გემოვნებიანი და მკაცრი ქართველი მომხმარებელი მყავდეს კმაყოფილი. ალბათ, ყოველ წამს ვუშვებთ შეცდომებს. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარია, მიხვდე, როდის რა შეგეშალა, გაიაზრო ეს შეცდომა და მომავალში არ გაიმეორო. წარმატებამ არ უნდა დაგახვიოს თავბრუ და არ დაგაკარგვინოს წონასწორობა. ვთვლი, რომ ბედნიერი ვარ. უფალმა დიდი საჩუქარი გამიკეთა, რომ ასეთი გამაჩინა. შემიძლია ყოველდღე მივანიჭო ადამიანებს სიამოვნება. სხვისი სიხარული კი ჩემი სიხარულია. ვინ მოთვლის, რაც ჩემი მომხმარებლისგან მადლობა მიმიღია. ამიტომ არასოდეს მივატოვებ ჩემს საყვარელ საქმეს, ჩემს ხალხს.

ჩემთვის უცხოა შურის განცდა. არც მაქვს შურიან ადამიანებთან არანაირი შეხება. ჩემი ოჯახი და მეგობრები შორს არიან ამ გრძნობისაგან. აქ დედაჩემს დავესესხები, რომელიც ახალგაზრდობიდან არც თუ ისე ურიგო ლექსებს წერს:

„...გინდ ფუფუნებით განვლო ცხოვრება,
გინდაც სულ თელო ეკლების ბარდა,
სუყველაფერი ფუჭია ქვეყნად,
სიყვარულის და სიკეთის გარდა!..“

დედა — იუზა ანდრიაძე-ნადირაშვილი, შესანიშნავად ქსოვს, კერავს, ქარგავს. მე და ჩემი ძმები ნათელი მაგალითით აღგვზარდეს. ჩვენი ოჯახის საყრდენი მოყვასის სიყვარულია. დედამ პატარაობიდანვე ჩაგვინერგა, რომ შრომა ადამიანის სულის სისუფთავისთვის აუცილებელი პირობაა და არა აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ, მთავარია, დრო ფუჭად არ გაფლანგო. ოცდაშვიდი წლის ასაკში აფხაზეთის ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი იყო, ანუ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ვაჭრობის ყველა ქსელის შემოწმება მას ევალებოდა. მან დანერგა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის სისტემა. შემდეგ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის კადრების მომზადებას ხელმძღვანელობდა.

მამა — ვლადიმერი წლების მანძილზე მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე იყო. მოგვიანებით ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანებული ფაბრიკა „ისანის“ გენერალური დირექტორი. არ მახსოვს მამა დაღლილი, მოწყენილი, უძლური, ავადმყოფი, ოთხმოც წელს გადასცილდა და ისევ ახალგაზრდული შემართებით ცხოვრობს.

დედაჩემის დედა, ნინო ანდრიაძე, რომელმაც გამზარდა, უკეთილშობილესი ქალი იყო. გუშინდელივით მახსოვს, ძილის წინ, ღვთისმშობლის ხატთან მობუტბუტე, ლოცვას ამ სიტყვებით დაასრულებდა — შეიწყალე ჩემი შვილები, არ მისცე ბევრი ფული, რათა მშვიდად იძინონო. ერთხელ ამაზე ჩემი ძმა შეეკამათა. მოიყრებით ჩემს ასაკამდე და მაშინ მიხვდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებასო, უპასუხა ბებომ.

**— მეოცნებე ხართ, თუ რეალისტი, ნათქვამია, ოცნებას ძლიერი ფრთები აქვსო.**

— გააჩნია... ხან რეალისტი ვარ, ხანაც მეოცნებე. ვოცნებობ მანამ,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

24971



● ნინო და მარიამი

სანამ შეიძლება, ოცნების საგანი რეალობა გახდეს. ჩემი დაკვირვებით, პირადი მაგალითით, ლოცვის ძალით შეიძლება, ოცნება რეალობად იქცეს.

**— ტეტჩერის სიტყვებია: — „სახლი ის ადგილია, სადაც მაშინ მიდიხარ, როცა სხვა უკეთესი საქმე არა გაქვს“. თქვენთვის რა არის ოჯახური სიმყუდროვე?**

— ჩემთვის ოჯახი დიდი დასაყრდენია. ჩემს წინაპრებს ტრადიციული ოჯახები ჰქონდათ. მათი გენეტიკური კოდი დევს ჩემში. ადრე გავთხოვდი, არ ვნანობ, გამიმართლა, თუმცა დიდი წინააღმდეგობებით ვიცხოვრე. ვერ მაიძულეს კომკავშირში შესვლა, რაც ჩემგან პროტესტის გამოხატულება იყო. ეხლა ვხვდები, როგორი ჭკვიანი მშობლები მყავდნენ, წინააღმდეგობებს არ მიქმნიდნენ. თუმცა მასწავლებლებისგან ვისჯებოდი ხშირად. ყელსახვევის მაგივრად ჯვარი მეკეთა, ამისთვის რამდენჯერმე დავისაჯე. შვიდი სკოლის გამოცვლა მომიხდა. არ მახსოვს, რომელიმე ამხანაგთან კონფლიქტი მომსვლოდა. მათი სითბო დღემდე მომყვება... ვცდილობ, ჩემმა შვილებმა თავდავიწყებით შეიყვარონ სამშობლო. ჩემს საქმეს დიდი დრო მიაქვს, ამიტომ ოფისი სახლის პირველ სართულზე გავაკეთე, რათა ჩემს შვილებს არ მოაკლდეთ ჩემი ყურადღება. ძილისთვისაც მენანება დრო.

**— რაზე ღელავთ?**

— იმპულსური ადამიანი ვარ. როცა ემოცია მომეძალება, ვნატრობ და უფალს შევთხოვ, ყველანი ჯანმრთელად მყავდნენ, სხვა არაფერი ღირს ამქვეყნად სანერვიულოდ. ვაკეში გავიზარდე, ჭავჭავაძის გამზირზე, მიყვარს იქაურობა, იქ დარჩა ჩემი საუკეთესო წლები, უდარდელი, სუფთა ბავშვობა...

— ერთი რამ შევძელი — შვილებში შრომის მადლი ჩავდე. ორმოც წელს გადავაბიჯე. უკვე ბებია ვარ. ნინო, ჩემი ქალიშვილი



ოცდასამი წლისაა, ორი შვილი ჰყავს — მარიამი და ლუკა, „ვი თი ბი“ ბანკში მუშაობს იურისტად. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე მიხეილ ჯანგირაშვილი. გიორგი შარშან გახდა სტუდენტი. მე და ჩემმა მეუღლემ, მიშა ალხაზიშვილმა, რომელიც ჩვენი წარმოების სული და გულია, შარშან გადავიხადეთ ვერცხლის ქორწილი.

*ნანული ბუკია*




### გამაახალგაზრდავებელი ნიღაბი ნებისმიერი ტიპის კანისთვის

ერთ ჩაის კოვზ ალოეს წვენს შეურიეთ ნახევარი ჩაის კოვზი ცაცხვის თაფლი და წინასწარ გასუფთავებულ სახეზე წაისვით. 10 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი კრემი წაისვით. შეგიძლიათ ნიღაბი ყოველ კვირას (კვირაში ერთხელ) გაიკეთოთ.

### გლიცერინის ნიღაბი მშრალი კანისთვის

ერთი ჩაის კოვზი გლიცერინი, 1 ჩაის კოვზი თაფლი, 2 ჩაის კოვზი წყალი ერთმანეთში აურიეთ. დაუმატეთ იმდენი შვრიის ფქვილი, რომ საშუალო სისქის ფაფა მიიღოთ. მომზადებული მასა სახეზე დაიდეთ და 20 წუთით გაიჩერეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და მკვებავი კრემი წაისვით. ნიღბის გაკეთება კვირაში 1-2-ჯერაა სასურველი.

### კვერცხის გულის ნიღაბი

ერთი კვერცხის გულს შეურიეთ ერთი კოვზი შვრიის ფქვილი და 15 წუთით სახეზე დაიდეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და მკვებავი კრემი წაისვით. ნიღაბი ნაზ და მგრძნობიარე კანს უხდება.

### კომბოსტოს ნიღაბი

კომბოსტოს რამდენიმე ფურცელი წვრილად დაჭერით და რძეში მოხარშეთ, ვიდრე ფაფისებურ მასას არ მიიღებთ. შეაგრილეთ და ოდნავ თბილი მასა 20 წუთით სახეზე დაიდეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და მკვებავი კრემი წაისვით.

ნიღაბი კანს კვებავს და აახალგაზრდავებს.



### იდაყვების მშრალი კანის მოვლის საშუალება

ოდნავ უხეშად დაფქვილი ყავის მარცვლები და შხაპის ჩვეულებრივი გელი ერთმანეთში აურიეთ. შეიზილეთ იდაყვებში, მერე კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. შემშრალებულ იდაყვებზე მცენარეული ზეთით კარგად გაჟღენთილი ბამბის ტამპონები 5 წუთით დაიდეთ და ცელოფნები გადაიკარით.შემდეგ აბანოს ქისით კანი კარგად გაიწმინდეთ (აიგორეთ), იდაყვები ქაღალდის ხელსახოცით შეიმშრალეთ და ზედ რომელიმე ცხიმიანი მკვებავი კრემი წაისვით. ეს პროცედურა შეგიძლიათ კვირაში 1-2-ჯერ გაიმეოროთ. მკვებავი კრემი ყოველ საღამოს უნდა შეიზილოთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდანიანი



● **ნიკოლო მიწიშვილი**

(დასასრული. დასაწყისი იხ. N1-2)

1922 წელი. დუქანი „ფიროსმანის ძროხა", სადგურთან. მაგიდას სამნი უსხედან: ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე და ტიციან ტაბიძე.

– თქვენ ამბობთ, რომ მე მაქვს საკუთარი ხმა, ჩემი გზა და გამართლება, რომ მე „არ მკიდია სხვისი კურტანი". მე დღეს გშორდებით თქვენ და გთხოვთ... თუმცა ჩვენ ყველანი ვიბრძვით საკუთარი ნიჭის ამაღლებისათვის – ჩვენ ვართ მეგობრები სიკვდილამდე... ჩვენს პოეზიაში მე მეკუთვნის ერთი თარო და ეს თარო ჩემი უნდა იქნეს ბრძოლა კი იყოს, ჩვენ არ დავზოგავთ ერთიმეორეს... ცხადია, ნიკოლო მიწიშვილის ამ ფრაზაში პოეზიისადმი მათი ის უშეღავათო დამოკიდებულება იგრძნობა, რაც „ორდენის" შეუვალი წესი იყო.

– გავა წლები და ეს წლები იტყვიან თავის სიტყვას ჩვენს შესახებ. ჩვენ კი ამის გარეშე უნდა ვაფასებდეთ ერთიმეორეს, როგორც ადამიანები... ეს იყო უკანასკნელ საათს სამშობლოდან მიმავალი პოეტის განდობა ძმობის წევრებთან, ძმობისა, რომელთა მონოლითურ ერთობაზე 1920 წელს ასე განცვიფრებული წერდა ივანე გომართელი: „სიმბოლისტებს („ცისფერ ყანწელებს" – ც.ხ.) აქვთ ერთი დიდი ღირსება: მათ შეჰქმნეს პოეზიის ორდენი, პოეტების ძმობა.

ისინი ერთი აზრით არიან განმსჭვალულნი, ერთი მეორე უყვართ, პატივსა სცემენ და ერთმანეთი ზეპირად იციან, ერთიმეორისათვის ცოცხალი წიგნები არიან და ერთმანეთს სიყვარულითა და დაჟინებით ავრცელებენ.

სხვამ ვინ მოახერხა ეს ჩვენში?

ვინ იფიქრა ან იზრუნა ამაზე?

ეს კი აუცილებელია, მისაბაძია".

მაგრამ სწორედ მათი მიბაძვა იყო მიუწვდომელი და, თუ რატომ, რა იყო ამ მიუწვდომლობის მიზეზი, მოვიხმობ გრიგოლ რობაქიძის ბრწყინვალე ესსეს „მიხაკო წერეთელი", კერძოდ, მოგონების იმ ნაწილს, რომელიც „თეთრი გიორგის ორდენს" შეეხება:

„თეთრი გიორგი" ცოცხალი „ხატია", ქართველთა მისტერიისაგან შობილი. როგორც ასეთი, მისი „ყოფაღდება" მხოლოდ მისტერიული გეზით თუ შეიძლება. ამ „ყოფაედებას", ვფიქრობ, მხოლოდ „ორდენის" სახით ძალუძს განსხეულდეს. გაიხსენეთ პითაგორელთა ორდენი. იგი რიცხვმრავალი არ ყოფილა – რადგან ყველას, ძალიან მომდომებულსაც კი, არ შეეძლო გამხდარიყო მისი წევრი. წევრობისათვის საჭირო იყო მზადება შინაგანი სულითა და გონით. მზადება, არა როგორც „სწავლა" საიდუმლოთა – ეს ყველას შეუძლია. საჭირო იყო: „ხილვა საიდუმლოთა და „ხილვა", როგორც „წვდენა" სიღრმესი და „წვდენა", როგორც უშუალოდ „დგენა" ხილულისა... სულისა და გონის ამ გზით ზრდასთან ერთად საჭირო იყო „ხასიათის" მტკიცება საჭირო იყო „წვართი" ხასიათისა: წვართი ყოველი ღვარძლისაგან „განმწმენდი". ორდენი საიდუმლოებით იყო მოცული – ეს იმისათვის, რომ მის იდეათა სამთავრო „პროფანებს" არ წაერყვნათ". შესაძლოა, ამ ნათქვამიდან სიტყვა-სიტყვით ყველაფერი „ცისფერ ორდენს" არ ეხებოდეს, მაგრამ ბევრი რამ უთუოდ ნიშნეულია და ფაქტია ის, რომ ცისფერ ყანწელთა ჟურნალ-გაზეთებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ყანწელები იბეჭდებიან და ამასთან, მათი რიცხვიც განსაზღვრულია: ისინი ცამეტნი იყვნენ, მაგრამ, პაოლო იაშვილის სიტყვით, ათი ყანწელის გვარი იცის საქართველომ პოეტი და თავადვე ჩამოთვლის ამ სახელებს: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი".

1928 წელს ნიკოლო მიწიშვილი ასე გაიხსენებს ივნისის იმ დღეს, დუქანში გატარებულს, ტიციან ტაბიძესა და გიორგი ლეონიძესთან ერთად: „კეთილო ძმანო, შევიქენი თქვენი მოვალე. უკანასკნელად თქვენის ხელით მე ვეზიარე..." ეს დღეები ჩაწვა „შავ ვარსკვლავში". „შავი ვარსკვლავი" – „წმინდანიანთან" ერთად პოეტმა „შავი ყორანის" მსგავსად, გლოვისა და მწუხარების, უბედურების სიმბოლოდ მიიჩნია.

მეორე პოეტური კრებულიც – „შავი ვარსკვლავი" – 1922 წელს გამოიცა, რის შესახებაც ავტორი წერდა: „დაიბეჭდა „შავი ვარსკვლავი" – ჩემი პოემა, სტამბოლში რომ დავწერე. ისიდორე ქარსელაძემ ამიწყო, დამიბეჭდა მონასტრის სტამბამ... ლელი ჯაფარიძემ მიშოვნა ქაღალდი. ესაა პირველი წიგნი ქართველი პოეტისა, რომელიც დაბეჭდილა სტამბოლში". წიგნს მისთვის ჩვეული გულისხმიერებით გამოეხმაურა შალვა აფხაიძე – „მთელი ეს წიგნი პოეტის გულის ერთი ნატეხია... ეს არის მოთქმა საკუთარ მიწას, ცასა და ჰაერს მოწყვეტილი ადამიანის... მეგობრების, დატოვებული სიყვარულის ფონზე წამოიჭრება პრობლემა საქართველოსი. ამ პრობლემის უშუალო განცდაა მოცემული „შავ ვარსკვლავში".

1923-1925 წლები. პარიზი. აქ ნიკოლო მიწიშვილი აყალიბებს „ქართველ ხელოვანთა კავშირს", რომლის წევრებიც არიან იმჟამად იქ მყოფი ქართული ხელოვნების წარმომადგენლები: დავით კაკაბაძე, ლადი გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, სანდრო ინაშვილი...

1923 წელს წერს წიგნს „თებერვალი", ხოლო 1928 წელს – ეპოპეას – „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, რომლებიც დოკუმენტური პროზის იშვიათი ნიმუშებია, მაგრამ, უმჯობესია, თვით ავტორს მოვუსმინოთ: „ეს წიგნი („ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან" – ც.ხ.) პირველი ტომია ჩემ მიერ განზრახული ფართო ქრონიკისა, რომელიც იშლება რევოლუციის ფონზე საქართველოში და საზღვარგარეთ.

ლიტერატურულად ის აგებულია წერის იმ პრინციპზე, რომლის შესახებ ჩემი აზრი მწერლობაში უკვე ცნობილია (დოკუმენტური პროზა). რამდენადაც ვიცი, ჩემი ცდა იყო პირველი მაგალითი საქართველოში ყველა თეორიულ დეკლარაციებზე ადრე...

წიგნი იძლევა რევოლუციით აფორიაქებულ ფენათა ყოფას და ფსიქოლოგიას, რაც ემიგრაციის მაგალითზე განსაკუთრებით რელიეფური ხდება.

შვიდი გაუსაძლისი თვე სტამბოლში, გატარებული საფრანგეთის ვიზის მოლოდინში. თითეული მათგანის გახსენებაზე, რაზედაც ასე დასამახსოვრებლად გვიამბობს პოეტი, გული ახლაც გეკუმშება, როგორლაც სხვაგვარ ტკივილით ძგერს. მაგრამ იუმორით უხვად დაჯილდოებული იმ უმძიმეს სიტუაციებშიც კი ახერხებს და საოცარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცხადით აღწერს ნიკოლო მიწიშვილი რევოლიციის იმ „აბრაკადაბრას“, რასაც თავადვე შესწრებია, რისი უშუალო მოწმეც ყოფილა მწერალი. ასეთი ეპიზოდები მის დოკუმენტურ პროზაში — „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, „თებერვალი“, — უამრავია, მაგრამ მათგან გამორჩევით გავიხსენებ ერთ ეპიზოდს:

1919 წელი. ცნობილი რუსი პოეტის ოსიპ მანდელშტამის ჩამოსვლა ყირიმიდან ბათუმში:

„ამ დროს მე და ტიციან ტაბიძე ბათუმში ვცხოვრობდით. როდესაც ნასადილევს ვბრუნდებოდით შინ, წამოგვეწია ვიღაც მოხუცი ებრაელი. გაგვაჩერა და გვითხრა, რომ ისაა ადგილობრივ ებრაელთა საზოგადოების მამასახლისი და გვკითხა — ვიცნობთ თუ არა ჩვენ პოეტ მანდელშტამს. ჩვენ ვუთხარით, რომ ვიცნობდით.

— თუ იცნობთ, — სთქვა ებრაელმა, — მაშინ საჭიროა, რომ პოეტები მიეშველოთ პოეტს: ის დაჭერილია და ზის განსაკუთრებილ რაზმში ნავსადგურზე... წავედით გენია ჩხიკვიშვილთან, რომელიც იმ დროს ბათუმის ოლქს განაგებდა... უბრძანა მოეყვანათ მანდელშტამი.

მოიყვანეს.

შემოვიდა კბილებჩაცვენილი, მელოტი, დაბალი და ჩამომხმარი...

ფეხზე დახეული წუღები ეცვა, ტანზე წვირიანი ბლუზა და მუხლებმოგრეხილი შარვალი. სანახაობა უწვერ-ულვაშო და ბიბლიური.

აჰედ-დახედა ჩხიკვიშვილმა, მოგვიბრუნდა ჩვენ და გვითხრა ქართულად:

— მე მართლა კაცი მეგონა და ეს რა საშინელება ყოფილა, ეს სახლკარდასაქცევი.

შემდეგ დააჯინა, თავაზიანად, დიპლომატიურად გამოარკვია, რომ ის მართლაც პოეტია და ბოდიში მოუხადა.

— ჩიტივით შემოჯდა მანდელშტამი სკამზე და მოყვა თავის ამბავს:

...წითლებს გავექეცი ყირიმისკენ. ყირიმში კი თეთრებმა დამიჭირეს: ბოლშევიკი ხარო. ყირიმიდან გამოვიპარე საქართველოში — აქ მიმტკიცებენ, რომ თეთრი ხარო. რა ვქნა? აღარ ვიცი რაღა ვარ — თეთრი, წითელი, თუ სხვა რაიმე ფერის. არავითარი ფერის მე არა ვარ. მე პოეტი ვარ, ვწერ ლექსებს და ყოველ ფერზე უფრო მაინტერესებს ტიბულლი, კატული, რომაული დეკადანსი...“

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიკოლო მიწიშვილის ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე საკმაოდ გახმაურებული წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რომელზედაც სათანადო პასუხი დღემდე არ გაცემულა და კვლევაც მსჯელობის საგნად რჩება. მინდა მკითხველს მხოლოდ აკაკი ბაქრაძის წიგნიდან „კარდუ“ მისი აზრი შევახსენო აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით: „ქართული საზოგადოება ნიკოლო მიწიშვილს აუმხედრდა. ასევე მიესიენ ილიასაც, როცა „კაცია-ადამიანი?!“ დაიბეჭდა. მოკვლასაც კი უპირებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილსაც ქვა და გუნდა დაუშინეს „ჯაყოს ხიზნებისთვის“. ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებიც“. თორემ „ბედნიერი ერის“, „ჯაყოს ხიზნების“, „ფიქრების“ არსს რომ ჩავწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა...“

1927 წელი ღირსსახსოვარი დღეა ნიკოლო მიწიშვილის ცხოვრებაში. ამ წელს უახლოვდება და ირთავს ცოლად თამარ კონსტანტინეს ასულ ბაგრატიონს.

— იმხანად არსებული ვითარების გამო დედა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მიუღიათ და მუშაობა დაუწყია მბეჭდავ-მემანქანედ გამომცემლობაში. სწორედ იქ გაუცვნიათ ერთმანეთი, - ჰყვება ბატონი ილამაზი. საუბარში თვალი უნებლიეთ მოპირდაპირე კედელზე მოზრდილ ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტისაკენ გამირბის. თვალს კიდევ უფრო ის იზიდავს, რომ მოდელი ქართულ სამეფო სამოსელშია გამოწყობილი. იქვეა, სულ მარჯვნივ, შედარებით მომცრო, მოლურჯო-მოცისფრო ტონებით შესრულებული პორტრეტიც. ერთი, ცნობილ ქართველ მხატვარს გიგო გაბაშვილს დაუხატავს, მეორე - შალვა მაყაშვილს. პორტრეტებზე გამოსახული ეს მშვენიერი ქალბატონი ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე თამარ ბაგრატიონია.

- აი ეს, სურათი შალვა მაყაშვილის დამ, ქალბატონმა ნუგეშამ, გადმოგვცა საჩუქრად, - მადლობის გრძნობით, სიამოვნებით ამბობს პოეტის ვაჟი და აქვე დასძენს, - დედას სურათი დაბეჭდილი იყო ავრეთვე საფოსტო ბარათზე, რომელსაც ახლდა წარწერა: „ქართველი ქალი“.

უცხოეთში, გატარებული წლები, ბედნიერი ჯვრისწერა ბაგრატიონის ქალზე ნიკოლო მიწიშვილის პორტრეტებს კიდევ ერთი პაროდიული შტრიხით შეავსებს. პაოლო იაშვილის კალმით „დახატულ“ ამ სურათს (მისი უკვე ცნობილი „სერიალებიდან“) შეიძლება „მეგობრული შარჟიც“ეწოდოს: „ნიკოლო მიწიშვილი მიტომ გვიყვარს წელს განსაკუთრებულად, რომ ის მხოლოდ შარშან დაბრუნდა საქართველოში, და მოიარა მთელი ქვეყნიერება. შეიძლება ითქვას, მთელი პლანეტა, როგორც პროპაგანდისტმა ჩვენი ორდენისამ. მისი მოხსენებები პარიზში, ლონდონში, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, რომში, პეკინში, ტოკიოში და სხვა უდიდეს ქალაქებში, დღესაც ხმაურობენ როგორც საოცრება, მსოფლიოს ახალ ესთეტიკისა.

მიწიშვილი დაბრუნდა ხუთი წლის წვერებით და პირველ შეხვედრის დროს მოგვეჩვენა უკეთილშობილესი პროფილი იმერეთის გლეხების და ყველა დიდს მსოფლიოს პოეტების, რომელნიც წვერებს ატარებდენ. დღეს, როდესაც ჩვენ იჭვი გვეპარება ჩვენს მომავალ შემოქმედებაში, ის გვამხნევებს და გვეუბნება: „ნუ შეშინდით. მთელი ევროპა და მსოფლიო ჩვენთან არის და მათი თავდები არის ჩემი პატიოსანი სიტყვაო. ამ მოკლე ხანში ნიკოლო მიწიშვილი პეკინში მიემგზავრება, რადგან იქ საცოლოდ დაუნიშნავს ჩინეთის პრეზიდენტის ქალი“.

ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. და აქ სამწუხარო მარტიროლოგს მოვიშველიებ „წმინდანიანის“ წინასიტყვიდან:

„მიწიშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1937 წლის 7 მაისს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. უჩვეულოა პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა - არსებული ვითარების ღრმა და ობიექტური ანალიზით, მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობით, ნერვიული დაძაბულობით. ულმობელი, საზარელი სიმართლე ღაღადებდა ამ სხდომაზე მწერლის პირით. 2 ივნისს იგი დააპატიმრეს (13 ივლისს ნიკოლო მიწიშვილი დახვრიტეს).

ავი ბედი ეწია მეუღლესაც, თამარ ბაგრატიონი, როგორც „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი“ 1938 წელს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაასახლეს, სადაც მისი ბედის გამზიარებელ უამრავ ქართველ მანდილოსანთან ერთად გაატარა გაუსაძლისი რვა წელიწადი.

ბავშვების — პატარა ილამაზის და მარიამის მოვლა-პატრონობა ბაბუამ, კონსტანტინე ბაგრატიონმა და თავად ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა დეიდამ — ნატო ბაგრატიონმა იტვირთეს.

— ბებია — ოლღა გიორგის ასული ამირეჯიბი, სამწუხაროდ, იმ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი. მას იშვიათი ხმა ჰქონდა და შესანიშნავად მღეროდა.

სხვათა შორის, ბებია ოლღა გახლდათ პირველი ქართველი ქალი, რომლის სიმღერაც გრამოფონზე ჩაიწერა. — ბებია განსაკუთრებული ფენომენია საქართველოში. აქვე გაიხსენებს სოფელ ჯვარისას, ბებია, ტასო გოგლიჩიძეს, და ბაბუას, — იოსებ სირბილაძეს.

უღრმეს მადლიერებას გამოხატავს ბ-ნი ილამაზი, რომ ჯვარისელებმა თავს იდვეს და მამისეულ ნასახლარზე გამართეს ნიკოლოზ მიწიშვილის სახელის უკვდავსაყოფად პოეტის სახლ-მუზეუმი, სოფელ ჯვარისას საშუალო სკოლაში ამ სკოლის პედაგოგთა, ქალბატონების — ეთერ შანიძის, ეთერ გიორგაძის, სკოლის დირექტორის ბატონ იროდი გიორგაძის მოთავეობით 2006 წლის ნოემბერში დიდი ზეიმით ჩატარდა ნიკოლო მიწიშვილის დაბადების 110 წლისთავი, და სკოლას პოეტის პატივსაცემად ეწოდა ნიკოლო მიწიშვილის სახელი.

უხანოდ, ტრაგიკულად შეწყდა პოეტის, მოღვაწის, ჭეშმარიტი მოქალაქის სიცოცხლე, მაგრამ დარჩა ნიკოლო მიწიშვილის მარადი პოეტური სიცოცხლე, სწორედ ისეთი, როგორიც მას სწამდა და სჯეროდა: „ჩვენ ლექსებს დავწერთ, ავტირდებით და ავატირებთ, ჩვენი დარტყმული ამ ქვეყანას დარჩება ლარი“.

ციური ხეთერელი

# დავითგარეჯა

## საუნჯე, რომელიც „არ არის გასაყოფელი“



წმინდა დავით გარეჯელის მიერ დაფუძნებული მონასტერი გარეჯის სერის ჩრდილოეთი კალთის ღრმა უბეშია მოქცეული. VI საუკუნის შუახანებში საფუძველჩაყრილ სასულიერო კერაში ცხოვრება ასწლეულების მანძილზე არ შეწყვეტილა. შესაბამისად, იცვლებოდა როგორც მისი მასშტაბები, ისე ხუროთმოძღვრული სახეც. საბოლოოდ მონასტერმა კლდოვანი უბის მთელი ქვედა მონაკვეთი მოიცვა და სამტერასიანი ეზოს ორსავე მხარეს რამდენიმე იარუსად განთავსებული ქვაბებისა და ნაგებობების ერთიანობით შექმნილი რთული, მრავალწლიანი კომპლექსის სახე მიიღო.

წმინდა დავითის მოღვაწეობის დროინდელი რამდენიმე ქვაბი – თავად ღირსი მამის სენაკი და მის მოწაფეთა სამყოფელები – მონასტრის ქვედა ეზოში დღემდე შემორჩა. ამ ქვაბების პირისპირ, ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში, ფერისცვალების ეკლესიაა; იგი თავდაპირველად ღირსი მამის მიერ მოქცეულ რუსთავის ერისთავს – ბუბაქარს გამოუკვეთავს. ეკლესია მრავალმთის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს – მასში დაკრძალულნი არიან წმ. დავითი და მისი მოწაფე, წმ. ლუკიანე. XIX საუკუნის მიწურულს აქვე გადმოასვენეს და დაკრძალეს წმ. დოდოს ნეშტიც.

ლავრის გალავნის გარეთ დღესაც მოედინება წმ. დავითის ცრემლის წყარო – მაკურნებელი წყალი, რომელსაც ადგილობრივი მოწესენი საუკუნეების მანძილზე სასმელად იყენებდნენ. წყალმომარაგების სისტემა, რომელიც მონასტრის გარშემო კლდეში ნაკვეთი ღარებისა და მრავალრიცხოვანი ლაკვანებისაგან (რეზერვუარებისაგან) შედგება, ასწლეულთა მანძილზე ყალიბდებოდა.

სამონასტრო ცხოვრების ახალი ეტაპი გარეჯში IX საუკუნის შუახანებიდან იწყება და იგი წმ. ილარიონ ქართველის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. წმ. დავითის საფლავის, ფერისცვალების ეკლესიის გაფართოვება-შემკობის კვალად, წმ. ილარიონის წინამძღვრობისას ლავრაში ახალი ქვაბ-სამლოცველოებიც შეუქმნიათ.

XI საუკუნიდან მოყოლებული გარეჯის მონასტრები საქართველოს სამეფო კარის კუთვნილებაში გადავიდა. სამონასტრო აღმშენებლობის პროცესი გარეჯის ქვეყანაში თავის მაქსიმალურ აღმავლობას XII-XIII საუკუნეების მიჯნისათვის აღწევს. სწორედ იმხანად უნდა იყოს შექმნილი წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია წმ. დავითის ლავრის ზედა ეზოს დასავლეთ მასივში. ეს ვრცელი ტაძარი თავისი მასშტაბებითა და არქიტექტურული იერით უდაბნოს, ნათლისმცემლის, ბერთუბნისა და დოდოს რქის მონასტერთა მთავარი ტაძრების თანაგვარია. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეკლესია, როგორც წმ. დავითის ლავრის წინამძღვართა და სასულიერო იერარქთა, ისე ქვეყნის სამეფო კარის წარმომადგენელთა განსასვენებელს წარმოადგენდა. ეს საფლავები დღემდე ტაძრის ჩამორღვეული კამარის ქვეშაა მოქცეული.

გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ მონასტრის განახლება-გაძლიერებისათვის დიდად უზრუნვიათ მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1442), კახეთის მეფე ლევანს. ასევე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო კახეთის მომდევნო გამგებლის, მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) აღმშენებლობა ლავრაში: კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა — ზედა ეზოში აღმართული დიდი კოშკი სწორედ მის სახელს უკავშირდება. ზედა სართულის დარბაზი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. XVI-XVII-სს მრავალმხრივ მნიშვნელოვანია გარეჯი ქვეყანაში სამონასტრო ცხოვრების განახლება-აღორძინების თვალსაზრისით. სწორედ იმხანად ჩამოყალიბდა ადგილობრივი ლიტერატურული სკოლა, რომლის ცენტრსაც ტრადიციულად წმ. დავითის ლავრა წარმოადგენდა. მონასტრის რამდენიმე ეკლესია — წმ. ნიკოლოზის, ღმრთისმშობლის მიძინებისა და წმ. მარინეს სახელობის — ამ პერიოდშია შექმნილი.

XVII საუკუნის მიწურულს-XVIII საუკუნის პირველ მესამედში გარეჯა ახალ აღმავლობას განიცდის. წმ. დავითის ლავრის იმჟამინდელი წინამძღვარი, ონოფრე მაჭუტაძე მრავალმთის სამონასტრო კერის მეორედ მაშენებლადაა აღიარებული. თითქმის ოთხი ათწლეულის მანძილზე, 1690-1728წწ. დავითის ლავრაში ონოფრეს მოღვაწეობისას, მონასტერი დიდად გაძლიერდა, ერთიანი სახით გასრულდა გალავანი, 1695 წელს აიგო ახალი, რელიეფებითა და წარწერით გამშვენებული კარიბჭე კომპლექსის ზედა მონაკვეთში. წმ. დავითის ლავრაში აღმშენებლობის ერთ-ერთი ბოლო ეტაპი საქართველოს უკანასკნელი მეფეების, ერეკლე II-ისა (1762-1798) და გიორგი XII-ის (1798-1800) სახელთანაა დაკავშირებული. მრავალმთის სასულიერო კერისადმი ღვთისმოსავი მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს მისი სენაკი, რომელიც მონასტრის ზედა ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში გამოუკვეთავთ. გიორგი XII-ის განგებითა და ღვაწლით უნდა აღედგინათ და ახალი კანკელით შეემკოთ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილი საფლავის ქვები ცხადყოფს, რომ მონასტრის ქვედა ეზოს ამ ნაწილს იმხანად ადგილობრივ სასულიერო და საერო მოღვაწეთა განსასვენებლად იყენებდნენ. იქვე დაიკრძალნენ 1851 წელს ლეკთა შემოსევისას მოწამებრივად აღსრულებული მამები.

წმ. დავითის ლავრაში XX საუკუნის დასაწყისში შეწყვეტილი ცხოვრება 1990 წელს განახლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაზი თარგამაძე

## გვაპოვნინე, ღმერთო, ჩვენი ნატვრისთვალი

ვარსკვლავებში ელვარებენ თამარ მეფის თვალები.
ია-იებს მოუქარგავთ მისი ნატერფალები,
სიო არის თამარ ქალის წამწამების ფაზული,
თავად თამარს ვერსად ვპოვებთ, სად არის დამარხული.

მცხეთაში თუ ვარძიაში, თბილისში თუ სვანეთში,
საქართველოს აღმოსავლეთ ან იქნებ დასავლეთში,
სად, სად არის, მხოლოდ ღმერთმა იცის, მისი სავანე,
ურჯულოს რომ ხელ არ ეყო, ასე მისთვის დამალეს.

რვაას წელზე მეტი არის ეძებს ყველა ქართველი,
სადაც არის, ადგას უფლის ზეციური ნათელი,
მაგრამ ჩვენი ერის, ბერის, უწმინდესი ვალია,
ის სამარხი მოვიძიოთ, სადაც თამარ ქალია.

თამარ მეფე, მტერთა რისხვა, სიამაყე ქართველთა,
ვინ რა იცის, ქვეყნის დარდით რამდენჯერ დაათენდა,
გვაპოვნინე, ღმერთო, ჩვენი ნატვრისთვალი სად არი,
იმ ადგილზე რომ ავაგოთ თამარწმინდის საყდარი.

## სევდა ქართული მიწის

წვიმს... და ისე წვრილად წვიმს,
თითქოს ვიღაც წვიმას ცრის,
ეს სევდაა ქართულ ცის,
სევდამ თქეში არ იცის.

ეს სევდაა სოხუმის,
ცხინვალის და თბილისის,
როდის გამოიდარებს,
ეს არავინ არ იცის.

ცრის, რა სევდიანად ცრის,
ცა გუნებას არ იცვლის,
სულში ახლა მეც მიწვიმს,
სევდა ქართული მიწის.

## ღამე დავჯაბნე ლექსით

ცა უმთვარო და ქუფრი,
ღამე პირქუში, ბნელი,
ბნელი კი არა უფრო...
მგონი, სიკვდილის ფერი.

უცხო ხმამ გამაოგნა,
მივუგდე გულის ყური,
ღამის სამოსში გაბმით
კიოდა ბაიბური.

ვძლიე სიჩუმის კივილს,
ჩემი ცხოვრების წესით.
გალაკტიონი, ანა და
ღამე დავჯაბნე ლექსით.

## სიყვარულით სავსე ვარ და...

(ძველი რვეულიდან)

სიყვარულით სავსე ვარ და,
ყველაფერი მიხარია შენით,
ჩითის კაბაც მიხარია,
სულ ერთია, მშვენის თუ არ მშვენის.

გაზაფხულით სავსე ვარ და
ვეფერები ჩემს მუცლად მყოფ პირმშოს,
ჩემი მზე რომ აკიაფდა,
ახლა უკვე აღარაფერს ვშიშობ.

ჭერიც არ გვაქვს საკუთარი,
მაგრამ მაინც ვღიღინებ და ვმღერი,
სიყვარულის მიდგას დარი
და ეს არის ჩემთვის ყველაფერი,

სიყვარულით სავსე ვარ და
ყველაფერი მიხარია შენით,
შენ ხარ ჩემი სავანე და
საძირკველი, სიყვარულის ჭერი.

## ღვთის იმედით...

— ეს ბილიკი საით მიდის?
— ტყეში, ულრან ტყეში.
— ეს ბილიკი?
— ეს ბილიკი? — იჩეხება ხევში;
უკან ველარ მობრუნდები,
უდაბნო გაქვს წინაც,
ვნახოთ ერთი საით წაზვალ,
რას ირგუნებ წილად...
ეშმაკეულ გზაბნელიდან
უკუნეთი მიმზერს,
ყველა გზები ჩამირაზა,
დამიჩრდილა წინ მზეც,
დავსალკლდევდი და უკუნეთს
მივაძახე ჯინზე:
— ღვთის იმედით გავჩერდები
ამ გზაჯვარედინზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თითქოს გუშინ იყო...

რამდენი ზაფხული, რამდენი ზამთარი,
რამდენი დარი და რამდენი ავდარი,
რამდენი დაისი, რამდენი აისი,
რამდენი იმედი ხვალის თუ გაისის,
რამდენი ვარამი, ურვა და ნაღველი...
თითქოს გუშინ იყო, რაც ჩვენგან წახველი,
თითქოს გუშინ... როცა გამთოშე, დამთოვე,
როცა სანუკვარი პირმშო მიატოვე.
არ გნატრობ კვლავ, მაგრამ სიმართლე თუ გინდა,
დღემდე ვერ ვიშორებ ჭრილობას გულიდან.

## ძეწნა

მილეწ-მოლეწა ქარ-წვიმამ ძეწნა,
ჯერ სულ ნორჩი და სულ ერთი ბეწვა,
აბრეშუმივით ფაფუკი თმები
აუშალა და სულ აუწეწა.

გადაიღუნა წელში უმწეოდ,
უსუსური და ერთი ნამცეცა,
განერთხო მიწას მოღვენთილი და...
ქარს, ნუ მომკლავო, არ შეეხვეწა.

## მაისის წვიმა

ჩემი, ცრემლები ღვარად ერთვის მაისის წვიმას,
ნეტავ ჩემამდე თუ ტიროდა მაისი ასე.
ასე მგონია, დედაჩემი დამტირის ციდან,
და ვარ, ჩემი და დედაჩემის ცრემლებით სავსე.
ყოველ მაისის თოთხმეტს, სული სევდით მევსება,
შიშით ვიგონებ ბედის მდევარს და ვემალები,
ლექსს ამოვთქვამ და... მე საბრალოს რა მელექსება,
როცა ზეციდან დამტირიან დედის თვალები.
დედას ზურმუხტის თვალებიდან ცრემლები ცვივა,
მისი თვალებით იცრემლება მაისის წვიმა.

## ჰო თუ არა...

*ნანულის*

დრომ რომ უკან დაიხიოს,
მიპასუხე ჰაიჰარად,
ხვალ რომ გავხდეთ ოცისანი,
ჰო თუ არა?
რომ მობრუნდეს ის დღეები,
სუსხიანი თუ თაკარა,
არ დაფიქრდე, არ დაფიქრდე,
ჰო თუ არა?
ვცქრიალებდეთ ხვალ რომ ისევ,
ჩითის კაბების ამარა,
გვირილების ფურცლებს ვთვლიდეთ,
ჰო თუ არა?
სიყვარული ჯიუტ გულმა
ახლოს რომ არ გაიკარა,
რომ დაბრუნდეს, რომ დაბრუნდეს,
ჰო თუ არა?
არ დაფიქრდე, არ დაფიქრდე,
მიპასუხე ჰაიჰარად,
დრომ რომ უკან დაიხიოს, ჰო თუ არა?

## ეჰ, ვამბობ თორემ...

ვამბობ, ქვა ვარ და ყინული ვარ,
ვამბობ, ტინი ვარ.
ეჰ, ვამბობ თორემ, ვინ რა იცის,
როგორ ვტირივარ.

მართლა კლდესავით მაგარი და
გამძლე როდი ვარ,
ჩუმი ცრემლების ბინული ვარ
სევდით მოვდივარ.

მეთაკილება, რომ მიხილონ,
როგორ ვტირივარ,
და სიამაყით ვბაქიბუქობ,
კლდე ვარ, ტინი ვარ.

## კალამი — ჩემი „ხემი"

წერა მინდა და მიჭირს,
მტკივა მარჯვენა ხელი,
ტაატით მისდევს სტრიქონს
კალამი ჩემი — „ხემი".
თუმცა გულიდან მოდის,
ლექსი კვნესის თუ მღერის,
და თუ ფურცელზე სწრაფად
არ მისრიალებს „ხემი",
იქნებ, გამიწყდეს აზრი,
იქნებ გამექცეს რითმა
და ისე ვეღარა ვთქვა,
გულით მეწადა რის თქმაც.
გვედრი, უფალო ჩემო,
შენს წმინდა კვართს ვემთხვევი,
ამაღებინე ხელში, კალამი, ჩემი „ხემი".

## მთვარე

გზას არ უთმობენ მთვარეს ღრუბლები,
ბორიალობენ, როგორც მთვრალები,
მთვარეც როდი თმობს თავის უფლებებს,
მშვიდი, ამაყი, თანაც თავნება.
მიაპობს ღრუბლებს, მიცურავს დინჯად,
ხან მათ გვერდიგვერდ, ხან აღმა-დაღმა,
და ლევა ღრუბლებს ფერი ნარინჯის
ფანტავს, რომ ცაზე არ დარჩნენ დამღად.

## დარდი

თავისთვის გულში უჩუმრად, უხმოდ,
დარდობს და ცრემლად იღვრება მუხა,
თითქოს ვიღაცას ელის და უხმობს,
თითქოს ვიღაცას, ვინც დაამწუხრა.

იქვე, მის გვერდით ვერხვი პატარა
დგას დაზაფრული, როგორც ობოლი,
უმძიმს ბერმუხას დარდისატანა
და თრთის ყოველი მისი ფოთოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჰოი, დიდ არს სიყვარული და ყოვლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსანთა უწარჩინებული“ – სულხან-საბა ორბელიანის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მსახიობი **ნინო ხომასურიძე** ძალიან ადრე – ცამეტი წლის ასაკში დარწმუნდა, თუმცა მაშინ გაცნობიერებულიც არ ჰქონდა რა იყო სიყვარული. უბრალოდ, იცოდა, რომ როგორც წყალი მოგწყურდება, ყოველ წუთს ისე უნდოდა იმ ადამიანის ნახვა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: თუ არა ეს, აბა, სხვა რა არისო სიყვარული?

ეს განცდა დღემდე გრძელდება, თუმცა ზურა ბზიკაძე უკვე თორმეტი წელია ცოცხალი აღარ არის (1995 წელს გარდაიცვალა). სულ ჰგონია, რომ კარი გაიღება და სახლში ზურა შევა. იცის, რომ ეს წარმოუდგენელია და არ უნდა თავისი ფიქრები სისულელეებამდე დაიყვანოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველდღე ისე ელის, როგორც იმ ოცდაცხრა წლის განმავლობაში, როცა ერთად იყვნენ და უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს – მათ სიყვარულზე თბილისში დღესაც ლეგენდები დადის...

# ყოველთვის მი-ყვარ-ხარ და გი-ყვარ-დეს!

ზურა 23 წლის იყო, ნინოზე ათი წლით უფროსი. ერთ უბანში ცხოვრობდნენ. ზურა მთელი „პლეხანოვის“ ავტორიტეტი იყო.

**ნინო ხომასურიძე:** „ზურა დავინახე თუ არა, ისე ძალიან შემიყვარდა, რომ ტვინი გადამეკეტა. ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, სულ მასზე ვფიქრობდი. თუ ვერ ვნახულობდი, იმ დღეს ავად ვხდებოდი. სპეციალურად ვიდექი ხოლმე ქუჩაში, რომ დამენახა, მივსალმებოდი, დაველაპარაკებოდი...“

არავის სჯეროდა, რომ ეს პატარა გოგონა, მიწასაც კი რომ არ ემჩნეოდა, მართლა ასე სერიოზულად იყო შეყვარებული. დედა გაგიჟდა: რა დროს შენი სიყვარულია, ჯერ პატარა ხარ, ნინიკო, უნდა ისწავლო, სკოლა დაამთავრო – ყოველ წუთს არიგებდა, მაგრამ... ზურაც, როგორც ბავშვს, ისე ექცეოდა: ნინიკო, როგორა ხარ? – ჩვეულებრივ მოიკითხავდა ხოლმე, ნინიკოს კი მთელი ღამე არ ეძინა მასზე ფიქრით, ჰაერი არ ჰყოფნიდა, ვერ სუნთქავდა უმისოდ... ერთ დღესაც ველარ გაუძლო და სიყვარული თავად აუხსნა...

***

ზურა ტიპიური ქართველი კაცი იყო, რომელსაც უნდოდა, რომ ცოლი სახლში ყოფილიყო, ანუ ნამდვილი ქართული ოჯახი ჰქონოდა. ასეც იყო – ნინო სახლში დიასახლისობდა, თავის და ზურას მეგობრებს მასპინძლობდა, შემდეგ მათი ვაჟი – გოგაც წამოიზარდა და მისი მეგობრებიც ხშირად სტუმრობდნენ. თუმცა, ამასობაში თეატრალური ინსტიტუტიც დაამთავრა და თეატრშიც მუშაობდა... ალბათ, ბევრს გაუკვირდება, კი, მაგრამ, ეს ტიპიური ქართველი კაცი თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებაზე როგორ დაითანხმაო? საქმე ისაა, რომ ერთი პერიოდი ზურა ბზიკაძე ლენინგრადში ცხოვრობდა და მუშაობდა. ნინო თბილისში იყო, რადგან გამოცდები უნდა ჩაებარებინა – ატესტატი ხომ უნდა აეღო? ამ დროს ზურა რაღაც პრობლემების გამო დაიჭირეს. ნინო უცხო ენების ინსტიტუტში (ფრანგული ენის სპეციალობით) აპირებდა საბუთების შეტანას, როცა ქალბატონმა ნანა მჭედლიძემ დაურეკა და უთხრა: რატომ არ შედიხარ თეატრალურზე, სცადე, იქნებ ჩააბაროო... ნინოს უკვე ჰქონდა „სამსახიობო“ გამოცდილება – სანამ ზურას ცოლად გაჰყვებოდა, ცოტა ხნით ადრე სწორედ ქალბატონმა ნანამ გადაიღო თავის ფილმში „დაბრუნებული ღიმილი“, სადაც სოფიკო ჭიაურელის გმირის პატარა დის როლს თამაშობს... მოკლედ, სცადა და ჩააბარა! მაგრამ მთავარი პრობლემა წინ ელოდა – ზურასთვის წერილი უნდა მიეწერა ურალში და ეთქვა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. მოგეხსენებათ, რა თვალითაც უყურებდნენ მაშინ თეატრალურ ინსტიტუტს, მითუმეტეს, ცოტა გამოსული ბიჭები... ზურასთვის ეს კატასტროფა იყო. ძლივს შეეგუა, თუმცა ისიც უთხრა: კი, ბატონო, ისწავლე, თუ ნორმალური აქტრისა იქნები, იმუშავებ, თუ არა და, სახლში იჯდებიო.

**ნინო:** ერთ დღეს დამირეკა გოგი თოდაძემ და მითხრა: ბატონი გიგა ლორთქიფანიძე მარჯანიშვიის თეატრში „შთამომავლობას“ დგამს და მოგიკითხა, სად არისო? (ბატონი გიგა ინსტიტუტის სპექტაკლებიდან მიცნობდა). მე ვუთხარი, არსად არ მუშაობს, სახლში ზისეთქი. ჰკითხე, იქნებ გამოუშვას ქმარმაო. ნინო, ჰკითხე, ჰკითხე, იქნებ გამოგიშვასო... ვკითხე და ზურამ „წა“ რომ თქვა, „დი“-ზე უკვე თეატრში ვიყავი (იცინის)...

***

მას შემდეგ ნინო ხომასურიძეს ხშირად უშვებდნენ სცენაზე სათამაშოდ. იაპონიაში გასტროლებზეც გაუშვეს (მარჯანიშვილის თეატრმა წაიღო სპექტაკლი „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“), სადაც ტოკიოს თეატრის მენეჯერის იამადა სანის დიდი სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა. იმდენად დიდი, რომ იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ, ცოტა ხანში იქიდან იამადას მიწვევა მოუვიდა – ნაციონალური კიმონოებისა და საქორწილო კაბების რეკლამისთვის იწვევდნენ. ტოკიოში ექვსი თვე ცხოვრობდა და მუშაობდა. იაპონელები „ლამაზ იაპონელ ქალს“ ეძახდნენ, ის კი უსწორებდა – იაპონელი კი არა, ქართველი ქალიო...

მას შემდეგ, რაც იამადა სანის ფირმამ ჰოლივუდის ნაწილი იყიდა, იამადამ ნინო ჰოლივუდში მიიწვია გადასაღებად – სერჯიო ლეონეს ფილმში უნდა ეთამაშა, მაგრამ... ბედისწერამ სხვაგვარად წარმართა ნინო ხომასურიძის ბედი – ჩემოდნები უკვე ჩალაგებული ჰქონდა და ჰოლივუდში გასამგზავრებლად ემზადებოდა, რომ სამი დღით ადრე ზურა გარდაიცვალა...

თითქმის მისი სიცოცხლეც დასრულდა ზურას გარდაცვალებასთან ერთად, მაგრამ... გადარჩა!.. ზურას გარდაცვალებიდან სულ რაღაც სამ თვეში მოსკოვში გოგაც დაიკარგა – ზურა ბზიკაძისა და ნინო ხომასურიძის ერთადერთი შვილი... ეს კიდევ უფრო დიდი საშინელება იყო ნინოს ცხოვრებაში... რადგან ფიზიკურად ვერ იპოვეს, დღემდე არ იცის ცოცხალია თუ მკვდარი მისი შვილი. პირველი, ვინც ამ ტრაგედიების შემდეგ ნინოს გვერდით დაუდგა, ისევ იამადა სანი იყო. ზურას გარდაცვალების შემდეგ მასაც რამდენიმე თვეში დაეღუპა ცოლი (ავარიით) და ბედმა ნინოსკენ დააბრუნა. იგი უდიდეს პატივს სცემდა ნინოს და მოხდა ისე, რომ ნინო მას ცოლადაც კი მიჰყვებოდა...

**ნინო:** მივყვებოდი იმიტომ, რომ იამადამ ჩემთვის ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა. იამადა ინახავდა ჩემს ოჯახს, ჩემს ავადმყოფ დედას, ეძებდა ჩემს დაკარგულ შვილს და ამისთვის უზარმაზარ თანხას ხარჯავდა. თან ვხვდებოდი, რომ ძალიან ვუყვარდი, უდიდეს პატივს მცემდა და ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მადლობა ასე გადამეხადა. თუმცა, იამადამ იცოდა, რომ არ მიყვარდა – მე ეს ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა





წუთით არ დამიმალია მისთვის, მაგრამ იცოდა ისიც, რომ უდიდეს პატივს ვცემდი მას. ეს იყო გონებით გადაწყვეტილი ნაბიჯი და არა გრძნობით. ალბათ, გავყვებოდი კიდეც, ისიც რომ არ მოეკლათ ერთი კვირით ადრე, სანამ იაპონიაში წავიდოდი. როგორც ჩანს, ჩემი ბედი არ იყო... საერთოდ, სულ ვამბობ: ეტყობა, იმდენად სავსე ცხოვრებით ვცხოვრობდი ჩემს ქმარ-შვილთან ერთად და ისე ვიყავი დახუნძლული სიამოვნებით (არ ვლაპარაკობ პატარ-პატარა პრობლემებზე), რომ არ შეიძლებოდა ეს დიდხანს გაგრძელებულიყო, არ შეიძლება ადამიანს ამდენი ბედნიერება ერთად ჰქონდეს, — ერთ დღეს ეს ყველაფერი, ალბათ, ასეთი კატასტროფით უნდა დასრულებულიყო. თითქოს მიწისძვრა მოხდა, მიწა გაიხსნა, ყველანი თან ჩაიტანა და რატომღაც მე დავრჩი მარტო ყინულის ასიბერგზე, შუა ოკეანეში... სად გავცურავ და რას წავაწყდები, კაცმა არ იცის...

## „რაც ოთარი წავიდა“

ნინო ხომასურიძე დღესაც ძალიან მომხიბვლელი და ბევრ ახალგაზრდაზე ახალგაზრდაა. ალბათ, სწორედ ამიტომ ვერ დაჩრდილა ვერავინ ფრანგულ-ქართული ფილმის „რაც ოთარი წავიდა“ სინჯების დროს, რომელიც ცნობილი ფრანგი რეჟისორის ჟან ლუი ბერტუჩელის ქალიშვილმა, ჟიული ბერტუჩელიმ გადაიღო. ფილმში ნამდვილი ამბავია მოთხრობილი — ოთარის და დღესაც საფრანგეთში ცხოვრობს. სწორედ მისი იდეა იყო ამ ფილმის გადაღება. მან დაწერა და გაასცენარა იგი ჟიული ბერტუჩელისთან ერთად. ნინო ფილმში სწორედ ოთარის დის როლს ასრულებს. მისი დედა და ბებია თბილისში ცხოვრობდნენ. ფილმი კანის ფესტივალზე აჩვენეს, „სეზარიც“ აიღო, არაერთი ქვეყანა მოიარა, საქართველოში კი მხოლოდ მაშინ ჩამოიტანეს, როცა მათი დედა გარდაიცვალა. ეს ქალბატონი დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი საფრანგეთში მუშაობდა, მართლა უგზავნიდა ფულს, მართლა წერდა წერილებს და ა.შ. „რაც ოთარი წავიდა“ სწორედ ამიტომ აჩვენეს თბილისში ყველაზე გვიან...

ნინომ ფრანგებიც მოხიბლა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში სულ რაღაც სამი დღე ჰქონდათ გადაღებები, იგი ექვსი თვით მიიწვიეს სტუმრად პარიზში... საფრანგეთის საპატიო მოქალაქედაც კი აირჩიეს... მეტიც, ჟან ლუი ბერტუჩელმა ნინოს ცოლობა სთხოვა, მაგრამ...

**ნინო:** არ შემიძლია გათხოვება, ვერავისთან ვერ ვიცხოვრებ ერთ ჭერქვეშ, როგორც ცოლი და ქმარი. შეიძლება ერთ დღეს გავიცნო ვიღაც, შემიყვარდეს და ისე გადამეკეტოს ტვინი, რომ დავთანხმდე, შენი ცოლი ვიქნები-მეთქი, მაგრამ ასეთი რაღაც ჯერ არ დამმართნია... თუ დამემართება, აუცილებლად გავთხოვდები, მაგრამ იმის გულისთვის, რომ პარიზში კარგად ვიცხოვრო, ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამ...

***

არცთუ დიდი ხნის წინათ, ნინომ უარი თქვა რეჟისორ კატრინ ბრეას ეროტიკულ ფილმში გადაღებაზე. ეს ფილმი შემდეგ „ბერლინალეზეც“ იყო წარდგენილი. ის როლი, რომელიც ნინო ხომასურიძეს უნდა ეთამაშა, ინდოელმა მსახიობმა ითამაშა, რომელიც, თურმე, ძალიან ჰგავდა ვიზუალურად, მაგრამ როგორც ბრეა ამბობს, ფილმი ისეთი არ გამოუვიდა, როგორიც მას უნდოდა და ამას ნინოს აბრალებს — შენი ბრალია, რომ არ ითამაშეო...

**ნინო:** ვერაფრით გავაგებინე, რატომ ვამბობდი უარს, მითუმეტეს, რომ უზარმაზარ თანხას მიხდიდა. მე ასეთ ფილმებში არ მითამაშია და არც ვითამაშებ. კატრინი ახლაც მეძახის როლზე, მეუბნება, ფილმში ეროტიკული არაფერი არ არის, ნუ გეშინიაო. იმედია, ტყუილად არ ჩამიყვანს პარიზში. არა მგონია, მაგრამ, თუ რაღაცას მატყუებს, ხელს არ მოვაწერ ხელშეკრულებას და ეგ იქნება...

## სიცოცხლე გრძელდება

ნინო ხომასურიძე თერთმეტი წელი საერთოდ არ მდგარა სცენაზე. სახლიდან არ გამოდიოდა, არაფერს აკეთებდა, მხოლოდ სამადსამ მეგობარს ჰქონდა მისი ნახვის უფლება... ადამიანების და სიცოცხლის სიყვარულმა სძლია, თუმცა ტკივილი, ცხადია, დარჩა... პირველი სპექტაკლი „ჯინსების თაობა“ იყო, რომელშიც გეგა კობახიძის დედის როლი ითამაშა... ბევრი თვლის, რომ ნინო არ როლით საკუთარ ტრაგედიასაც თამაშობდა...

სხვათა შორის, ნინოს ვაჟს — გოგას, შვილი დარჩა მასზე უფროსი ქალისგან — ულამაზესი გოგონა, რომელიც ამჟამად თოთხმეტი წლისაა...

**ნინო:** გიგა ჩვიდმეტი წლის იყო, იმ ქალმა რომ ბავშვი გააჩინა. ჩვენ რაღაც ეჭვი გვქონდა, მაგრამ თავად კარგა ხანს არ გვეუბნებოდა, რომ ეს ბავშვი გოგასი იყო, ბოლოს ზურას უთხრა — თქვენი შვილიშვილიაო... გოგა მის ცოლად მოყვანას აპირებდა, მაგრამ... მე მაინცდამაინც მოხიბლული არ ვიყავი ამ ქალით, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთანაც ბედნიერი იქნებოდა, იმასთან ყოფილიყო, ოღონდ ცოცხალი მყოლოდა...

**— დაბოლოს, ქალბატონო ნინო, როგორ ფიქრობთ, რისთვის ღირს ამქვეყნად სიცოცხლე?**

— სიყვარულისთვის... როცა გიყვარს და იმასაც უყვარხარ... როცა ქალი ხარ და ოჯახი გაქვს, შვილი გყავს... ეს ბედნიერება ყველა ქალმა უნდა განიცადოს... ყოველთვის მინდოდა, რომ ბევრი შვილი მყოლოდა... გოგამდეც მყავდა ბავშვი, მაგრამ სამი თვის დამეღუპა. საშინელი სტრესი მქონდა — გოგა ხუთი წლის შემდეგ გავაჩინე... მერე, როგორც ჩანს, ჩემი ცხოვრების რიტმის გამო ვეღარ მოვახერხე სხვა შვილის ყოლა, თორემ ახლა ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა, შვილები მაინც რომ მყავდეს... მინდა ყველას ვუთხრა, რომ რაც შეიძლება დიდი დოზით უყვარდეთ ერთმანეთი. სიყვარული სამარცხვინო არ არის, თუ გიყვარს, მიდი და უთხარი, რომ გიყვარს, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს — ვერ მოასწროთ ამის თქმა ვერც ერთმა და ვერც მეორემ. ნუ მოგერიდებათ, უბრალოდ უთხარით: მი-ყვარ-ხარ და გი-ყვარ-დეს!..

*თამარ ოთიაშვილი*

# 2007 – მარკესის წელიწადი



გამოჩენილ კოლუმბიელ მწერალს, შესანიშნავი რომანების, მოთხრობების, ნოველების ავტორს გაბრიელ გარსია მარკესს 6 მარტს 80 წელი შეუსრულდა.

მსოფლიოში 2007 წელი მარკესის წლად გამოცხადდა.

იგი კოლუმბიის ქალაქ არაკატაკაში დაიბადა. მას ზღაპრები ბებიამ, ბაბუამ და დეიდამ შეაყვარეს.

მამამისი ტელეგრაფისტი იყო. ბაბუას გარდაცვალების შემდეგ მშობლებმა 9 წლის გაბრიელი თავისთან წაიყვანეს. 15 წლის რომ შესრულდა, ბოგოტის ინტერნატში მიაბარეს. 1946 წელს კი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

პირველი მოთხრობა 1947 წელს გამოაქვეყნა.

1948 წელს ლიბერალური პარტიის ლიდერის მკვლელობის გამო დედაქალაქში მდგომარეობა რომ დაიძაბა, მარკესი სწავლის გასაგრძელებლად კარტახენში გადავიდა. მაგრამ ადვოკატის კარიერა უკვე ნაკლებად იზიდავდა, უარი თქვა მასზე და ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო.

იგი ქალაქ ბარანკილიოს გაზეთის რეპორტიორი გახდა. ცხოვრობდა ქალაქის ყველაზე ცნობილი საროსკიპოს მეზობლად. ბოლო რომანის შექმნაც სწორედ ამ მეზობლობამ განაპირობა.

1951 წელს გამოქვეყნდა მისი მოთხრობა „ფოთოლცვენა“. მასში პირველადაა მოხსენიებული ქალაქი მაკონდო, რომელიც მშობლიურ არაკატაკას აგონებდა. მაკონდოსთან ერთად გაჩნდა მარტოობის თემა, რაც ასე დამახასიათებელია მარკესის შემოქმედებისათვის.

1954 წელს მარკესი ბოგოტის გაზეთის რეპორტიორია და მიემგზავრება კორესპონდენტად ევროპაში. თავდაპირველად მუშაობს რომში, პარალელურად სწავლობს სარეჟისორო კურსებზე. რომიდან გადადის პარიზში და აქვეყნებს მოთხრობას „პოლკოვნიკს არავინ წერს“. როგორც თავად აღნიშნა, მოთხრობაზე მუშაობისას განიცდიდა ჰემინგუეის გავლენას. სტილისტურად მარკესის ნაწარმოები გამოირჩევა საოცარი ლაკონურობით,„ენის სნაიპერული სიზუსტით“,მხატვრული და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისათვის მან მოთხრობა 11-ჯერ გადაწერა. მოქმედება 1956 წელს პატარა ქალაქში ვითარდება. მთავარი გმირის, სამოქმედო ომის მონაწილე პოლკოვნიკის სიზმრებსა და მოგონებებში ქალაქი მაკონდო ცოცხლობს, საიდანაც ის მრავალი წლის წინ ჩამოვიდა. სწორედ ამ ქალაქთანაა დაკავშირებული რეალური და ლეგენდარული ამბები. „პოლკოვნიკს არავინ წერს“ მოთხრობაა ადამიანის სიმარტოვეზე.

სხვადასხვა ლათინოამერიკული გაზეთების კორესპონდენტად მუშაობისას მარკესი ევროპის ბევრ ქვეყანაში იმყოფებოდა. 1961 წლიდან კი მეხიკოშია. წერს მოთხრობებს... ცოტა ხნით წყვეტს ლიტერატურულ საქმიანობას და მუშაობს კინოში, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ აქ იმდენი შესაძლებლობები არაა, რამდენიც მწერლობაში.

1967 წელს ბუენოს-აირესში გამოვიდა რომანი „მარტოობის ასი წელიწადი“. წარმატება გასაოცარი იყო. სამ წელიწადში მისი ტირაჟი ნახევარი მილიონი იყო, დღეისათვის იგი 35 ენაზეა თარგმნილი. საერთო ტირაჟი კი 30 მილიონია. „მაგიური რეალიზმი“ ასე უწოდეს მარკესის თხრობის მანერას. რომანი მსოფლიო შედევრთა ოცეულში მოხვდა და სერვანტესის „დონ-კიხოტის“ გვერდით დააყენეს.

მარკესს „დიდი მთხრობელის“ ტიტული მიანიჭეს. ვაიუუს ტომის ინდიელებმა რიტუალური კვერთხი გადასცეს. ეს უპირატესობა იმით მოიპოვეს,რომ 80 წლის წინ მწერალი მათ მიწაზე,კარიბის ზღვის სანაპიროზე, ტროპიკულ ტყეებში მიკარგულ დასახლებაში, არაკატაკაში დაიბადა. მხოლოდ 40 წლის შემდეგ შეიტყო მსოფლიომ პირველად ამ დასახლების შესახებ მისი ნაწარმოებებიდან, „მარტოობის ას წელიწადშიც“ არაკატაკა მაკონდოს სახელით მოიხსენიება, რაც ლათინური ამერიკის ჯუნგლებში მიკარგული სოფლების კრებითი სახელწოდებაა. ამ რომანით მწერალი საბოლოოდ გამოეთხოვა მაკონდოს და მის მცხოვრებლებს, სხვა ნაწარმოებებში აღარ გაუმეორებია.

1972 წელს გამოდის მარკესის მოთხრობების ახალი კრებული. 1981 წელს კი –„ერთი სიკვდილის ისტორია“, რომლის შესახებაც წინასწარ იცოდნენ. 1982 წელს მწერალს ნობელის პრემია მიენიჭა.

მარკესს ლათინურ ამერიკაში გაბოს უწოდებენ. სიტყვაძუნწობის გამო ამერიკელმა ჟურნალისტებმა „ამერიკის ადამიანი“ შეარქვეს. მისი საყვარელი მწერლები არიან ვირჯინია ვულფი, უილიამ ფოლკნერი, ფრანკ კაფკა, ერნესტ ჰემინგუეი. წიგნებიდან დღემდე უყვარს „ათას ერთი ღამე“ და სოფოკლეს ტრაგედიები, რომლებიც ბავშვობაში წაიკითხა.

წლევანდელი იუბილე განსაკუთრებით აღინიშნება ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და ესპანეთში. მარტის თვეში ქალაქ კარტახენში გაიმართა მარკესის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების ფესტივალი. მის შემოქმედებას მიეძღვნა ესპანური ენის საერთაშორისო კონგრესი. მარკესის ნაწარმოებების წარმატება სრულყოფილი სტილისა და მდიდარი ენის გარდა ლათინოამერიკულმა ლიტერატურამ და ფოლკლორმა განაპირობა.

... 1999 წელს ექიმებმა მას ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე დაუდგინეს და ერთი წლის სიცოცხლე აღუთქვეს. მწერლის ნებისყოფამ სასწაული მოახდინა – ახალ რომანზე და მემუარებზე მუშაობამ დიაგნოზი შეცვალა.

2004 წელს 77 წლისამ დაასრულა ბოლო ნაწარმოები „ჩემი ნაღვლიანი კახპების მოგონებები“. წიგნი იმავე წელს ბესტსელერების სიაში პირველი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, როგორც თავად განაცხადა, მწერლობას თავი დაანება და კალამი გადადო.

... მაგრამ საქმე ასე არ არის. მისი ერთერთი უახლოესი მეგობარი მარკესის თაყვანისმცემლებს ამშვიდებს: დიდი მწერალი თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე მემუარების წერას ამთავრებსო.

ჭეშმარიტი მწერალი კალამს ვერასოდეს დადებს.

მოამზადა *თამარ ნინიძე*

# სიყვარული დიდი ნიჭი



● ლია, ნინო და გიორგი

ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტი იუსტიციის სამინისტროს საქალაქო რეესტრის საბურთალოს რაიონის სამსახურის სააგენტოს მთავარი სპეციალისტი ნინო დოლიძეა. ზრდილი, თავაზიანი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული. თითქოს მისი მომავალი პატარაობიდანვე იყო განსაზღვრული. ყველა დარწმუნებული იყო, რომ პროფესიონალი მოცეკვავე გახდებოდა. საკმაოდ კარგად ცეკვავდა ლათინოამერიკულ და ევროპულ ცეკვებს ანსამბლ „თელაში". ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ბევრი პრიზიც ჰქონდა მიღებული. მისი გატაცება და მოწოდება ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა იყო და მაინც, ყველასათვის მოულოდნელად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა და ჩაირიცხა კიდეც. პატარაობიდან ჰქონდა პირველობისკენ სწრაფვა. ცდილობდა, არავისზე ნაკლები არ ყოფილიყო. მაღალსიცხიანი ბევრჯერ წასულა რეპეტიციებზე და იქიდან სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნებულა. თოჯინებით თამაში არ უყვარდა. სამაგიეროდ უსასრულოდ შეეძლო აეწყო და დაეშალა კონსტრუქტორები. წიგნის სიყვარული კი დედამ — უცხო ენების სპეციალისტმა, დოდო მუნჯიშვილმა ჩაუნერგა. ოთხი წლის ასაკში კითხულობდა — ქართულად, რუსულად და ინგლისურად. დღეს კი მსოფლიო ლიტერატურის ბევრი შედევრი ორიგინალში აქვს წაკითხული. ჰარმონიულ ოჯახში გაიზარდა. დედა არასოდეს ტუქსავდა, ბავშვური სიცელქის გამო ერთხელაც არ დაუსჯია, თუმცა ნინოც არასოდეს ყოფილა ჭირვეული. დედას მხოლოდ ერთ რამეს საყვედურობდა, და-ძმა ხომ არ გამიჩინე, ძაღლი მაინც მიყიდეო. აიღე ცეკვაში პირველი ადგილი და გიყიდიო, პირდებოდა. მართლაც ძაღლის „ხათრით" მრავალი პრიზი დაუგროვდა. დედამაც არ გატეხა თავისი სიტყვა და დღეს ევროპის ჩემპიონის შვილი, ბოქსიორი „შერი", მათი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

ნინოს მამა ერმალო დოლიძე, შრომისმოყვარე, მიმტევებელი ბუნების ადამიანია. იმდენად პატიოსანი და ულალატოა, რომ დღეს, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლადაც შეიძლება მოგეჩვენოთ. გასაოცარია, მაგრამ მეტალურგიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ფარმაცევტულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მაძიებელი სულის ადამიანი, სულ წიგნებში, ინტერნეტშია თავჩარგული, აინტერესებს ახალი სტანდარტები, „ბიოფარმში" მრავალი წელი იმუშავა. ამჟამად ბათუმში „ბათფარმში" მუშაობს. დღე და ღამ საწარმოშია, მისთვის არ არსებობს განსაზღვრული რეჟიმი.

ნინო ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის. მისთვის ოჯახი მარტო სიყვარული არ არის, დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა. თვლის, რომ კარგად უნდა გაათვითცნობიერო, ვის მიყვები, შენი შესაძლებლობები აწონ-დაწონო, მზად ხარ ყველაფრისთვის?! ამბობს, რომ მეუღლეებს ერთნაირი აზროვნება და შეხედულებები უნდა ჰქონდეთ. მომავალი მეუღლე ასე წარმოედგინა: ასაკით უფროსი, მაღალი, ცისფერთვალება. ერთხელაც ნინომ ქობულეთში, ბინა იქირავა. დიასახლისის დისშვილს ერთი ნახვით მოსწონებია ნინო, ყურადღებით აავსო, უძღვნიდა ლექსებს, ყვავილებს ჩუქნიდა. ახალგაზრდები დილამდე საუბრობდნენ. ნინომ წიგნი ვერ დაასახელა, გიორგის წაკითხული რომ არ ჰქონოდა. გიორგი ყაჭეიშვილი თარჯიმან-რეფერენტად მუშაობს, სპეციალობით ეკონომისტია, ყოფილი ფეხბურთელი ასაკით მასზე სამი წლით უმცროსია. ოჯახში ლიდერი არ ჰყავთ, ორივე ერთნაირი ხედვით, ერთი მიმართულებით მიდიან. სიყვარული დიდი ნიჭიცაა, ამ გრძნობაში საბოლოოდ დარწმუნდნენ, როცა ერთმანეთი შეიცნეს.

ქმრის ოჯახში დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვდნენ. დედამთილი ქალბატონი ნუნუ და მისი დები ლია და ლილი მდიდარი სულის ადამიანები არიან. ამ უკეთილშობილეს ხალხთან იმდენად არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, რომ ხანდახან დედაჩემის სახეზე „თეთრი შურიც" კი გამოკრთებაო, — იღიმება ნინო, — ბედნიერი ვარ, რადგან ნამდვილად გამიმართლა, ჰარმონიულ ოჯახში გავიზარდე და ჰარმონიულ ოჯახში გაზრდილ ადამიანს დავუკავშირე ბედი...



● ნინო მამასთან ერთად

სიტყვამ მოიტანა და, როგორც იურისტს, შევეკითხე:

— დღეს განსაკუთრებით იმატა სისასტიკემ და ძალადობამ ოჯახებში. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

— ოჯახური ძალადობა მტკივნეული საკითხია მთელს მსოფლიოში. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა, პროცენტულად გაცილებით მაღალია მაჩვენებელი ვიდრე ოფიციალურად არის დაფიქსირებული. იგრძნობა, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ძალადობის შემთხვევები, ოღონდ, ოჯახები ხშირად მალავენ და არ აღიარებენ ამას. ვთანამშრომლობდი „ქალთა ფსიქოლოგიურ სახლთან". იყო უამრავი ანონიმური ზარი, ქალები ველარ უძლებენ ფიზიკურ ზეწოლას. საშინელებაა, როცა ქალი ფინანსურად დამოკიდებულია სხვაზე, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი პიროვნება, უნდა ჰქონდეს რაგინდ მინიმალურიც არ უნდა იყოს საკუთარი შემოსავლის წყარო, რათა ოჯახში და საზოგადოებაშიც დაიმკვიდროს საპატიო ადგილი, იყოს წარმატებული, რომ თავი არ იგრძნოს დაჩაგრულად. შვილებსაც უნდათ ჰყავდეთ სამაგალითო დედა. ქართველი ქალის ფენომენმა ბევრი ოჯახი იხსნა დალუპვისაგან.

ნანული ბუკია

# სიყვარულში ცხოვრება ორივესთვის

ერთმანეთს მოწაფეობიდანვე იცნობდნენ. ორთავემ თბილისის 57-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. თუმცა კლასელები არ ყოფილან, არც პირველი კლასიდან უსწავლიათ ამ სკოლაში...

— ბეჟანი მე-7 კლასში გადმოვიდა ჩვენს სკოლაში ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს საშუალო სკოლიდან. მე და ჩემი და, ლალი, — ზესტაფონიდან, სადაც იმხანად ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა. ჩვენი ახლო ნაცნობობა იმან განაპირობა, რომ იგი ჩემი დის კლასელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენ-ჩვენი გზით წავედით. მე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, ბეჟანმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. ჩვენ უფრო მოგვიანებით შევხვდით ერთმანეთს და ამ შეხვედრიდანვე რომანიც სრულიად ბუნებრივად, უშუალოდ გაიბა. დაქორწინებაც მალევე, მოულოდნელად გადაწყდა — გვიამბობს პარლამენტარ ბეჟან ხურციძის მეუღლე ქალბატონი დალი დაუშვილი. საუბარში ნათლად ჩანს, არ უყვარს პირადი გრძნობების გამომზევება, მისთვის ინტიმი ისეთივე მოკრძალებული განცდაა, როგორითაც ამ თემაზე საუბრობს. ალბათ, ამიტომაც მყისიერად ბავშვობაში გადაიხედავს, და მისთვის ძალიან საყვარელ პერიოდს გაიხსენებს, — შორაპანში ცხოვრების ხანას. მაშინ სულ ოთხი წლისაც არ ყოფილა, მაგრამ საოცარი სიცხადით ახსოვს, რა დიდ სიხარულს ანიჭებდა ტყე, მდინარე, ჭა, ყვავილები...



— დედა და მამა 18-19 წლისანი შეუღლებულან. ვინაიდან ოჯახში სივიწროვე იყო, მამას გადაუწყვეტია დამოუკიდებლად მოეწყო თავისი ცხოვრება. ამიტომ თბილისიდან (სადაც მამა დაიბადა), ჯერ შორაპანში გადასახლებულა საცხოვრებლად თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად, შემდეგ — ზესტაფონში.

ბუნებით ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. მახსოვს, ერთხელ მეზობლად ნათლობა გადაიხადეს, დიდი სეფა იყო გამართული. მე სტუმრებს ვხვდებოდი და ცნობისმოყვარეობით ვეკითხებოდი: — რა მოიტანე? ეს რომ მამამ გაიგო, საკადრისად დამტუქსა. ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ახლა ერთ ნაცნობ ქალს შევეკითხე:

— რა მოგაქვს, ქსენია?

— ოქროს თეფში.

— ვის ატყუებ? — არაფრით არ დავუჯერე. მამაჩემისგან მაინც არ ამცდა ყურის აწევა. მიყვარდა და მიზიდავდა ფარიკაობა. თერჯოლაში 6 წლისა კვირაში სამჯერ მივდიოდი მარტო, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მწვრთნელი თბილისში გადაიყვანეს და ჩემი ვარჯიშიც ფარიკაობაში ასე დასრულდა. თითქმის სპორტის ყველა სახეობა მომწონდა: ცურვა, ტანვარჯიში.

ზესტაფონში ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში. მუსიკის მასწავლებელთან, რომელსაც რომა ერქვა, ხშირად შემოდიოდა ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი. ისხდნენ და საუბრობდნენ ხოლმე. ერთხელ, ის ქალი რომ გავიდა ოთახიდან, რომას ვეკითხები:

— გიყვარს? — რომა მოულოდნელობისგან გაოგნებული შემომცქეროდა აბეზარ ბავშვს და ვერ მოეფიქრებინა რა ეპასუხა.

**— თბილისში ჩამოსვლისას განსაკუთრებით რამ დაგაინტერესათ?**

— ფუნიკულიორმა. მაგრამ ვინაიდან ჩემთვის არ ეცალათ, მოზარდმაყურებელთა თეატრიდან, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მარტო წავედი, ამისთვისაც კარგად დამტუქსა მამაჩემმა. ძალიან მიზიდავდა ცეკვა და კარგადაც ვსწავლობდი მასწავლებელთა სახლში. მახსოვს, რა დიდი სიხარული განვიცადე „გასტროლებზე" ყრუ-მუნჯთა სკოლაში რომ წაგვიყვანეს. მოკლედ, რაც თავი მახსოვს, სულ რაღაცას ვსწავლობდი და ვსწავლობ დღესაც. იქნებ ამიტომაც უფროსობის გრძნობა არ მაქვს. ბავშვების მიმართ, ჩემი შვილების, შვილიშვილების მიმართაც ასე ვარ განწყობილი.. ისინიც ჩემი ტოლები არიან.

**— ქალბატონო დალი, რაჭასთან რა დამოკიდებულება გაქვთ? ამას თქვენს მიერ დაწერილი სტრიქონებიდან გამომდინარე გეუბნებით:**

**„რად მინდა მე სხვა სიმდიდრე,**
**ანდა სხვა რამე-რუმე,**
**ჩემთვის ოქროა ისიც კი,**
**საფლავის ქვად რომ უდევთ"...**

— ძალიან მჭიდრო კავშირი მქონდა მუდამ და მაქვს ამჯერადაც ჩემს უსაყვარლეს სოფელ უშოლთასთან. სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. ყოველ ზაფხულს იქ ვატარებ ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

**— თქვენი ინტერესების სფერო საკმაოდ ფართო იქნებოდა. მედიცინის დარგი რის გამო აირჩიეთ? როდესაც კინოაპარატით (მოყვარულთათვის) თქვენს მიერ გადაღებულ ფილმებზე („ბეჟანი", „ჩვენი ოჯახი", „ზამთარი"...) მესაუბრებოდით, რატომღაც გავიფიქრე, რომ რეჟისორობა დაგაინტერესებდათ.**

— ბავშვობისას ძალიან მიყვარდა პედაგოგობანას და ექიმობანას თამაში. ვგრძნობდი, რომ თითქოს სხვას ვეხმარებოდი, ვშველოდი. შემდეგშიც, პროფესიის არჩევისას, უწინარესად ეს გრძნობა ახლდა ჩემს არჩევანს და სამუშაო პროცესსაც...

სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი გინეკოლოგად ქალთა კონსულტაციაში. თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში — ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში, ასევე დამაინტერესა დერმაკოლოგიამ. მოსკოვში ექიმ-კოსმეტოლოგის დიპლომი ავიღე. ვფიქრობ,ექიმ-კოსმეტოლოგმა დერმატოლოგიის გარეშე არც უნდა იმუშაოს...

ბევრი რამ იპყრობს მის ყურადღებას და ყველაფერს იმდენად ჩაუღრმავდება, რომ „მისდაუნებურად" შეისწავლის კიდეც. ამიტომაც არის რომ შესანიშნავად კერავს, ეუფლება ფოტო-ხელოვნებას, უკრავს ფანდურზე, აკორდეონზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, დოლზეც კი. მშვენივრად და ლაღად გრძნობს თავს მანქანის საჭესთან. თუმცა ეს ყველაფერი როდია...

კედელს ფერწერული ნამუშევრები ამშვენებს. თავისუფალ დროს ხატვას უთმობს. უყვარს პოეზია და ლექსებს წერს თავისთვის, როცა სათქმელი შეაწუხებს. მაგრამ ძირითად დროს ოჯახს ანდომებს, ამას სახლში შესვლისთანავე იგრძნობთ, ამასთან, სიმყუდროვესაც, გამორჩეული სისადავე რომ ბადებს.

**— ბატონო ბეჟან, თქვენც ასეთი მოუსვენარი და ცელქი იყავით? — ვეკითხები ქალბატონი დალის მეორე ნახევარს.**

— პატარა რომ ვიყავი, სამწყემსურში არ მიშვებდნენ, ამიტომ ჩუმად გავიპარებოდი ხოლმე,— გაეღიმა და შემდეგ თავისი წინაპრები გაიხსენა (დედის მხრიდან), ბაბუა — დომენტი ექვთიმეს ძე ტყეშელაშვილი და ბებია — მინადორა ოქროპირის ასული საღრიშვილი-ტყეშელაშვილისა. ბაბუას სიმღერაც წაიღიღინა: „ბაღში შევალ ვარდისთვის, ფოთლები დამჭკნარია, სიყვარული აღარ ღირს, ცხოვრება წამხდარია. ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, იქ ვარსკვლავი დავინახე, მთვარ-



● დალი დაუშვილი



● დალი და ბეჟან ხურციძეები შვილიშვილებთან

ემ კაცი მომიგზავნა, აქ თუ იყავ, რად არ მნახე“.

— ბაბუა იშვიათი მეურნე იყო, კაცი რომ ვანში ბამბას და ბრინჯს მოიწევს... ალადასტურის შესანიშნავი ჯიშები გამოჰყავდა. თავის სოფელ ბზვანში, გორაკზე ჭის ამოღება დაიწყო. 42 მეტრში ამოიყვანა...

მერე დიდი წინაპრის გოგისა ხურციძის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი გაიხსენა:

— გოგისას შვილს, ფარსადან ხურციძეს ბაბუსი, ლორთქიფანიძის ქალი მოუტაცნია. ბაბუსისთვის მზითვად თეთრი ძროხა მოუყვანიათ. ახალმოყვანილი პატარძალი ხშირად იკითხავდა თურმე: „ჩემი ძროხა თუ გაძღა“, „ჩემი ძროხა თუ მოვიდა“, „ჩემმა ძროხამ რამდენი მოიწველა“. ერთ დღეს გოგისას უბრძანებია, ბაბუსის თეთრი ცხენი მოუკაზმეთ „სედლოთი“, სტუმრად უნდა წავიდეთო. ბაბუსის დიახაც გახარებია მამამთილისგან ასეთი დაფასება. თან გოგისას ჩუმად დაუბარებია სახლში: „ბაბუსის ძროხა დაკალითო“.

დაბუნებისას დიდ სუფრა გაშლილა.

— კარგად ისადილე? — ჰკითხა თურმე ბაბუსის გოგისამ.

— დიახ, ბატონო!

— შენ იცი, რომ შენს საკუთარ თეთრ ძროხას შეექეცი? არ დაგწყდეს გული, ის თეთრი ცხენი „სედლოთი“ შენი იქნება, მე 500 ძროხა მყავს, შენი ერთი იყო. დაიხსომე, ჩემი და შენი აღარ გავიგონო... დღეს ის „სედლო“ ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ძალიან საყვარელი ადამიანი იყო ბაბუსი. ჩვენსას რომ მოვიდოდა, ორი დღე დარჩებოდა. წასვლისას დედას სამჯერ დაატრიალებდა და დალოცავდა. თან ეტყოდა თურმე:

— ჩემი ლადიმე გამიმრავლე და მიცოცხლე დიდხანს. ჩამკოცნიდა და ისე წავიდოდა ძულუხშიო...

ცოლისაგან განსხვავებული ხასიათი აქვს ბატონ ბეჟანს. ერთი, ამა თუ იმ კონკრეტული ინტერესის სრულყოფისათვის ისწრაფვის მუდამ. იმთავითვე დაეუფლა და შეიყვარა ნიჩბოსნობა. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრები გუნდის კაპიტანი აკადემიურ ნიჩნოსნობაში. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი და თასის მფლობელი. 1994 წლიდან საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია. ასევე, იყო და არის ტრადიციონალისტთა კავშირის წევრიც და, როგორც ბატონი ბეჟანი აღნიშნავს, არასოდეს არ გადავა სხვა პარტიაში. გამორჩევით უნდა აღვნიშნო, პარლამენტარის ოჯახში ნამდვილი ქართული ჩოხის დღესასწაულია. თითქმის ყველა ფოტო ჩოხაში აქვს გადაღებული. სწორედ რომ მის ნატურას ქართული ჩოხა მართლაც, შესანიშნავად, იშვიათი ორგანულობით ერწყმის!

სულ ახლახანს იმყოფებოდა მოსკოვში — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის წინამძღვრობით ქართული დელეგაცია მოსკოვში ჩაბრძანდა პატრიარქ ალექსი II-ის მოწვევით „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ახალი — XIII ტომის წარდგინებაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ბატონი ბეჟანი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნავს თანამემამულის ქართველი ბიზნესმენის ლევან ვასაძის მეცენატობას, რომელმაც შესანიშნავი პატრონობა გაუწია ქართულ დელეგაციას და რომლის შესახებაც, მისივე სიტყვებით, ბევრი შეიძლება ითქვას. აქვე დასძენს, რომ ამ დიდი ქველმოქმედის ოჯახში ხუთი შვილი იზრდება — სამი ვაჟი და ორი ქალი.

აღმაფრენითა და სიყვარულით იხსენებს, თუ რა შესანიშნავად ცეკვავენ ბატონი ლევანის შვილები: ვაჟი ჩოხაში და ქალი — ხევსურულ კაბაში გამოწყობილები.

გოჩა გოგლიჩიძესთან ერთად მეცენატი ლევან ვასაძე თავისი ცხოვრებით და იშვიათი ქმედებით უდავოდ წარმოადგენს საქართველოს ღირსეულ სახეს მოსკოვში.

ჩემს წერილს „სულში ამოსულ იასავით“ ამაოდ არ ვუწოდე. ვინც ამ სახლში შემოვა, ის უმალვე იგრძნობს, ასეა მისთვის უპირველესად თავისი გულის რჩეული, ორი თვალის ჩინი კახა და ლაშა, პატარები — ბაბუის მოსახელე ბეჟანი და ოჯახის უმრწემესი წევრი ირაკლი. კედლიდან ამაყად გადმომზირალი ძველი საქართველოს დიდი კულტურის კერა — დიდ ხურციძეთა საძვალე — ზარზმა. მისი მშობლიური ვანის რაიონი მის სიძველეთა მონაპოვრებით, პოეტების სამეფოთი — „ერთი გალაკტიონით“, დიდი ტიციანით და დიდი კოლაუ ნადირაძით, ყველაზე პატარა და ყველაზე ძვირფასი მდინარეებით სულორითა და ბონკოთი, მთის წვერზე დაკიდებული საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფლით — ძულუხით, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ, ვინ იცის, რომელ დიდ ხურციძეთა. იქნებ, ერისთავთ-ერისთავთა ღირსეული შთამომავალნი, თავიანთ სალოცავ გვარს ურჯულოთა შემოსევისას რაიმე ბიწის წინწკალი რომ არ გააკარეს და გადმოლახეს ახალციხის კალთები, ვინ იცის, იქნებ ჩორჩანის ციხის, ზარზმის, ჭულევის მაშენებელთა ნაშიერებმა.

ალბათ, ამიტომაც სულ გზაშია.

— სად არის ბეჟანი?

— ამ დილით წავიდა ვანში.

— ვანშია.

— ახლა ჩამოვიდა ვანიდან...

ციური ხეთერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აბესალომ და ეთერი“ ჩვენი დროის სვეტიცხოველია. სამწუხაროდ, ფრესკებიც ხუნდებიან და ყველა ქვაკირით და ფოლადით ნაგებ შენობებსაც დახრავს დრო. ვინჩის „ჯოკონდა“ ოდესმე მთლად გაშავდება. „აბესალომ და ეთერს“ – ამ ოპერის ფასადს და გუმბათს პლანეტის აღსასრულამდე არც ერთი ორნამენტი არ მოსწყდება.

არც ერთი ძეგლი არ ამართულა ასე მაღლა! „დაისის“ უვერტიურის მსგავსი“.

*აკაკი ბაწერელია*

# ჩემი უთეთრესი გზები

გუშინდელ დღესავით მახსოვს აუჩქარებელი ნაბიჯით აუდიტორიისკენ მომავალი ტანმორჩილი ქალის ფიგურა, წყნარად, თითქოსდა, როგორღაც მოკრძალებულად შემოაღებდა აუდიტორიის კარს, მშვიდი ღიმილით მიმოგვავლებდა თვალს (მისი მოსალმება ასეთი იყო) და კათედრასთან მდგარი პირდაპირ იწყებდა ლექციას. არ მახსოვს, ოდესმე მას ლექციაზე ჟურნალი გაეშალოს და სია ამოეკითხოს. განსაკუთრებული ორატორობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ლექტორის საუბარში იგრძნობოდა ყველაზე მთავარი, ის ინტიმი, რაც მწერალსა და მკითხველს შორის უნდა დამყარდეს და ამ ძაფს სრულიად ბუნებრივად და უშუალოდ აბამდა ლექციის ავტორი, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ქალბატონი ფატი გოკიელი, რომელიც საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა და მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რაოდენ საინტერესო უნდა ყოფილიყო ეს საუბრები ჩვენთვის, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მსმენელთათვის.

და ამჯერადაც, დიდ ქართველ კომპოზიტორზე ქართული ოპერის მამამთავარზე, ზაქარია ფალიაშვილზე სწორედ ქალბატონი ფატი გოკიელის მოგონებით მსურს დავიწყო საუბარი, მით უფრო, რომ



მეცნიერი „აბესალომ და ეთერის“ ავტორის ახლო ნათესავიც ყოფილა, და არამხოლოდ სასიქადულო კომპოზიტორის ერთ-ერთი მოკრძალებული თაყვანისმცემელი:

„ჩვენს ოჯახს ფალიაშვილების ოჯახთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა, ხოლო ჩემს ბიძაშვილს, ლევან გოკიელს, ამჟამად ცნობილ მათემატიკოსს, ზაქარია დედის მხრივ ბიძად ერგებოდა. სწორედ თავისი დეიდაშვილის, მაროს სიყვარულისა და პატივისცემის გამო დაარქვა მან „დაისის“ გმირ ქალს მარო, რასაც თვით ზაქარია არაერთხელ აღნიშნავდა ხოლმე.

ბავშვობისას ფალიაშვილებს ხშირად ვხვდებოდით წაღვერში. ვმეგობრობდი პატარა ირაკლისთან (ზაქარია ფალიაშვილის ვაჟი – ც.ხ.), რომელიც ერთობ გონებაგახსნილი, მგრძნობიარე და მდიდარი ფანტაზიის მქონე ბავშვი იყო. რა და რანაირ თამაშებს არ იგონებდა.

სტუდენტობისას ამ მრავალრიცხოვანი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდით.

განსაკუთრებით გვიყვარდა, როდესაც ძია ზაქრო როიალს მიუჯდებოდა და იწყებდა იმპროვიზაციას. გავბედავ და ვიტყვი, გენიალური იმპროვიზაციები იყო. ნეტავი ჩაეწერათ! ხანდახან ზაქარია განზრახ შიგ ჩაურთავდა ორიოდე ტაქტს „აბესალომის“ რომელიმე ადგილიდან და შემდეგ აღრმავებდა, ავითარებდა მას სულ სხვანაირად, ახლებურად. ლევანი და მე ერთმანეთს გადავხედავდით ხოლმე, რაც ზაქარიას გამჭრიახ გონებას არასოდეს არ გამოეპარებოდა, „რას აფრთხიალდით, თქვე კუდრაჭებო? ხომ არ გეცნაურათ რამე? – სიცილით გვკითხავდა ხოლმე, რადგან ეს, ცხადია, ჩვენს გამოსაცდელად და გამოსაჯავრებლად გააკეთა.

როდესაც „ზაქრო ძიამ“, როგორც მას ვეძახდით, გამოგვიცხადა, რომ მივყავართ თეატრში „დაისის“ გენერალურ რეპეტიციაზე, ჩვენს სიხარულს და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... და აი, ერთგული საჭურველმტვირთველებივით ვუსხედით ზაქარიას აქეთ-იქით საოპერო თეატრის ამფითეატრის სავარძელში, რადგან იქიდან მოისურვა დიდმა კომპოზიტორმა თავისი ახლად შექმნილი ოპერის მოსმენა.

რისთვის წამოგვიყვანა და გვერდითაც მოგვისვა? – მე მგონი, ეწადა, შეემოწმებინა ჩვენს უშუალო ნორჩსა და წრფელ გრძნობებზე თავისი უკვდავი მუსიკის ძალა... სულგანაბულნი ვუსმენდით „დაისის“ შესავალს – „რა კარგია, ზაქარია ძია, რა მშვენიერია! – ჩავიჩურჩულეთ და მყისვე შეგვაწყვეტინა:

– უსმინეთ და ხმა არ ამოიღოთ! მაგრამ როცა გაისმა „დაისის“ ცნობილი საცეკვაოს ქართულ ჩუქურთმასავით ხვეული, მსუბუქი და ჰაეროვანი ჰანგი; ხოლო შემდეგ მას მალე მოჰყვა ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული „თავო ჩემო“, თავი ველარ შევიკავეთ და შევუერთდით საზოგადოების მქუხარე ტაშს.

ანტრაქტში ზაქარიამ დირიჟორის კაბინეტისაკენ წაგვიყვანა, სადაც თავისი ძმა ვანო ფალიაშვილი ელოდებოდა.

– იქ რომ მაესტროზო გიწერია, რატომ ეგრე არ დაუკარი? – დატუქსვის კილოთი მიმართა ძმას ზაქარიამ.

– ასე არ სჯობს?

– ისე სჯობს, როგორც მე დავწერე და ხვალ მაესტროზო თავის ადგილას იყოს?

ვანომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ჩუმად ჩაიცინა და ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, ვითომ ხედავთ, ზაქარიას არაფერი გამოეპარებაო“. რაოდენ სიყვარულით, პატივისცემითა და მოკრძალებით უცქერდა ვანო ფალიაშვილი თავის დიდებულ ძმას! ოთახში შემოვიდა ვანო სარაჯიშვილი, უსაზღვროდ ლამაზი და მიმზიდველი მალხაზის თეთრ ჩოხაში. ზაქარიამ გადაკოცნა იგი და გამარჯვება მიულოცა.

დარბაზში დაბრუნებისას ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი შემოგვხვდა, მოკრძალებით მივესალმეთ, განზე გავდექით და უჩუმრად ჩვენი ადგილებისაკენ გავეშურეთ.

ხოლო ზაქარია იდგა ივანე ჯავახიშვილის წინ, აღელვებული, თითქოს მსჯავრს, განაჩენს მოელოდა, ივანე ხომ არა მარტო ისტორიკოსი, არამედ მუსიკის ღრმა მცოდნე იყო. იგი ღიმილით ესაუბრებოდა ზაქარია ფალიაშვილს და, როგორც სჩანს, მრავალი რამ უთხრა „დაისის“ მუსიკის შესახებ.

სახეგაბრწყინებულმა და სიამოვნებით აღსავსემ დაიკავა ზაქარიამ თავისი ადგილი ამფითეატრში.

ოვაციები ქუხდა. ბოლოს, თავი ველარ შევიკავე და როდესაც გაისმა „მწუხრი დაიწყო“, მწარედ ავქვითინდი.

ამ დიდებული დღის სამახსოვროდ ზაქარია ფალიაშვილმა მაჩუქა თავისი ახლად გამოცემული „ცეკვა ქართული“ ოპერა „დაისიდან“ ჩემთვის მარად ძვირფასი წარწერით:

„ქართული მუსიკალური ხელოვნების მოტრფიალე ფატმანს“, რაც რელიკვიად დარჩა ჩემს ოჯახში“.

მკითხველი, ალბათ, მომიტევებს, რომ ასე ხარბად დავესესხე ჩემი ლექტორის მოგონებებს, მაგრამ მეცნიერი ქალის ამ ნათელ გახსენებაში ბევრი რამ არის საგულისხმო და საყურადღებო, სახელდობრ, კომპოზიტორის სითბოთი და გულისხმიერებით გამორჩეული ურთიერთობები ახალგაზრდობასთან, ახლობლებთან, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება დიდ ქართველ მეცნიერთან ივანე ჯავახიშვილთან, თავის თანამოღვაწე უსაყვარლეს ძმასთან, საყოველთაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღიარებულ დირიჟორთან ივანე ფალიაშვილთან...

სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილთან, „დაისის“ ავტორს კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ჯერ კიდევ ადრე, 1908 წლის 16 დეკემბრით დათარიღებულ წერილში მუსიკოსი მეცნიერს აუწყებდა: ...7 ქრისტეშობისთვის იყო დანიშნული აკაკის იუბილე და ეს კი (აკაკის საიუბილეო „მრავალჟამიერ“ – ც.ხ.) დავწერე, 2-ს ქრისტეშობისთვეს ერთ საღამოზედ, რადგანაც არაფერს არ ვაპირებდი, მაშინ ფილარმონიულ საზოგადოების ძალდატანებით ესე უცებ, ერთ საღამოში, დავწერე ეს მუსიკა და კიდეც დავაბეჭდინეთ აქ მესხიევს.

ეს „მრავალჟამიერი“ იმდენად სადღესასწაულო ხასიათის გამოვიდა, რომ უკეთესი არ შეიძლება, და საზოგადოებაც მეტად კმაყოფილი დარჩა. ეს არის ჩემი პირველი ცდა – ქართული მუსიკის შეთხზვაში. აქამომდე მარტოდ სახალხო სიმღერების შემატების ცდაში ვიყავ და ეხლა კი გავბედე შეთხზვა და ვგონებ, რომ ნახავთ და გადაათვალიერებთ; ქართული ელფერი მეტად დაცული უნდა იყოს“.

მკითხველს, ალბათ, არც ზაქარია ფალიაშვილის, როგორც კომპოზიტორის კატეგორიული ტონი გამორჩებოდა მხედველობიდან ფატი გოკიელის მოგონებიდან:

– იქ რომ მაესტროზო გიწერია, რატომ აგრე არ დაუკარი?

– ასე არ სჯობს?

– ისე სჯობს, როგორც მე დავწერე და ხვალ მაესტროზო თავის ადგილას იყოს!

ეს მომენტი უნებლიეთ შეგვახსენებს ტიციან ტაბიძის სიტყვებს ზაქარიასადმი მისივე წერილიდან: „ზაქარია ფალიაშვილი“, რამეთუ პოეტი არცთუ იშვიათი მოწმე და მხილველი ყოფილა თავის თანამოკალმე ცისფერ ყანწელ მეგობრებთან ერთად კომპოზიტორის მღელვარე ცხოვრებისა: „ზაქარია გაკაპასებული კრუხივით თავს დასტრიალებდა თავის ოპერებსო“. ამ მხრივ მინდა გავიხსენო ზაქარია ფალიაშვილის ერთი წერილი გიორგი ჟორდანიასადმი (ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას ვაჟი.-ც.ხ.), რომელიც იმხანად იყო თბილისის ოპერის თეატრში იურისკონსულტი და მასვე ევალებოდა თბილისის საოპერო თეატრის საგარეო საქმეების მოგვარება, საბჭოთა კავშირის ქალაქებში ქართული ოპერების დადგმებზე ხელშეკრულების გაფორმება:

„თუ ხათრი გაქვს, ჩემს ნოტებს ყური უგდე და არავის ხელში არ ჩაუგდო, თეატრის გარდა, ხომ იცი, ხელნაწერს ყურისგდება უნდა და ამას მით მომეტებული გთხოვთ და ხაზს ვუსვამ კიდეც და რათა? აგერ გაგიშუქებ! საზღვარგარეთიდამ მოსულია „ვნეშტორგის“ ცნობა, რომელიც აქ მოუვიდა თეატრს, ჩვენი ოპერების პარტიტურების და კლავირების გადაწერის შესახებ და რომელთანაც ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად მე შენ ნდობის ქაღალდიც გადმოგეცი, მოხდა შემდეგი:

გუშინწინ მაჩაბელმა გამომიძახა თეატრში და ვიღაც ქალი, მეტად „სალიდნი“, გამაცნო. ეს ქალი, როგორც გაირკვა, ყოფილა საერთაშორისო წიგნის საექსპერტო განყოფილების გამგე მოსკოვში, მისი გვარი არის მიკუშინა. ეს ყოფილა მივლინებული სასომხეთში და დავალებული ჰქონია, მისულიყო ჩვენი თეატრის დირექტორთან და მოეწესრიგებინა ამ ოპერების გადაწერის და შეძენის საქმე.

შენი ჭირიმე, გიორგი! არასგზით თეატრმა არავის არ მისცეს გადასაწერად... მე მეშინიან, რომ „ვნეშტორგმა“ არ გადასწეროს მანდ ჩემი პარტიტურები და კლავირები...“

აქვე კომპოზიტორი ადრესატს თხოვს „აბესალომის“ დადგმის შესახებაც; სამშობლო სცენის მიღმა თავისი ოპერების დადგმის ღირსეულად განხორციელება ხომ დიდი მუსიკოსის განუწყვეტელი ზრუნვისა და ფიქრის, მარადი ღელვის საგანი იყო:

„ჩემო გიორგი! ყოველ ღონეს იღონებ, რომ ჩვენ, ქართველი ერი, თავისი კულტურის უკანონო შვილებად, ობლებად არ წარსდგეს მანდ! ეს ჩვენთვის და პირადად ჩემთვისაც არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და საჭიროა, რომ „აბესალომი“ დადგმული იყოს ღირსეულად... ამას მე შენ გწერ, როგორც ჩემს მეგობარს, მუდამ ჩემთვის კეთილის მყოფელს და ჩვენი მუსიკის მოტრფიალეთაგან პირს... ეხლა შესახებ „ვნეშტორგისა“ კიდევა გთხოვ, რომ ჩემთან შეთანხმებით მოიქცე და უჩემოდ ხელშეკრულება არ დაუდვა მათ... მე დანამდვილებით შევიტყვე, რომ ნება არ აქვს „ვნეშტორგს“, მე როგორც ავტორს, ანგარიში არ გამიწიოს...

შენი ჭირიმე, გიორგი! „აბესალომის“ შესახებ, როგორც ზემოთა გთხოვ, დაფაცურდი და ეს საქმე სასარგებლოდ ჩვენი საყვარელი მუსიკისა, დაავვირგვინე ისე, როგორც მას შეჰფერის...

დიდ ბოდიშს ვიხდი შენს წინაშე შენი შეწუხებისათვის, მაგრამ, რა ვქნა, რომ შენს მეტი პატრონი ამ გზობად მე სხვა არავინა მყავს და არც მინდა მყავდეს. მწერ, დაწყნარებით იყავით! დამერწმუნე, ამ წერილსა ვსწერ სრულიად დაწყნარებული ისე, როგორც ავტორი კი არა, არამედ ერთი საზოგადო მოღვაწეთაგანი. დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ მეც და ვანოც. შენი ერთგული ზაქარია ფალიაშვილი, 25.10.32“.

ზაქარია ფალიაშვილს წესად ჰქონია, საყვარელი მშობლიური ქალაქის, ქუთაისის ხშირად სტუმრობა, მრავალრიცხოვანი მეგობრების, ნათესავების მონახულება. ქალაქისა, სადაც დაიბადა და აღიზარდა, ბავშვობის სანატრელი წლები გაატარა. განსაკუთრებით ჰყვარებია ქუთაისის მიდამოების თვალიერება უქიმერიონის მთიდან. პირზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინებოდა თურმე. როცა აქედან მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე პატარა ფიცრულ ოროთახიან სახლს დაინახავდა, სადაც 1871 წელს მისი აკვანი დაირწა. ტკბილი მოგონებები კი, უეჭველია, პირველ ყოვლისა, მეხსიერებიდან ამოზიდავდა საყვარელი დედ-მამის, – მარიამ პავლეს ასული მესარქიშვილის და პეტრე ივანეს ძე ფალიაშვილის სანუკვარ სახეებს. გადმოცემით, ზაქარიას თავდავიწყებით ჰყვარებია დედის ნაჩუქარი ოვალური ფორმის პატარა სარკე, რომელსაც ყველგან თან ატარებდა. დებსა და ძმებს ხშირად ეტყოდა: „ამ სარკეში დედის მუდამ მომღიმარ ლამაზ სახეს ვხედავო“.

როგორც ზაქარია ფალიაშვილის ნათესავები იგონებენ, მარიამი უაღრესად სათნო და კეთილი, ოჯახის მოსიყვარულე, შრომისმოყვარე და ჩინებული აღმზრდელი, ამასთან დარბაისელი, ლამაზი პირისახისა ყოფილა, ძლიერ შვენოდა ქართული ტანსაცმელი. ლეჩაქს მუდამ ატარებდა. სხვა სიკეთესთან ერთად მეტად სასიამოვნო ხმაც ჰქონდა. გატაცებით ჰყვარებია ქართული ხალხური მუსიკა. განსაკუთრებით, ძველი სიმღერები. მთელი დღის ნაჯაფი დედა მომაჯადოებელი სიმღერით უტკბობდა შვილებს სმენას.

თავის მხრივ, მამასაც, პეტრე ივანეს ძე ფალიაშვილს, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მნათეს, უაღრესად პატიოსან, გამრჯე, მხიარული ბუნების, ენაწყლიან კაცს ძალიან ჰყვარებია ღიღინი, ამიტომაც, მისთვის მეტსახელად „პეტრე ღიღინა" შეურქმევიათ. იგი ზედმიწევნით კარგად ყოფილა დაუფლებული საეკლესიო საგალობლებს, ეპისტოლესაც კითხულობდა.

ზაქარიას წკრიალა სოპრანოსაც ადრევე მიუქცევია ყურადღება და იგი ეკლესიის გუნდშიც ჩაურიცხავთ. სწორედ აქედან ეყრება საფუძველი მის მუსიკალურ მომავალსაც.

„იმისდა მიუხედავად, რომ ჩემი მშობლები არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ უკრავდნენ და არც რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტი არ მოგვეპოვებოდა სახლში, – წერს ზაქარია ფალიაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში, – პატარაობიდანვე მთელს ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახში და – ძმებს ბუნებითად მუსიკალური ნიჭი დაგვყვა. ეს, ჩემის აზრით, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ, როგორც კათოლიკენი, ხშირად მოსიარულენი ეკლესიაში, სადაც საეკლესიო ორღანის ნაზი ხმები სმენას ატკბობს და ანვითარებს, ჩვენც, და მომეტებულად კი მე და ჩემი უფროსი ძმა ივანე, რომელმაც პირველმა თავის უმცროს დაძმებს ჩაგვინერგა სიყვარული მუსიკისადმი, ერთთავად ეკლესიაში ვიმყოფებოდით და ნელნელობით, შეუმჩნევლად ჩვენი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა“.

*ციური ხეთერელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვრული ქსოვილის დიზაინერის, მხატვარ – ქეთევან ჭაბუკიანის შემოქმედებითი სფერო საკმაოდ მრავალფეროვანი და ინდივიდუალურია. 2003 წლიდან, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. იგი მუშაობს გრაფიკაში, ფერწერაში, ბატიკაში, გობელენში, თექაში. მონაწილეობას იღებს როგორც ჯგუფურ გამოფენებში, ფესტივალებში, სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში, ასევე ჰქონდა პერსონალური გამოფენა გალერეა „თინათინ“-ში 2003 წელს.

2005 წელს ქ. ბერლინში მოეწყო გამოფენა-ჩვენება „Ethnolution“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის ის წამყვანი მხატვარი-დიზაინერები, რომლებიც თავიანთი ეროვნული კულტურის ტრადიციებს თანამედროვე იერსახით გადმოსცემენ. ქეთევანმა თავის უფროს დასთან, მარიამ ჭაბუკიანთან ერთად ამ გამოფენა-ჩვენებაზე ეროვნული ხატოვანებითა და თემატიკით გაჯერებული თელილი თექის ნამუშევართა კოლექცია წარადგინა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ქართული ეროვნული ხასიათის მატარებელმა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებმა.

ქეთევანი ამაყობს თავისი ძლიერი პედაგოგებითა და ოჯახური გარემოთი, ვისაც უმადლის ხელოვნებაში ბავშვობიდანვე პირველი ნაბიჯების გადადგმას.

# ნაბდით მოტანილი ხელოვნება

– საერთოდ, ვფიქრობ, რომ პროფესია ადამიანისათვის თავისი თავის დაფიქსირების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა და სწორედ ამ საშუალების მთავარი ფუნქცია ის არის, რომ ადამიანმა, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს ის – მხატვარი თუ ექიმი, ბოლომდე კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმე. არსებობს უბრალოდ ნიჭი. ყველა ადამიანი ნიჭიერია რაღაცაში თავისთავად. მთავარია, გააცნობიეროს, სად გრძნობს ის თავს ყველაზე სრულფასოვნად, სად შეუძლია მას თავისი პოტენციალის გამოვლენა უფრო ნათლად.

*– თექაში მუშაობ. როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა გააჩნია ამ ქსოვილს?*

– თექის უპირატესობა იმაშია, რომ იგი თვითნაბადი ქსოვილია, პირველყოფილია. ფაქტობრივად ის ერთადერთი მასალაა, რომელიც თავად მოითელა, თავისით შეიქმნა, ვიდრე მას ადამიანის ხელი შეეხებოდა. ასე, რომ რადგანაც ის თვითნაბადია, ცოცხალი მასალაა, ამიტომაც სრულიად განსხვავებული, დადებითი ენერგეტიკა აქვს. ამავე დროს, საოცრად მრავალფეროვანია. თექა იძლევა მაქსიმალურ შესაძლებლობას, განალაგო სიბრტყობრივი კომპოზიციები, მოძერწო, ერთგვარ ქანდაკებამდე მიიყვანო, მისცე მოცულობა და ფორმა, გააცოცხლო მასში შენი ფანტაზიები.

*– შენი შემოქმედება სხვათაგან სრულიად განსხვავებულია. რას იტყვი, როგორ იქმნებოდა, ყალიბდებოდა შენი ხელწერა?*

– მხატვარმა საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს ის, რაც მისთვის „მთავარია“ „მთელია“. რაც შეეხება ჩემი ნამუშევრების ინდივიდუალობას, ეს ძალიან უბრალოდ ხდება. ჩნდება თემა, აზრი, რომელიც გადადის ნახატში, ვითარდება, იძენს ფერს, სტილს, ფორმას. მხატვრული ქსოვილის დიზაინერი ვარ და პირველ რიგში ვქმნი უშუალოდ ქსოვილს მატყლისაგან, სელის და ნატურალური აბრეშუმის ბოჭკოსაგან. შემდეგ ხდება მისი მოძერწვა სხეულის ფორმების მიხედვით, რადგანაც ჩემთვის ადამიანის ფიგურა ერთ-ერთი საუკეთესო ობიექტია თავისი სრულყოფილებით. თუმცაღა ქსოვილის ზედაპირზე ნახატის განლაგება წინასწარ მოფიქრებული მოდელის მიხედვითაც ხდება.

*– რა თემატიკა „ჭარბობს“ შენს შემოქმედებაში?*

– საერთოდ მაინტერესებს ორნამენტული სიმბოლიკა, რომელიც ისეთივე გამომსახველია, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, ცეკვა, მუსიკა. ეს არის უსაზღვრო ინფორმაცია კაცობრიობაზე, მათ ცხოვრებაზე, და საერთოდ სამყაროზე. ის არსებობს ყველგან, ხაზში, ფერში, ტრადიციებში, რიტუალებში, დროსა და სივრცეში. თვით სამყაროა საინტერესო, სიცოცხლეა საინტერესო, ადამიანი თავისი ეთნო-კულტურით, მითებით, ლეგენდებით. ეს ჩვეულებრივი პროფესიული ინტერესია, რომელიც ფიქრის შემდეგ ისხამს ხორცს, იღებს ფერს და იძერწება საბოლოო სახის მიღებამდე.

*– თუ არსებობს თემა, რომელიც განსაკუთრებულად გაინტერესებს?*

– რა თქმა უნდა. ეს „დაო“-ს თემაა. ეს სიმბოლო თავისთავად ყოვლისმომცველია, ორი განსხვავებული ენერგიის მატარებელი, ერთიანი, გაწონასწორებული და არსებითი: ქალი და კაცი, შავი და თეთრი, მზე და მთვარე, ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ მაინც კანონზომიერი.

ნაბდის თემა კი განსაკუთრებით მიყვარს. საზოგადოების უდიდეს ნაწილს ნაბადი მხოლოდ მეცხვარის მოსასხამად და მგზავრთათვის ჭექა-ქუხილისაგან დასაცავ და სათბუნებელ სამოსად წარმოუდგენია. წარსულში ეს მართლაც ასე იყო.

რა არის იმაში ცუდი, რომ დღევანდელმა თაობებმა წინაპრების მოსასხამი ნაბადი გათანამედროვებული იერ-სახით სიბა-სარტყელთან და არდაგთან ერთად შეიტანონ თავიანთ „გარდერობში“ და დაამკვიდრონ ის, როგორც თანამედროვე, მსუბუქი ეროვნული სამოსი?!

ბავშვობაში დედაჩემმა სქელი უქსოვადი მაუდისაგან შემიკერა „ნაბადი“ და მეც სიამოვნებით ვატარებდი მას. ის პატარა ნაბადი დღესაც შენახული მაქვს, როგორც თილისმა. თან ისიც საინტერესო ფაქტია, რომ ნაბადი, როგორც ძველი ტრადიციული სამოსი, დღეს ულტრათანამედროვეა. სხვათა შორის, თვითონ მოსასხამი ნაბადი „ყოფითი სიმბოლიკაა“ და დადებითი, სასიცოცხლო ენერგიის მატარებელია. იგი ადამიანს შეუმჩნევლად გადასცემს ამ ენერგიას, კურნავს სხვადასხვა დაავადებებისაგან, ახდენს სითბური ენერგიის აკუმულირებას თვით ორგანიზმშივე და ბოლოს „ასხივოსნებს“ მის დაზიანებულ, თვალით უხილავ აურას. ეს ყველაფერი ცხვრის ჯანმრთელი მატყლის დადებითი ენერგიის გაცემის ხარჯზე ხდება. მატყლის თითოეული ბოჭკოს ენერგეტიკაში დაბალანსებულია ყველა კოსმიური თუ მიწიერი დადებითი ენერგეტიკულ-სამომხმარებლო ძალები. ყველაფერ ამას კი აძლიერებს მოსასხამი ნაბდის მთლიანობა და დაუნაწევრებელი, ნაძერწი ფორმა.

*– ფერებზე რას იტყვი? რომელი ფერია შენთვის უფრო მეტად მისაღები?*

– ჩემთვის ყველა ფერი მისაღებია და საერთოდ ყველაფერი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტრში, რაც ცხოვრებაში ვიზუალურ მრავალფეროვნებას გვაძლევს. ჯერ, როგორც წესი, შავ-თეთრზე ვმუშაობ, რადგან შავ-თეთრზე მუშაობისას ხდება თვალის ფოკუსირება. უფრო მეტად ხდება კონცენტრირება ტონებზე, ფერები მერე შემაქვს.

*— ქეთევან, რა დროს უთმობთ მუშაობას?*

— მთავარია, ვიყო მშვიდად. მშვიდად როცა ვარ, მაშინ უკვე თავისთავად კარგადაც ვმუშაობ. თუმცა იმიტომაც ვმუშაობ, რომ სიმშვიდე მოვიპოვო. განსაკუთრებით კი ღამე მიყვარს მუშაობა, გვიანობამდე, ზოგჯერ თავზე დამთენებია კიდეც.

*— განწყობაზე, ხასიათზე რას იტყვი? არა აქვს მნიშვნელობა როგორ ხასიათზე იქნები მუშაობის დროს?*

— მუშაობის პროცესში, როგორც წესი, ნაკლებად კონცეტრირებული ვარ ასეთ რამეებზე. თან ხდება ისე, რომ თუ არსებობს რაიმე პრობლემა, მაშინ ჩემთვის მუშაობა ამ პრობლემიდან გასვლის საშუალებაა. ის ერთგვარი მედიტაციაა. ამ დროს განტვირთვა ხდება. სხვათა შორის, არსებობს ისეთი თერაპიული კურსებიც, სადაც ხატვით მკურნალობენ.

*— თავად შენს ნამუშევრებზე რას იტყოდი, რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?*

— ჩემი პოზიციიდან, ყველა ნამუშევარი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. განსხვავებულია თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზეა შექმნილი, სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა დროს. ეს „სხვადასხვა" უკვე თავისთავად სხვადასხვანაირს ნიშნავს, რადგანაც იმ დროის განწყობა შენი სურვილის გარეშე გადადის ნამუშევარში. სხვა ადამიანის პოზიციიდან ალბათ ეს ასე არ არის. ვიღაცისთვის ჩემი ნამუშევრები შეიძლება ერთფეროვანიც იყოს,



თუნდაც იმიტომ, რომ ხელწერაა ერთი. ხელწერა კი ადამიანის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა, რომელიც მის ინდივიდუალობაზე მიუთითებს.

*— როგორ ფიქრობ, ამას შენი შემოქმედების ეროვნულობაც ხომ არ განაპირობებს?*

— კი, ალბათ, ეს ფაქტორიც არსებობს. თუ შენი ინტერესების სფერო არის ძველი ქართული სიმბოლიკა, მაშინ ლოგიკურია, რომ შენი შემოქმედება ეროვნულ ხასიათს ატარებდეს.

*— ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ყველა ხელოვანის შემოქმედებაში არსებობს სიმართლე. როგორ ფიქრობ, შენს შემოქმედებაში რა სიმართლეა?*

— მართალია, ხელოვნება სიმართლის გარეშე არ არსებობს. ჩემი ხელოვნება, ჩემი სიმართლეა, ჩემი ფიქრების და აზრების შედეგია. არავის არ ვავალდებულებ, რომ აუცილებლად დამიჯეროს, პირიქით, მხატვრის პასუხისმგებლობა უფრო მეტად მე მავალდებულებს, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინო ადამიანების ინტერესები. ის, რაც ჩემს ნამუშევრებშია ასახული, ჩემი, როგორც მხატვრის ფანტაზიაა ხელოვნებადქმნილი.

*— შენი შემოქმედება, საერთოდ რისთვის ან ვისთვის იქმნება?*

— მხატვრისათვის შემოქმედება მისივე სავიზიტო ბარათია, ამიტომაც ის, პირველ რიგში, მისთვის იქმნება და პირველად მისი სიმპათია უნდა დაიმსახუროს, როგორც მაყურებლის, და თუკი დაიმსახურა, მაშინ საჭიროც კია ეს ყველას გაუზიაროს.

*— რას იტყვი, რამდენად თანამედროვეა თექა?*

— თექა ყოველთვის იყო, არის და იქნება თანამედროვე... სწორედაც, რომ ძალიან თანამედროვეა. დმანისელი მზიას და ზეზვას თანადროული საზოგადოებისათვის თვითნაბადი თექა იყო თანადროული. მათი გადასახედიდან მათთვის თანამედროვე იყო თექამატყლის სათბუნებლები და ეს წარმოადგენდა მათ სახმარ პირველ უქსოვად, ანუ მონაბდულ ქსოვილს. ხედავთ, თექა სად იღებს სათავეს? იქნებ იმის იქითაც, როცა პირველად გაჩნდა ცხვარი! ასე რომ, თექის ისტორია მოდის უწყვეტად, საუკუნეთა სიღრმეებიდან ჩვენამდე... და ის ყველა დროში თანამედროვე იყო. მეტიც, საკმაოდ ექსტრავაგანტული ტონია დღეს თანამედროვე დიზაინით შექმნილი ნაბდით სიარული.

ყოველივე ახალი და თანამედროვე ხომ ძველთან ლამაზად დაბრუნებაა, ჩვენც ლამაზად და თანაც სხვანაირად დავუბრუნდით — ანუ 21-ე საუკუნის მოთხოვნილების და დიზაინის შესაბამისად. გამოდის, რომ დღეს თექა თანამედროვე კი არა, ულტრა-თანამედროვეა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში თექის თანამედროვე სახით ასე მყარად დამკვიდრებასა და მის ახლებურად გააზრება-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პედაგოგს და ჩემი თექის სადიპლომო ნამუშევრების ხელმძღვანელს თინათინ კლდიაშვილს, რომელმაც ამ ქსოვილის მსუბუქი და ჰაეროვანი სტილი წარმოაჩინა და გამოყენებითი ხელოვნების ენერგიულ ელემენტად იქცა. თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ის გაცდა ხალხურ რეწვას და ძალიან ბევრი ახალი ფუნქცია შეიძინა. ამ ყველაფერთან ერთად თანდათან დამსახურებულად გაპიარდა კიდეც. მაგრამ, როცა საზოგადოებაში ნებისმიერი რამის ცრუ გაპიარება ხდება, ის კარგია თუ ცუდი, საბოლოოდ მაინც „კარგი" გამოდის. აი, აქ კი მართლაც სერიოზული პრობლემა ჩნდება.

*— ვიცი, რომ შენ და თეატრი „ნაბადი" ერთმანეთთან მჭიდროდ ხართ დაკავშირებულები. ამ ურთიერთობაზე რას გვეტყვი?*

— სტილიზებურ-ფილკლორული თეატრი „ნაბადი" ერთგვარი სიახლეა. მკვეთრი ეროვნული ხასიათით და მომაჯადოებელი სანახაობებით. ჩემს მიერ შექმნილი ნაბდებიც ამ სიახლის ნაწილია. სიახლე შემოქმედებაში აუცილებელი პირობაა. სიმბოლიკური ორნამენტებით მოხატულმა ნაბდებმა სპექტაკლში ფერი და პლასტიკა წარმოაჩინეს. ამ მეტად მსუბუქი ნაბდებით მოცეკვავეები ფაქტობრივად დაფრინავენ. ეს ძალიან სასიამოვნო და საინტერესო სანახაობაა.

*— რამდენად მნიშვნელოვანია ფოლკლორული ფესტივალები?*

ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გაამახვილოს ქვეყნის ეთნო-კულტურულ შემოქმედებაზე, ფოლკ-ხელოვნებაზე. ფესტივალები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ იქმნება ისეთი გარემო, სადაც ეს ყველაფერი ორგანულ კავშირში მოდის ერთმანეთთან. ხდება საზოგადოების მიერ თავიანთ წინაპართა მიერ შექმნილი ხალხური შემოქმედების გაცნობა. ფოლკ-ხელოვნება საერთოდ არ უნდა არსებობდეს დაკონსერვებული სახით. საჭიროა, ის მუდამ ვითარდებოდეს და წინ მიდიოდეს. ხელოვნება ხომ ცოცხალი ორგანიზმია, ისევე როგორც საზოგადოება. ამ საზოგადოების სულიერი გამოხატულება და ემოციები კი აისახება ამ ხელოვნებაში. მას მუდამ სჭირდება ახალი ენერგია, ყოველმა ახალმა დღემ ხელოვნებაში სიახლე უნდა შეიტანოს, რაც მის შენარჩუნებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს. ფესტივალებისა და სხვა შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა კი სწორედ ამ ახალი ენერგიის მიღებაში ეხმარება თითოეულ შემოქმედს და ასევე მნახველსაც.

*— საუბრის დასასრულს მინდა გკითხო, რას ურჩევდი მათ, ვინც ნაბდის ქსოვილის დამუშავებას სწავლობს?*

— უყვარდეთ თავიანთი საქმე, მისი არსი, გარემო, ყველა და ყველაფერი...

ია ტივინაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რძალ-დედამთილიანი

მოდით, მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, ინგრევა ოჯახები. მიზეზი მრავალგვარია. წლების განმავლობაში ნაგროვებ-ნათმენი ბოღმა-შურისგება ამოხეთქავს შეურაცხმყოფელ სიტყვებად, დამსხვრეული ჭურჭლის გორებად და, რაც ყველაზე სამწუხაროა, განადგურებულ, რწმენადაკარგულ, ჯანმრთელობაშერყეულ, ქანცგაწყვეტილ და მომავალწაშლილ ადამიანთა ტრაგედია-აღსარებად.

ორი კვირის წინ დიდი ხნის უნახავი მეგობარი მესტუმრა. ბევრი ვილაპარაკეთ. ჩვენი სტუდენტობის ბედნიერი დღეები მოვიგონეთ. ალბათ, ეს დღეც ლამაზ მოგონებად იქცეოდა, რომ არა ჩემი მეგობრის მიერ ნაამბობი ერთი ოჯახის ისტორია...

— დედისერთა ვაჟმა დედის დაუკითხავად ცოლად ითხოვა თორმეტი წლით უმცროსი მშვენიერი გოგონა. პირველად დედამთილი თითქოს ბედს შეურიგდა, რძალი „შვილივით" მიიღო, ოქროს ბეჭედიც კი აჩუქა, მაგრამ ოჯახური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. ის მაშინ დასრულდა, როცა ოჯახში პირველი შვილიშვილი გაჩნდა. დედამთილმა რძალი შეიძულა, ყველაფერზე შენიშვნას აძლევდა. იმის ნაცვლად, რომ ბავშვის აღზრდაში დახმარებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ყველა ნორმალურ ოჯახში, პირიქით იქცეოდა. დახმარების ნაცვლად, გამოუცდელ, ახალგაზრდა ქალს დასცინოდა, აბუჩად იგდებდა. უხეშად მიმართავდა, სარგებლობდა იმით, რომ მისი ვაჟი შინ გვიანობამდე არ ბრუნდებოდა და ზოგჯერ კვირაობით იკარგებოდა. მეზობლები ჭორაობდნენ, რომ საყვარელი ჰყავდა და დროს იმასთან ატარებდა. რამდენად მართალი იყო ეს ამბავი, არავინ უწყის, მაგრამ ფაქტი კი ის იყო, რომ ცოლის მდგომარეობა არც კი აწუხებდა და რძალ-დედამთილის ურთიერთობაში არ ერეოდა. ყველას გვეცოდებოდა გამოუცდელი პატარძალი, რომელსაც ქმრისგან და დედამთილისგან სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული.

ერთ დღეს რძლის დედა მოვიდა, ქალიშვილს და შვილიშვილს ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. დედამთილმა თავისუფლად ამოისუნთქა — როგორც იქნა, თავიდან მოიშორეო. ქმარმა ვერ დათმო ცოლ-შვილი, პატიება ითხოვა და სახლში დააბრუნა. ამდენად დედამთილის თავმოყვარეობა კიდევ უფრო „შეილახა" და რძლის წინააღმდეგ მორიგი ინტრიგების მოწყობა დაიწყო. შვილს ცოლის წინააღმდეგ ამხედრებდა. რძალს ხან რას სწამებდა, ხან რას. „არაფრის გამკეთებელია, მთელი დღე ძილის მეტს არაფერს აკეთებს, ბავშვი უყურადღებოდაა მიტოვებული და სულ ტირის". ქმარმა დედის ირწმუნა, ცოლს უმიზეზოდ სცემდა და შეურაცხყოფდა. მალე მეორე ბავშვიც გაჩნდა. დედამთილი არა და არ ცხრებოდა, ყოველ ღონეს და ხერხს მიმართავდა, რათა სამუდამოდ გათავისუფლებულიყო არასასურველი რძლისგან. მოკლედ, ახალგაზრდა ოჯახს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. რძალი შვილების გამო ითმენდა, არ უნდოდა ბავშვები უმამოდ გაზრდილიყვნენ. თუმცა... დარდის გასაქარვებლად სმა დაიწყო. წლები გადიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ. ოჯახური კონფლიქტები და სკანდალები მატულობდა. ოჯახის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ორ ვაჟს უმშვენიერესი გოგონა მიემატა. ვნებები ცოტათი ჩაცხრა, თითქოს ოჯახის ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ეს მოჩვენებითი სიმშვიდე იყო. ერთ დღეს ოჯახური დრამა დატრიალდა. წლების განმავლობაში დაგროვილმა სიძულვილმა ამოხეთქა და რძალმა დედამთილი სასტიკად სცემა. ოჯახი დაინგრა.

რძალი ოჯახიდან წავიდა. დედამთილმა „გაიმარჯვა". ოდნავ რომ დამშვიდდა, შვილიშვილებს უთხრა: ნუ გეშინიათ, მამათქვენი სხვას მოიყვანს, მეც მომხედავს და თქვენცო.

ბავშვები, მიუხედავად ყველაფრისა, დედას მაინც აღმერთებენ და უყვართ — მითხრა ჩემმა მეგობარმა, რომლის სიტყვებიც ისე ჩამრჩა გულში, კომენტარისთვის ფსიქოლოგ ნინო ასათიანს მივმართე.

— ოჯახი ადამიანთა შორის სიყვარულის მაინსტიტუირებელი ერთეულია. მისი, როგორც სოციალური წარმონაქმნის დანიშნულებაა უზრუნველყოს ადამიანთა შორის კავშირის სოციალიზებული ფორმა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ოჯახში ხშირია კონფლიქტები და



დანაშაულის ფაქტები. საქართველოში ამ ბოლო დროს იმატა მენტალურმა ძალადობამ. მაგრამ სანამ ძალადობის ამ ფორმაზე ვისაუბრებდეთ, მოდით, განვმარტოთ, რას ნიშნავს თვითონ ძალადობა.

ძალადობა არა მარტო ფიზიკური ძალმომრეობაა, არამედ პიროვნების შეურაცხყოფა და მისი აბუჩად აგდებაცაა. ძალადობა სამი კომპონენტისგან შედგება: მსხვერპლი, დამნაშავე და თვით ქმედება.

თავისი ხასიათისა და შედეგების მოხედვით, ძალადობა ხშირად მოიაზრება, როგორც კრიმინალი, მაგრამ ოჯახში ძალადობა სხვა ძალადობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ოჯახის ფარგლებს საერთოდ არ სცილდება.

ახლა კი, მოდით, ისევ მენტალურ ძალადობას დავუბრუნდეთ, რადგან ძალადობის ეს ფორმა ყველაზე მეტადაა საქართველოში გავრცელებული.

ამას ხშირ შემთხვევაში სჩადიან მშობლები შვილების მიმართ. ხდება ბავშვის პიროვნულობის დათრგუნვა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი „მათი საკუთრებაა", რომ მან მშობლების აზრი უნდა გაითავისოს.

ხშირია ფაქტები, როცა მშობლები არ აღიარებენ ადამიანის უფლებებს შვილების მიმართ. მაგალითად, შვილი თუ დაქორწინდა მშობლების დაუკითხავად (როგორც ეს ამ ოჯახის ისტორიაშია მოთხრობილი), ამას ტრაგედიად აღიქვამენ. განსაკუთრებით აქტიურობს დედა (მითუმეტეს, თუ ერთადერთი შვილი ჰყავს). იწყება გაუთავებელი საყვედურები: როგორ გაბედა დედის უნებართვოდ ცოლის შერთვა, ე.ი. დედას მეუღლე არჩია. ასე უხდის სამაგიეროს იმ ამაგისთვის, მთელი ცხოვრება რომ შეალია? — და საყვედურები გრძელდება უსასრულოდ. არსებობს ერთი უბრალო ჭეშმარიტება: როცა ადამიანი სრულწლოვანია და დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია, უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ. მშობლების სურვილის გაუთვალისწინებლობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს შვილის წმიდათაწმიდა მოვალეობაზე — იზრუნოს მათზე.

საერთოდ მიმაჩნია, რომ იქ, სადაც არიან ბავშვები, რომლებიც სრულფასოვან საზოგადოებრივ წევრებად უნდა ჩამოყალიბდნენ, ძალადობა არ უნდა არსებობდეს, რადგან ძალადობას მოსდევს ფსიქოლოგიური ეფექტები: დეპრესია, დაკარგული ღირსება, უბედურება.

პრობლემები: უმიზეზო სიბრაზე, აგრესიულობა, სრული გულგრილობა ყველაფრისადმი, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია.

უარყოფითი გავლენა ცხოვრების შემდეგ სფეროებზე: სექსუალურ ცხოვრებაზე, მომავალი თაობის აღზრდაზე, ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაზე.

ნაზიბროლა მიქელაძე

## გივი სიხარულიძე:

# „ეს ცხოვრება ლამაზად წასაკითხი წიგნია"...

„ცხოვრება ლამაზად წასაკითხი წიგნია" — ეს არ არის შთაბეჭდილების მოსახდენად წამოსროლილი ფრაზა. ეს მძიმე ბავშვობიდან, ქუჩიდან საზოგადოებისათვის საყვარელ და პატივსაცემ პიროვნებამდე გავლილი რთული გზით ნაკარნახევი სიბრძნეა.

„მე სოფლის ორღობეში მობურთავე ბიჭის იმ ლამაზად მოხატულ ბურთს ვგავდი, რომელსაც გამეტებით ერკინებიან და ურტყამენ, რათა დროზე სიცოცხლეს გამოასალმონ, მაგრამ ღვთიური ძალა, ვითომ შემთხვევით, ეკალ-ბარდებში მოისვრის მას და სამუდამო თავშესაფარს მისცემს ბავშვებისათვის მიუწვდომელ სივრცეში".

ამ სიტყვების ავტორს, გივი სიხარულიძეს, განგებამ ადგილი ხელოვნების დიდ საუფლოში მიუჩინა, ცეკვით დაიწყო და მსახიობით გააგრძელა, მერე მწერლობაშიც სცადა ბედი და დღეს რუსულ, ინგლისურ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი მისი ნაწარმოებები მკითხველთა ფართო საზოგადოების დაინტერესების საგანი გახდა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლორა სანაკოევამ მას ქართველი ანდერსენიც კი უწოდა, რომელიც „თანამედროვეთა გაუხეშებულ გულებში გონივრულს, კეთილს, მარადიულს თესავს".

ჩვენი ქართველი ანდერსენი ამჯერად „საქართველოს ქალის" სტუმარია.

**— ბატონო გივი, მრავალმხრივი პიროვნება ბრძანდებით: ქორეოგრაფი, მსახიობი, მწერალი. რომელია თქვენთვის უმთავრესი და სად გრძნობთ თავს უფრო მყარად?**

— მთავარი კინო და მწერლობაა, მაგრამ არ მავიწყდება, რომ მე მაინც ცეკვიდან მოვდივარ, ჯერ იყო ცეკვა და მერე სხვა ყველაფერი შედგა.

...და იყო კიდევ ქუჩის ცხოვრება, რომელიც საშინელებაა. თუ ვინმე ეუბნება ბავშვებს, ქუჩა აკადემიააო, ეს ტყუილია. ქუჩა არის ჭაობი და იქიდან იშვიათად შეიძლება რაიმე კარგი ისწავლო. ძალიან ნიჭიერი უნდა იყო, რომ ამ ჭაობიდან აიღო ის, რაც კაცურია, კარგია და ოჯახიშვილობას შეუთავსო.

მხოლოდ ნებისყოფიანი, ძალიან ძლიერი პიროვნებები გამოვიდნენ ქუჩიდან მაგარი ბიჭები, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი კი ქუჩამ თავის ჭაობში ჩაითრია.

ასე რომ, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ — ცეკვამ, კინომ, ქუჩამ ერთად მოიყარა თავი ჩემს წიგნებში. აი, ამ წიგნს, რომელსაც მე თქვენ ახლა გაჩუქებთ, ჰქვია „მე, გივი სიხარულიძე — აწყვეტილი სიცოცხლე". ამ რჩეულმა 2005 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში კონკურსში გაიმარჯვა და პრემიაც მიიღო.

**— თქვენ ძალიან ემოციური პიროვნება ბრძანდებით. ასეთ ადამიანებს კი, როგორც წესი, უჭირთ თავიანთი გრძნობებისა და განცდების გულში დატევა. ალბათ, გული გაუსკდებათ, თუ არ ამოუშვეს და გზა არ მისცეს დაგუბებულ სათქმელს.**







— გეთანხმებით.

**— თქვენს შემოქმედებაში აშკარად ჩანს დედაშვილობისადმი ფაქიზი და წმინდა დამოკიდებულება. სულ მინდოდა მეკითხა, როცა პატარა გიორგის დედა შინ დაბრუნდა, თქვენ სულგრძელობა გამოიჩინეთ. ნუთუ აპატიეთ ოჯახის ღალატი თუ ბიჭუნას ხათრით მოიქეცით ასე?**

— ეს გიორგისადმი უზადო სიყვარულის გამო მოხდა, მაგრამ არაფრით შემეძლო, შეურაცხყოფა მიმეყენებინა იმ ქალისათვის, რომელიც დაუბრუნდა თავის შვილს.

**— შეგიძლიათ ქალს ყველაფერი აპატიოთ?**

— იცით რა, თუ არ დაბრუნდებოდა თავის შვილთან, სწორედ ამას ვერ ვაპატიებდი. რახან დაბრუნდა, შემიძლია სხვა დანარჩენი ვაპატიო.

**— ე.ი. ადამიანური სისუსტეები ყველას აქვს და შეცდომა ყველამ შეიძლება დაუშვას?**

— თქვენს კითხვას თქვენვე გაეცით პასუხი.

**— ბატონო გივი, როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, მამაკაცის სათაყვანებელი ქალი, რომელსაც არასოდეს მიატოვებს?**

— ეს არავინ იცის ამ ქვეყანაზე, ეს ინდივიდუალურია, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, ქალმა უნდა შეწიროს ყველაფერი კაცს. ძალიან პრეტენზიული მამაკაციც რომ ჰყავდეს გვერდით, იმას ჯიბრში არ უნდა ჩაუდგეს, ანგარიშსწორება არ დაუწყოს. მაშინ მოიგებს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ბექა სიხარულიძე



● შვილიშვილთან ერთად

კაცის გულს, როცა დათმობებზე წავა და ამ დათმობაში საოცარი სევდა იქნება დამალული. სევდა, რომელსაც საყვარელ მამაკაცს არც კი აკადრებს, რომ გაუზიაროს. ის კი, თუ ჭკვიანი კაცია, მშვენივრად მიხვდება და თავადაც ვერასოდეს გაექცევა ამ ქალის სევდას.

**— ზოგჯერ კაცები ამას ძალიან გვიან ხვდებიან.**

— ვინც ამას გვიან ხვდება, ის კაცი აღარ უნდა არსებობდეს იმ ქალის ცხოვრებაში. ახლახან, საფრანგეთში ყოფნისას ამაზე ლექსი დავწერე, კაცებს დავუწერე:

„მიჰქროდა ხიდზე მშვენება ქარივით, იწვოდა სიყვარულში მითიურ ქალივით, ის წინ მიდიოდა ყრუსავით, მთვრალივით, და ვერც კი ამჩნევდა, რომ თრთოდა ქალი ზღაპრულ ქნარივით!"

გენაცვალოთ ჩემი სიცოცხლე! ქალის სიყვარულს დანახვა უნდა. ნიჭიერი, ლამაზი და მშვენიერი ქალი გაჩნდა ნიჭიერი კაცისთვის, რომელიც მიხვდება მის სიყვარულს.

**— და მაინც, ქალისთვის რა უფრო მთავარია: ჭკუა თუ სილამაზე, თუ ორივე ერთად?**

— ძალიან ჭკვიან ქალს რომ ეძახიან, მე არა მჯერა. ჩემი აზრით, ისინი საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, თვითდაჯერებული ქალები არიან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ეგენი არიან, რაც არიან, რომ მამაკაცი არაფერია მათთან, რაც ძალიან მაღიზიანებს.

ქალი ჩემთვის უნაზესი არსებაა, ქალი ალპური ედელვაისია, ხელმიუწვდომელი, უმშვენიერესი ყვავილი, რომელიც, თუ შეეხები, ხელში ჩაგაკვდება. აი ასეთი მწამს მე ქალი. ქალი გენერალური დირექტორი, მენეჯერი, მინისტრი, პრეზიდენტი არა მწამს. ქალი მწამს სინაზით სავსე საოცრება, ქალი პოეტი, ქალი მსახიობი, ქალი ბიბლიოთეკარი...

**— ფაქტია, დღევანდელმა ახალგაზრდობამ სრულიად შეცვალა დამოკიდებულება ქართული მენტალიტეტისადმი, კაცობისადმი, ბიჭობისადმი, ქალისადმი.**

— იცით, რა არის? მაშინ წაიშალა ყველაფერი ამ ქვეყანაში, როცა ბიჭმა შეძლო, გოგოსთვის „პანჩური" ამოერტყა და პირიქით. ჩვენ რომ გოგოები გვყავდა, ჩვენ რომ გოგოები მოგვეწონდა, იმათ დანახვაზე თურაშაულის ვაშლივით ვწითლდებოდით და უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით, მათ წინაშე თავს ვხრიდით მაშინ, როცა ამავდროულად შეგვეძლო ათ ბიჭთან გვეჩხუბა, ას კაცს, მთელ არმიას შევბმოდით. მათ მიმართ კი მოკრძალებულები ვიყავით. როცა ეს გრძნობა დაიკარგა გოგონასა და ვაჟს შორის, მაშინ მოკვდა ყველაფერი ეროვნული, რაც ოდითგან ჰქონდა ქართველ კაცს.

ახალგაზრდები დღეს ერთმანეთს ადვილად იმეტებენ სასიკვდილოდ. ეს დაუნდობლობა, აგრესიულობა დღევანდელი თესლი არ არის. ეს ჩვენი მამა-პაპათა შეცდომებია — რევოლუციის — დროინდელი (როცა მეფე დახვრიტეს თავის შვილებთან ერთად) და შემდგომი (როცა ხალხი გაჰყავდათ და ხვრეტდნენ, ვაგონებში იარაღით ხოცავდნენ კომუნისტები).

ჩვენი თაობა კი ფულის შოვნამ გააფუჭა. ქართველი კაცი ანკარა წყაროსავით იყო მანამდე, სანამ ფულის გემოს გაიგებდა. აი, ფულის გემო რომ გაიგო, ყველაფერმა დაკარგა თავისი აზრი და გახდა ფულის მონა. როცა კაცი ფულის მონაა, მაშინ უშვებს შეცდომებს. როცა იმას მიაღწევს ქართველი ერი, რომ გული და გონი ერთმანეთთან შეახმატკბილოს, იდეალური სამყარო გვექნება. მარტო გონებით ძალიან ცუდია ცხოვრება, მაგრამ მარტო გულითაც ბევრ შეცდომას დავუშვებთ და დავიღუპებით.

**— ძალადობის, დაუნდობლობის, სადიზმის ყოველდღიურმა დემონსტრირებამ ტელესივრცეში, ვფიქრობ, გარკვეული უარყოფითი როლი შეასრულა.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ტელევიზია და კინო ვერ ითამაშებდა ვერანაირ როლს, თავად ჩვენი ბავშვები რომ არ იყვნენ საამისოდ მოწოდებულნი. მათ აიღეს ეკრანიდან ის, რაც ცუდია, რამაც საძაგლობები ჩაადენინა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. ჩვენი ბრალია, რომ მათ ვერ დაინახეს ეკრანზე ის, რაც კარგია და მოყვასის სიყვარულით აღავსებს ადამიანს. მივიღეთ ის ნაყოფი, რაც უნდა მიგვეღო. ამას ტელევიზიამაც შეუწყო ხელი. ასე ჩამოყალიბდა ნაძირლების საზიზღარი გუნდი.

**— გამოსავალი სად არის?**

— გამოსავალი მხოლოდ ერთია. საქართველოში აწი რომ ბავშვები დაიბადებიან, ისეთი მშობლები უნდა ჰყავდეთ, რომ თავიდანვე სიყვარულის თესლი ჩაუდონ გულებში.

„იდგა ბოლმა და ანთხევდა გესლს,
არავინ უშლიდა ამქვეყნად ხელს,
იდგა ჯიგარი და სიყვარულს აფრქვევდა
ასეთი იყო და სხვა რა უნდა ექნა".

... ასეთად უნდა დაიბადო, ისე არაფერი გამოვა. რაც შეეხება იმას, კაცმა ფული იშოვა და გაფუჭდაო, არ ვეთანხმები. ის კაცი თავიდანვე იყო საზიზღარი და ფულმა გამოამჟღავნა.

**— „ჩემს წლოვანებაში ადამიანი უფრო მგრძნობიარე ხდება და, თუ სადმე სიკეთისა და სიყვარულის სავანეს წააწყდება, როგორც მწყურვალი წყალს, ისე ეწაფება" — ეს თქვენი სიტყვებია. რა რეაქცია გაქვთ უმადურობასა და ბოროტებაზე?**

— უმადურობა უმადურის პრობლემაა და არა ჩემი. მე როცა სიკეთეს ვაკეთებ, უკან აღარ ვიხედები და არ ვაფასებ. დაინახავს? — გაუმარჯოს! არ დაინახავს? მაინც გაუმარჯოს!

**— ამჟამად რით არის დაკავებული მსახიობი გივი სიხარულიძე?**

— მე და თემურ ბაბლუანი ვმუშაობთ ჩემი ნაწარმოების „IA-MUR წვიმის წვეთის" სცენარზე. „მემკვიდრეობამ", რომელიც თემურ და გელა ბაბლუანებმა გადაიღეს საფრანგეთში და რომელშიც მეც ვმონაწილეობ, სანტესის ფესტივალზე I პრიზი აიღო. იგი ათ რჩეულ ფრანგულ ფილმთა რიცხვში შევიდა და ერთი თვეა ლონდონში აჩვენებენ. „მემკვიდრეობაში" ჩემთან ერთად მთავარი როლი ითამაშა ჩემმა უმცროსმა შვილმა, ჰოლივუდის მსახიობმა ბექა სიხარულიძემ. მალე ქართველი ემიგრანტის როლის შესრულება მომიწევს, ამჯერად ჩემი გმირი მუნჯი იქნება. ჰოლივუდიდან ისევ ჩამოვა ჩემი ვაჟი, მეორე პარტნიორი გელა ბაბლუანი იქნება, რომელიც დღეს საფრანგეთის კინოვარსკვლავია.

**— როდის უნდა დამთავრდეს ფილმის გადაღება?**

— ჯერ მოსამზადებელი პერიოდია. სექტემბერში დავიწყებთ გადაღებას და დეკემბერში დამთავრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— ესე იგი, ამჟამად მთლიანად კინოთი ხართ დაკავებული?**

— დიახ, კინო და წიგნი. ცეკვის ანსამბლიც მყავს, ფოლკლორული ანსამბლი „თბილისი“. მაგრამ მე რეპეტიციებისთვის არ მცალია, სულ საზღვარგარეთ ვარ. ჩემს დადგმულ ცეკვებს რეპეტიტორები არეპეტიციებენ.

**— პერიოდულ პრესაში თუ ბეჭდავთ თქვენს ნაწარმოებებს?**

— რა თქმა უნდა. მოსკოვში გამოდის ჟურნალი „მოსკოვსკი პარნასი“. 2006 წლის პირველ ნომერში ჩემი შვიდი მინიატურა დაიბეჭდა. ამ ჟურნალში მოხვედრა იყო სასწაული.

ამერიკაში გამოდის გაზეთი „ნოვოე რუსკოე სლოვო“, რომელმაც საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ჩემს შემოქმედებას. ეს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩემს გამარჯვებებს ვუმადლი გინა ჭელიძეს, მის არაჩვეულებრივ თარგმანს, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ჩემი წიგნების პოპულარობა. ამისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას.

თუ კი მე რამე ვარ ამქვეყანაზე, ყველანაირად შემქმნა და ჩამომაყალიბა ჩემმა მეუღლემ — რუსუდან ჭოჭუა-სიხარულიძემ, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის. არ იქნებოდა ის, ვერ შევდგებოდი მე, როგორც კაცი, როგორც მსახიობი, საერთოდ არაფერი არ ვიქნებოდი. აი, ასეა: მან ჩემთვის იცხოვრა, მე კი ვიცხოვრე, როგორც ეგოისტმა. წავიდა ამქვეყნიდან და ჩემი გულიც თან გაიყოლა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, მაგრამ დღე არ გავა, მის სურათთან არ დავდგე და არ ვთხოვო: მიშველე, რუსიკო-მეთქი. უფალი და მისი სული მმფარველობენ, სხვა პატრონი არ მყავს.

*დარეჯან ანდრიაძე*

---

## გივი სიხარულიძე:

# „სტეინვეის“ როიალი

უმშვენიერესი „სტეინვეის“ მარკის როიალი დიდი ზარზეიმით შეიძინა თბილისში მცხოვრებმა ერთმა პროვინციელმა „ნოვი გრუზინმა“.

ყველა კმაყოფილი და გახარებული ჩანდა — ცალკე მყიდველი და ცალკე საკომისიოს გაიძვერა გამყიდველი, რომელიც ცუღლუტ თვალებს უცოდველი კრავივით ნაბავდა და მყიდველს ათასნაირი ქათინაურით უმასპინძლდებოდა. როიალი კი იდგა... უხმოდ შერიგებული თავის ბედს...

სულ რაღაც ხუთი წუთის წინ გაყიდული როიალი, ქურთმა მეკურტნეებმა სატვირთო მანქანაზე დაასვენეს და ნახევარ საათში ანტიკვარული ნივთებით გამოტენილ უშველებელი ბინის სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა.

საღამოს როიალის ამწყობი მოვიდა. სწორედ ის, რომელმაც თხუთმეტი წლის წინ ყოფილ მეპატრონესთანააწყო ინსტრუმენტი და თავისი მოქნილი თითებით პირველად ააჟღერა ბახისა თუ ბეთჰოვენის პრელუდიები.

სწორედ წინა მეპატრონესთან გააჩუმეს დიდებული „სტეინვეი“. მდიდარი კაცის უნიჭო ნაშიერმა ერთი-ორჯერ დააბარტყუნა და თხუთმეტი წლით დაადუმა როიალი; შემდეგ ძვირფას გადასაფარებელში ჩაასვენეს და ოთახის სამშვენისად გადააქციეს.

ახალ მეპატრონესთან „სტეინვეის“ დეკა აუჩქროლდა... „ნუთუ, ახლაც ეს ბედი მეწევა? — არა, ღმერთი ასე არ გამწირავს! ნუთუ, ჩემი მშვენიერების გამო, სამუდამოდ მონობაში უნდა ამომხდეს სული“?

ამწყობი მოწიწებით მიესალმა ოჯახის უფროსს, ნაყიდი ნივთი მოუწონა, მერე როიალს სახურავი ახადა და პირველად გულის ცემა შეუმოწმა, ის გულისცემა, რომელსაც ადამიანები დეკას ვეძახით.—

— მშვენიერი დეკა აქვს, — წარმოთქვა აღფრთოვანებით. შემდეგ მთლიანად როიალის შემოწმებას შეუდგა, თან იძახოდა, ნეტავ, ვის სახლშია ნადგომი, ეტყობა, საკუთარი თავივით უვლიდნენო.

ამ სიტყვების გაგონებაზე როიალი შეირხა, ხოლო კლავიშებმა ისეთი უცნაური ხმა გამოსცეს, თავად ამწყობს გაუკვირდა, ვერ მიხვდა, რამ გამოიწვია როიალის ოხვრა, ოჯახის წევრებს კი ეგონათ, ამწყობი შეეხო კლავიშს.

სინამდვილეში როიალმა პროტესტი გამოუცხადა ამწყობს.

— რის მოვლა, რა მოვლა. 15 წელია მკვდარი ვარ. ლამისაა, დარდისაგან დეკა გამისკდეს, შენ კი ჩემი ყოფილი პატრონის ქებადიდებაში ხარ.

აწყობის შემდეგ ამწყობმა კლასიკოსთა ჰანგები მოჰფინა ოთახს. მადლიერმა ინსტრუმენტმა ისეთი ხმები ამოუშვა, რომ მისი ღირსების ერთადერთი შემფასებელი, ამწყობი, როგორც კი დაკვრას მორჩა, მხოლოდ ამასღა იმეორებდა: — სასწაულია, სასწაული...

შემდეგ ფული ჯიბეში ჩაიდო, ოჯახის წევრებს გამოემშვიდობა და წავიდა.

საწყალი როიალი საგონებელმა მოიცვა. ნუთუ, აქაც ბედს უნდა შეგუებოდა. ნეტავ, ვინმე მაინც იყოს ამ ოჯახში, ვისაც დაკვრა ეცოდინება, თუნდაც უნიჭო დაკვრა. ამ ფიქრებში დაათენდა თავზე.

შემდეგ კარგად გააპრიალეს, ზედ ორი ძველებური შანდალი დადგეს, შუაში ფრანგული ანტიკვარული საათი წამოჭიმეს და... საბოლოოდ მიივიწყეს.

დროდადრო სტუმრებისთვის თავს ახდიდნენ, შიგ ჩამწკრივებულ, სხვადასხვა გამოფენებზე მიღებულ მედლებს დაათვალიერებინებდნენ და არაჩვეულებრივი დეკათი ამაყობდნენ.

შემდეგი სტუმრის მოსვლამდე მდუმარედ იდგა ყველასგან მივიწყებული როიალი. მთელი მისი არსება იმ ფიქრში იყო, რომ ოდესმე მაინც ეღირსებოდა მის კლავიშებს აჟღერება.

დრო გადიოდა... ერთ ღამეს, როდესაც ოჯახის წევრებს მშვიდად ეძინათ, საშინელი ტკაცანის ხმა გაისმა. შეშინებულები წამოცვივდნენ და, როცა ხელშესახები ვერაფერი ნახეს, გაკვირვებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს, — ნეტავ, რა მოხდაო... შემდეგ კი, შემდეგ... ისევ ღრმა ძილს მისცეს თავი.

არ ეძინა მხოლოდ როიალს, რომელსაც, პირველი გადატანილი ინფარქტის შემდეგ, ასე ძალიან სტკიოდა დეკა, ხოლო მშველელი არსაიდან ჩანდა. დეკას უკანა კედელი ჰქონდა გაბზარული.

ასე იტანჯებოდა მთელი თვე... მაგრამ ღვთის წყალობით არ გარდაიცვალა...

საწყალს კიდევ შერჩენოდა იმედი, რომ ვიღაც დაარღვევდა სამარისებურ სიჩუმეს და კვლავ ააჟღერებდა. ამ მოლოდინში გავიდა რამდენიმე წელი.

ხელმეორედ გაისმა როიალთან ტკაცანის ხმა. საწყალმა მეორედ მიიღო ინფარქტი. საბედისწერო აღმოჩნდა დეკას წინა და უკანა კედლის გასკდომა. როიალმა ერთი შეიფრთხიალა, შემდეგ კლავიშებსა და სიმებს დაემშვიდობა და მშვიდად დახუჭა თვალი.

დილით, როცა განებივრებული ოჯახის წევრები წამოიშალნენ, ნახეს, რომ როიალზე დადგმული ყვავილებიანი ლარნაკიდან წყალი გადმოღვრილიყო.

— ნეტავ, ამ უპატრონოს რაღა მოუვიდაო, — ჩაილაპარაკა დიასახლისმა და როიალიდან წყლის წვეთები გაწმინდა.

ლარნაკის გარდა არავინ იცოდა, რომ ეს წვეთები მისგან გადმოდენილი სამძიმრის ცრემლი იყო, რომელიც უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა გარდაცვლილ როიალს.

# იმედის ხაზები

რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით მიღებული ამერიკის ვიზით, ერთი ინტელიგენტი ქართველი ქალბატონი, ლუკმა-პურისა და ბედის საძიებლად ოკეანის გაღმა მიემგზავრებოდა და ცრემლის ნიაღვარში ტოვებდა თავის ერთადერთ პირმშოს. დედამისს კი ასჯერ გაუმეორა: შენ იცი, ჩემს სიცოცხლეს როგორც მოუვლიო. წასვლის წინ შვილი კედელს მიაზომა, თავთან ხაზი გაუსვა და თვალცრემლიანმა უთხრა, – „ჩემო ვაჟკაცო, იცოდე, სანამ კედელზე მეორე ხაზი გაჩნდება, ან თან წაგიყვან, ან უკან დავბრუნდებიო". მერე ელდანაკრავივით შეტრიალდა და ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს, ჩაესვენა მანქანაში, რომელსაც აეროპორტში მიჰყავდა. ბიჭი გარინდული იდგა და კედელზე გასმულ ხაზს შესცქეროდა. მერე თითის წვერებზე აიწია და ცდილობდა, ხაზს ასცილებოდა. თვე თვეს მისდევდა, წელი – წელს. ბიჭი იზრდებოდა და კედელზე ხაზებიც ისევე მატულობდა, როგორც მის ოთახში გამოგზავნილი ამანათების გროვა. დედა კი არა და არ ჩანდა. ბიჭი ტელეფონის ყურმილში დედის ხმას კი არა, უკვე სუნთქვასაც გრძნობდა.

– დედიკო, როდის ჩამოხვალ და წამიყვან თან, – ამით იწყებოდა მათი საუბარი.

– მალე, ჩემო ერთადერთო, – შორიდან გაისმა დედის ხმა ყურმილში. მაგრამ ეს „მალე" უსასრულობაში იკარგებოდა.

ერთ დღეს, მეზობელს ონკანი ღია დარჩა და წყალმა ქვედა სართულის კედლები ჩამორეცხა. უცნაური ის გახლდათ, იმ კედელს, რომელზეც ბიჭის ზომები იყო აღნიშნული, წყალმა ვერაფერი დააკლო. ბიჭმა ხაზებიან კედელს აყოლა თვალი, რომელიც ცისკენ მიამავალ უსასრულო კიბეს დამსგავსებოდა: – „თქვე მატყუარა ხაზებო, თქვე მოღალატეებო!" – სიმწრისგან მუშტი გაჰკრა კედელს და გულში ამდენი ხნის დაგუბებული ბავშვური ბოღმა და ნაღველი ცრემლს გაატანა. ოთახში ზარის ხმა გაისმა. ბიჭი ყურმილს დასწვდა: „ალო!.. გისმენთ, რომელი ხართ," – ისმოდა მისი ათრთოლებული ხმა. – მე ვარ, შვილო, როგორა ხარ, დედა გენაცვალოს... – კარგად – უპასუხა ბიჭმა და საკუთარ ცრემლს მოერია. მერე კი, დიდი ვაჟკაცივით, დინჯად მიუგო – გამაგებინე, დედა, სანამ უნდა ვავლო ხაზები კედელზე. – ცოტაც მოითმინე, ჩემო პატარავ, ხომ იცი, იმისათვის ვარ აქ, რომ არაფერი მოგაკლო. ხომ ყველაფერი გაქვს, რასაც ინატრებ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო! – კი, დედა, ყველა ოცნება შემისრულდა, შენი ნახვის გარდა, – სევდით წარმოთქვა ბიჭმა და ყურმილი იქვე მდგომ ბებიას გაუწოდა. მათი მცირე დიალოგის შემდეგ, სატელეფონო ხაზი გაწყდა და ყურმილში გამაღიზიანებელი წყვეტილი ხმა გაისმა. თითქოს ტელეფონისა და კედლის ხაზებს ერთმანეთში პირი შეეკრათ და არც ერთი აღარ აპირებდა ბიჭის ცხოვრებიდან გაქრობას.

პატარა კი იზრდებოდა უდედოდ, ტელეფონის წკრიალსა და კედლის ხაზებს შორის... ერთ დღეს, ამერიკიდან დარეკეს და ბებიას მწუხარე ხმით ამცნეს, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც თურმე, უკურნებელი სენით იყო დაავადებული, გარდაცვლილიყო. – ვაი, შვილო! – შეჰკივლა მოხუცმა და გულწასული დაეცა. – ბებო, ბებო! – გაიძახოდა ბიჭი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჯანჯღარებდა ახლა უკვე თავის ერთადერთ იმედს. როგორც იქნა, ქალმა თვალი გაახილა. როცა გონებაში ყველაფერი აღიდგინა, გრძნობები დათრგუნა, შვილიშვილი გულში ჩაიკრა – არ შეშინდე, ბებო, არაფერია, ცოტა ცუდად გავხდი...

ერთი კვირის შემდეგ, ამერიკიდან ცხედარი სახლში ჩამოასვენეს. ხოლო ბიჭს, დედის სანაცვლოდ, მის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიში შეაჩეჩეს ხელში.

გახსნილი ანგარიში და დახურული ცხოვრება... აი, იმ მრავალი ემიგრანტის ბედი, რომლებიც, ბედის უკუღმართობით, მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. იყო ერთი ვაი-ვიში და თალხით შემოსილ ქალთა გოდება. მეზობლებმა სარდაფში ჩაგდებული მტვრიანი ტახტი ამოიტანეს, საგულდაგულოდ გაწმინდეს, ხალიჩა გადააფარეს და ცხედარი ზედ დაასვენეს. იდგა ბიჭი და დასცქეროდა გარდაცვლილ, ნანატრ დედას. თვალი რამდენიმე ხაზისაგან დაღარული კედლისაკენ გაექცა. მერე, კედელთან მშვიდად მივიდა, იმედის გამაცრუებელ ხაზებს წაშლა დაუწყო... როგორც კი დედის აღნიშნულ ხაზამდე მივიდა, ცხედარს გახედა... მიცვალებულის უკვე დასვენებული სახე ზუსტად მის მიერ ათი წლის წინ აღნიშნულ ხაზს საყვედურობდა...

ბიჭს ბავშვისათვის შეუფერებელი გმინვა აღმოხდა: – მადლობა, დედა, სიტყვის შესრულებისთვის. აკი შემპირდი, სანამ მეორე ხაზის გასმა დაგჭირდება, დავბრუნდებიო...





ქ-ნმა ნატო გელაშვილმა ერთხელ თქვა, კონკურსებს შეგნებულად არ ვეტანები, იმდენად სწერვიულობ, არ მიღირს, ჩემი დამფასებელ-შემფასებელი მსმენელია, მას უნდა მოსწონდე და ენატრებოდეო.

და მართლაც, ვინც ამ დღეებში დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებთან მის კონცერტებზე დასასწრები ბილეთების გამო ატეხილ აჟიოტაჟს ადევნებდა თვალს, დაგვეთანხმება, კომპოზიტორი ნატო გელაშვილი უბრალოდ კი არ მოსწონს და ენატრება, ძალიან უყვარს ხალხს და ამ სიყვარულს მთელი გულით გამოხატავს.

# „ბავშვობა ბრუნდება, როდესაც ვმღერი"...

**– ქ-ნო ნატო, თქვენს სიმღერებს, ასაკის განურჩევლად, დიდ-პატარა, მთელი საქართველო მღერის. როგორ ფიქრობთ, რაშია თქვენი პოპულარობის საიდუმლო, რატომ უყვარხართ ასე ძალიან ხალხს?**

– სიმართლე გითხრათ, ძალიან მეუხერხულება საკუთარ თავზე საუბარი. ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე ვცხოვრობ, დაუფარავად, ალალად ვამბობ სათქმელს, არასოდეს გამჩენია საკუთარი პიროვნების ლამაზად წარმოჩენის სურვილი და, ალბათ, ხალხსაც სწორედ ეს სიმართლე მოსწონს.

**– თქვენმა კონცერტებმა – „ერთი ქალის ისტორია" არნახული ანშლაგებით ჩაიარა. რჩეულთა ხვედრია ასეთი წარმატება და აღიარება. რატომღაც მგონია, ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით „ისტორიისთვის"...**

– რატომ? ვარ ქალი, მეუღლე, ორი შვილის დედა და მეც ჩემი ისტორია მაქვს. დამიგროვდა სათქმელი, პატარა ტკივილები. ეს დღემდე მოტანილი ჩემი სევდა და სიხარულია, ერთი ქალის ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი.

**– თქვენ წლების წინათაც ბრძანდებოდით ჩვენი ჟურნალის სტუმარი. რა შეიცვალა მას შემდეგ თქვენს ცხოვრებაში?**

– ბევრი არაფერი, რაც ვიყავი, ის დავრჩი, ნელ-ნელა ვწერ სიმღერებს.

**– ქალაქური სიმღერების აღიარებული ავტორი-შემსრულებელი ბრძანდებით. რატომ მაინცდამაინც ეს მიმართულება?**

– ვერ დაგეთანხმებით. ვინც კონცერტებს ესწრებოდა, დარწმუნდებოდა, რომ ჩემს შემოქმედებასა და რეპერტუარში ლირიკული სიმღერები უფრო სჭარბობს, მაგრამ ხალხს, ალბათ, უფრო მეტად ის ქალაქური სიმღერები უყვარს, ის მიიღო და ამახსოვრდება. მეც მიყვარს ეს სტილი. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ამ ჟანრს მღეროდნენ, და, ალბათ, რაც გესმის, გრჩება და გიყვარს კიდეც ადამიანს.

**– თქვენს სიმღერებში ფარული სევდა იგრძნობა, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული პიროვნება ბრძანდებით...**

– ეს, ალბათ, უფრო ჩემი შინაგანი მდგომარეობაა, თორემ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ არ გამიმართლა ან უიღბლო ადამიანი ვარ. უბრალოდ, ძალიან დიდმა სიხარულმა შეიძლება სევდა მომგვაროს, დიდი, გრანდიოზული კონცერტის შემდეგ დეპრესია მემართება, საკუთარ ნაჭუჭში ვიკეტები და ის დიდი სიყვარული, რაც მსმენელისგან მერგო წილად, მძიმე ტვირთად მაწვება მხრებზე. ვხვდები, რომ არ მაქვს მცდარი ნაბიჯის გადადგმის, არასწორი სიტყვის თქმის უფლება, რადგან ვიღაც ჩემით ცხოვრობს.

**– ერთხელ ბრძანეთ, მუშაობისთვის განსაკუთრებული განწყობა მჭირდებაო. როგორი უნდა იყოს ეს სევდიანი, სევდიანი თუ მხიარული, როდის უფრო გაწერებათ?**

– რაღაც უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, სათქმელი დამიგროვდეს. ზოგჯერ თვეები სჭირდება ამას, ზოგჯერ – მთელი წელი. ამიტომაცაა, წელიწადში ერთ-ორ სიმღერაზე მეტს ვერ ვწერ. ზოგჯერ მინდა რაღაცის დაწერა, მივუჯდები ინსტრუმენტს, მაგრამ არ გამოდის, ზოგჯერ, პირიქით ხდება. ეს მომენტები ჩემს ცხოვრებაში უკვე იშვიათი და ძალიან ნანატრია. სულ მგონია, რომ ყოველი ახალი სიმღერა ბოლოა და უფალს მადლობას ვუძღვნი, კიდევ ერთი სიმღერის შექმნა რომ შემაძლებინა.

**– ამ ცოტა ხნის წინ ბ-ნმა ალექსანდრე ბასილაიამ ბრძანა, ინსტრუმენტთან ნაწვალები სიმღერა სიმღერა არ არის, ის თავში იწერებაო...**

– სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ძალიან ხშირად აბსოლუტურად ზეპირად დამიწერია სიმღერა ისეთ ადგილას, სადაც ინსტრუმენტი არ ყოფილა. ქაღალდის ხელსახოცზე ჩამიწერია ტექსტი და ამ დროს მელოდიაც ჩამესმოდა. სად და რას წერ, ადგილი და დრო არ იცის.

**– სცენაზე დგომა მაკომპლექსებს და საიმედო პარტნიორს ამიტომ უფრო ხშირად ვეძებო, აღნიშნეთ ერთხელ. დღეს რამდენად შეეჩვიეთ სცენას?**

– ვერ შევეჩვიე. მარტო დგომისას დაძაბული ვარ, მაგრამ თუ ვიცი, რომ კულისებიდან გამოდის მამაკაცი, ვისაც შეიძლება დავეყრდნო, შვება მეუფლება.

**– თავის დროზე მუსიკალურ სასწავლებელში საკუთარი კლასიკური ნაწარმოებებით ჩააბარეთ, დღეს თუ მუშაობთ კლასიკაზე?**

– არა, არც მაქვს ამის დრო. თანაც საქართველოში ბევრია ის ხალხი, ვინც მშვენიერ კლასიკურ ნაწარმოებებს ქმნის. მე საკუთარი გზა მაქვს, რასაც დღეს ვაკეთებ, ის არის ჩემეული.

**– საბავშვო სიმღერებს თუ წერთ?**

– დიახ, მაქვს ადრინდელი ნაწარმოებები, მოგვიანებით ჩემი შვილებისთვისაც ვწერდი. ალბათ, დადგება დრო და მათაც გამოვიტან მსმენელის სამსჯავროზე.

**– ყველა ხელოვანი მეტ-ნაკლებად ვიღაცის გავლენას განიცდის, იქნება ეს პედაგოგი, თუ საყვარელი კომპოზიტორი...**

– უზომოდ მიყვარს რევაზ ლაღიძე, გიორგი ცაბაძე, ბიძინა კვერნაძე. ერთი სიტყვით, მიყვარს ყველაფერი, რაც კარგია. რაც შეეხება პედაგოგს, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი კოტე მშვიდობაძე კომპოზიციას არ მასწავლიდა, იმდენად არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, რომ ერთად აღებულ ყველა პედაგოგს უდრიდა. მან ათმაგად შემინარჩუნა პიროვნული თვისებები, მასწავლა ცხოვრების სიყვარული, მუსიკის განსხვავებული ხედვა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საფორტეპიანოს ნაცვლად, კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე ჩავაბარე.

**– თქვენს მოსწავლეებს თუ აქვთ თქვენეული ხელწერა?**

– ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც პედაგოგი, ბედნიერი ვარ, რომ შურის, მტრობის გრძნობა არ აქვთ, ერთმანეთთან მეგობრობენ, გულით მუსიკის დიდ სიყვარულს დაატარებენ და სცენის პრეტენზიას არ გამოთქვამენ.

**– ანუ, პირველ რიგში, მაინც პიროვნულ თვისებებს უსვამთ ხაზს?**

– რასაკვირველია, და მუსიკის დიდ სიყვარულს. ბედნიერებაა, როცა ადამიანი გემოვნებიან, კარგ მსმენელად ჩამოყალიბდება და ავსა და კარგს არჩევს.

**– „ბავშვობა ბრუნდება, როდესაც ვმღერი"... თქვენს ლექსებში ბავშვობის ნოსტალგია იგრძნობა. მშვენიერ ლექსებს წერთ, ქ-ნო ნატო...**

– ბავშვობა ულამაზესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც, სამწუხაროდ, არ განმეორდება. სხვა სამყაროა, ყველაზე სუფთა, ალალი და ნაღდი სწორედ იქ ხარ. ლექსები, ძირითადად, დიდი დეპრესიის პერიოდში იწერება, როცა გარეთ გახედვა არ მინდა, როცა ვფიქრობ, რომ არავის ვჭირდები, არავის ვუყვარვარ. ალბათ, შინაგანად მაინც მარტოსული ადამიანი ვარ.

**– და ამას ამბობს წარმატებული ქალი, მზრუნველი მეუღლე და მოსიყვარულე დედა? თურმე, თქვენი შვილებიც კარგად მღერიან...**

– დიახ, მაგრამ, ჩემი არ იყოს, მორცხვები არიან, არ უნდათ სცენა, არ უყვართ ტელევიზია.

**– დედის პოპულარობას როგორ აღიქვამენ?**

– უხერხულად გრძნობენ თავს, შინაგანი კომპლექსიც აქვთ. მეც ვაფრთხილებ, რომ არ აქვთ მცდარი ნაბიჯის გადადგმის, ცუდის გაკეთების უფლება, რადგან მათი საქციელი, სხვასთან შედარებით უფრო ჩანს. ვფიქრობ, არ ვუტოვებ იოლ მემკვიდრეობას.

**– როგორი დიასახლისია კომპოზიტორი ნატო გელაშვილი?**

– ნებისმიერი ჩვეულებრივი, საშუალოდ მცხოვრები ქართველი ქალივით ხან მაქვს ფული, ხან – არა. ხან მგონია, რომ ბევრი საჭმელი მაქვს, ხან იმაზე ფიქრით ვიტვრევ თავს, რით დავაპურო ჩემი ოჯახის წევრები. რეალობას არ ვწყდები, მიწაზე მყარად ვდგავარ და ვაკეთებ ყველაფერს, რასაც უნდა აკეთებდეს ოჯახის დედა და დიასახლისი. კონცერტების დროს დედა და ახლობლები მეხმარებიან.

**– მეუღლე?**

– თავიდან ბოლომდე ჩემი მეგობარია. როგორც ნაკითხ და განათლებულ ადამიანს, გააზრებული აქვს, რომ ხელოვანი ცოლი ჰყავს. ძალიან გამიმართლა, მას რომ შევხვდი.

**– ამბობენ, ყველა ადამიანი ბედნიერებაზე ოცნებობს, თუმცა ყველას სხვადასხვაგვარად აქვს წარმოდგენილი ის. თქვენ რაზე ოცნებობთ?**

– ბედნიერი ნამდვილად ვარ, თუმცა, მართალი გითხრათ, ოცნება შორეულ ბავშვობაში დავამთავრე და, ალბათ, მაშინაც ლამაზ ოჯახსა და შვილებზე ვოცნებობდი. ეს ყველაზე დიდი სიმდიდრეა ადამიანის ცხოვრებაში. მყავს მეუღლე, ორი შვილი და ვიცი, რისთვის ვცხოვრობ, რისთვის მიხარია სიცოცხლე, მაქვს იმდენი საშუალება, რომ მცირედით მაინც დავეხმარო ადამიანებს, ამაზე დიდი ბედნიერება



რა უნდა იყოს.

**– რას ეტყოდით ჩვენი ჟურნალის მკითხველ ქალბატონებს?**

– არასოდეს დაეკარგოთ თავიანთი შინაგანი „მე" და იყვნენ ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან, ყოველგვარი ნიღბისა და მოჩვენებითობის გარეშე. ოჯახთან ურთიერთობაში შეინარჩუნონ მოთმინება, ნუ შერცხვებათ ტრადიციულობისა და ჩარჩოების, რადგან, ვფიქრობ, რომ ქალი სწორედ იმ ჩარჩოშია ყველაზე ლამაზი.

*მანანა იმესაშვილი*



## ორიგინალური სალათა

**მასალად საჭიროა:**

ერთი საშუალო ზომის ბოლოკი, ერთი დიდი სტაფილო, ერთი ცალი ვაშლი (უმჯობესია ანტონოვკის ჯიშის), 3-4 კბილი ნიორი, 1/4 ლიმონი, 1/2 ჩაის კოვზი ლიმონის ცედრა, მარილი.

**მომზადების წესი:** ბოლოკი, სტაფილო და ვაშლი წვრილ სახეხზე გახეხეთ და ერთმანეთში აურიეთ. დაუმატეთ ცედრა და დაჭყლეტილი ნიორი, ზემოდან მოასხით ლიმონის წვენი, გემოვნებით მოაყარეთ მარილი და მსუბუქად აურიეთ.

## მუხუდოსა და მჟავე კიტრის სალათა

**მასალად საჭიროა:**

ერთი ჩაის ჭიქა დაკონსერვებული და წვენგადაწურული მუხუდო, სამი ცალი მჟავე კიტრი, 1-2 თავი ხახვი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი, მწვანილი.

**მომზადების წესი:** მჟავე კიტრი გათალეთ და სახეხზე გახეხეთ, დაუმატეთ მუხუდო, წვრილად დაჭრილი ხახვი, მწვანილი, მარილი და პილპილი გემოვნებით, მოასხით ზეთი და კარგად აურიეთ. სუფრაზე მიტანის წინ ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

## ჭარხლის ხიზილალა

**მასალად საჭიროა:**

500 გრამი ჭარხალი, 50 გრამი მჟავე კომბოსტო, 1 თავი ხახვი, 1 სუფრის კოვზი ტომატ-პასტა, 1 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 4 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მოხარშული კანგაცლილი ჭარხალი ვიწრო ზოლებად დაჭერით და რგოლებად დაჭრილ ხახვთან ერთად ზეთში მოშუშეთ. მჟავე კომბოსტო ხელით კარგად გაწურეთ, უფრო წვრილად დაჭერით და ზეთში ტომატ-პასტასთან ერთად თავდახურულ ჭურჭელში მოშუშეთ. ჭარხალი და კომბოსტო ერთმანეთს შეურიეთ, 5 წუთით ქურაზე შეათბეთ, დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, მარილი, პილპილი გემოვნებით და კარგად აურიეთ.

## ხაჭოს კექსი

**მასალად საჭიროა:**

200 გრამი ტკბილი ხაჭო, 1/2 ჩაის ჭიქა კეფირი, 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 2 კვერცხი, ერთი შეკვრა მარგარინი, 1 ჩაის ჭიქა სახამებელი, 1 ჩაის ჭიქა ფქვილი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა ძმრით.

**მომზადების წესი:** ყველა პროდუქტი ერთმანეთში კარგად აურიეთ, ცხიმწასმულ ფორმებში (შეგიძლიათ „ტარტალეტკის" ფორმები იხმაროთ) მოათავსეთ და ქურაში გამოაცხვეთ.

ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ლია კაკაბაძე, ნაზი თარგამაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), მანანა იმედაშვილი, ნანული ბუკია, ირმა ჩოფიკაშვილი.

დათო აბულაძე, ეკა ჭკადუა (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე — მსახიობი ნინაკა გელაშვილი
მეოთხეზე — მხატვარი ლალი ლომთაძე

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, V სართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის ნომერი 06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

# ქეთევან ჭაბუკიანი





მასალა იხილეთ 32-ე გვერდზე



ინდექსი 76178

ხ 162/18

ეროვნული ბიბლიოთეკა





● „ნატვრის ხე“

მასალა იხილეთ მე-16 გვერდზე



● „მხატვარი და მოდელი“



● „დალი“



● „ქალი სარკესთან“



● „ქართული მოტივები“



● „ფისო სავარძელში“

ფასი 1 ლარი